
ქენევის 1949 წლის 12 აპრილის კონვენცია
სამხედრო ტყვეებთან მოკვრობის შესახებ

ჟენევის 1949 წლის კონვენციები და მათი დამატებითი ოქმები.

წითელი ჯვრის საერთაშორისო კომიტეტი, 2008 წ. 390 გვ.

ჟენევის ოთხი კონვენცია წარმოადგენს საერთაშორისო ხელშეკრულებებს, რომელთა მონაწილეც თითქმის ყველა სახელმწიფოა.

კონვენციები იცავს მოქმედ ჯარში დაჭრილებსა და ავადმყოფებს, საზღვაო შეიარაღებულ ძალებში დაჭრილებს, ავადმყოფებსა და ხომალდის დაღუპვაში მოყოლილ პირებს, სამხედრო ტყვეებს, აგრეთვე, სამოქალაქო მოსახლეობას, რომელიც საერთაშორისო კონფლიქტის დროს აღმოჩნდა უცხო სახელმწიფოს მიერ კონტროლირებულ ტერიტორიაზე. ჟენევის ოთხივე კონვენციისათვის საერთო მე-3 მუხლი უზრუნველყოფს არასაერთაშორისო შეიარაღებული კონფლიქტის მსხვერპლთა მინიმალურ დაცვას.

I დამატებითი ოქმი ეხება და განსაზღვრავს საერთაშორისო შეიარაღებულ კონფლიქტებს და ადგენს სამხედრო მოქმედებების შედეგებისაგან სამოქალაქო მოსახლეობის დაცვის პრინციპებს. II დამატებითი ოქმი ავსებს და ავრცობს არასაერთაშორისო შეიარაღებული კონფლიქტის მსხვერპლთა დაცვის პრინციპს. III დამატებითი ოქმი კი ეხება დამატებითი განმასხვავებელი ემბლემის მიღებას.

წითელი ჯვრის
საერთაშორისო კომიტეტი
2008 წელს

**ქენვის 1949 წლის 12 აგვისტოს კონვენცია
სამხედრო ტყვეებთან მოპყრობის შესახებ**

პარი I

ზოგადი დებულებები

მუხლი 1	–	კონვენციის პატივისცემა	67
მუხლი 2	–	კონვენციის გამოყენება	67
მუხლი 3	–	საერთაშორისო ხასიათის არმიქონე კონფლიქტები	67
მუხლი 4	–	სამხედრო ტყვეები	68
მუხლი 5	–	გამოყენების დასაწყისი და დასასრული	70
მუხლი 6	–	სპეციალური შეთანხმებები	71
მუხლი 7	–	უფლებებზე უარის თქმის დაუშვებლობა	71
მუხლი 8	–	მფარველი სახელმწიფოები	71
მუხლი 9	–	წითელი ჯვრის საერთაშორისო კომიტეტის საქმიანობა	72
მუხლი 10	–	მფარველი სახელმწიფოების შემცვლელი	72
მუხლი 11	–	მორიგების პროცედურა	73

პარი II

ზოგადი ხასიათის დებულებები სამხედრო ტყვეთა დაცვის შესახებ

მუხლი 12	–	ტყვეებთან მოპყრობაზე პასუხისმგებლობა	74
მუხლი 13	–	ტყვეებთან ადამიანური მოპყრობა	74
მუხლი 14	–	ტყვეების პიროვნების პატივისცემა	75
მუხლი 15	–	ტყვეების რჩენა	75
მუხლი 16	–	თანაბარი მოპყრობა	75

პარი III

ტყვეობა

ნაწილი I

ტყვეობის დასაწყისი

მუხლი 17	–	ტყვეების დაკითხვა	75
მუხლი 18	–	ტყვეების პირადი ნივთები	76
მუხლი 19	–	ტყვეების ევაკუაცია	77
მუხლი 20	–	ევაკუაციის პირობები	77

ნაწილი II
სამხედრო ტყვეების ინტერნირება

თავი I
ზოგადი დებულებები

მუხლი 21	–	გადაადგილების თავისუფლების შეზღუდვა	78
მუხლი 22	–	ინტერნირების ადგილები და პირობები	79
მუხლი 23	–	ტყვეების უსაფრთხოება	79
მუხლი 24	–	მუდმივი სატრანზიტო ბანაკები	80

თავი II
სამხედრო ტყვეების ბანთავსება, კვება და ტანსაცმელი

მუხლი 25	–	სათავსები	80
მუხლი 26	–	კვება	81
მუხლი 27	–	ტანსაცმელი	81
მუხლი 28	–	სურსათ-სანოვაგის მაღაზიები	81

თავი III
ჰიგიენა და სამედიცინო დახმარება

მუხლი 29	–	ჰიგიენა	82
მუხლი 30	–	სამედიცინო დახმარება	82
მუხლი 31	–	სამედიცინო გამოკვლევები	83
მუხლი 32	–	სამედიცინო ფუნქციების შემსრულებელი ტყვეები	83

თავი IV
სამხედრო ტყვეებისთვის დახმარების გასაწევად დაკავებული
სამედიცინო და სასულიერო პერსონალი

მუხლი 33	–	დაკავებული პერსონალის უფლებები და პრივილეგიები	84
----------	---	---	----

თავი V
რელიგიური, ინტელექტუალური და ფიზიკური საქმიანობა

მუხლი 34	–	რელიგიური წეს-ჩვეულებები	85
მუხლი 35	–	დაკავებული კაპელანები	85
მუხლი 36	–	კულტმსახური ტყვეები	86
მუხლი 37	–	ტყვეები საკუთარი რელიგიის კულტმსახურის გარეშე	86
მუხლი 38	–	დასვენება, სწავლა, სპორტი და გართობა	86

თავი VI
ღისციკლი

მუხლი 39	-	ადმინისტრაცია. მისაღმება	87
მუხლი 40	-	ნიშნები და მედლები	87
მუხლი 41	-	ტყვეების შესახებ კონვენციის, წესებისა და ბრძანებების განთავსება	87
მუხლი 42	-	იარაღის გამოყენება	88

თავი VII
სამხედრო ტყვეების სამხედრო წოდებები

მუხლი 43	-	შეტყობინება სამხედრო წოდებების შესახებ	88
მუხლი 44	-	ოფიცრებთან მოპყრობა	88
მუხლი 45	-	სხვა ტყვეებთან მოპყრობა	89

თავი VIII
სამხედრო ტყვეთა ბალაჟანა მათი ბანაკში მიჰყვანის შემდეგ

მუხლი 46	-	პირობები	89
მუხლი 47	-	გადაყვანის ხელშემშლელი გარემოებები	90
მუხლი 48	-	გადაყვანის პროცედურა	90

ნაწილი III
სამხედრო ტყვეთა ღასაქმება

მუხლი 49	-	ზოგადი დებულებები	90
მუხლი 50	-	ნებადართული სამუშაო	91
მუხლი 51	-	სამუშაო პირობები	91
მუხლი 52	-	სახიფათო ან დამამცირებელი სამუშაო	92
მუხლი 53	-	სამუშაოს ხანგრძლივობა	92
მუხლი 54	-	ანაზღაურება. პროფესიული ტრავმები და დაავადებები	93
მუხლი 55	-	სამედიცინო ზედამხედველობა	93
მუხლი 56	-	სამუშაო რაზმები	93
მუხლი 57	-	კერძო დამქირავებლებზე მომუშავე ტყვეები	94

ნაწილი IV
სამხედრო ტყვეთა უშლადი სახსრები

მუხლი 58	-	ნაღდი ფული	94
მუხლი 59	-	ტყვეებისგან ამოღებული ნაღდი ფული	94
მუხლი 60	-	წინასწარი ანაზღაურება	95
მუხლი 61	-	დამატებითი ანაზღაურება	96
მუხლი 62	-	სამუშაო ანაზღაურება	96

მუხლი 63	-	ფულადი სახსრების გადაგზავნა	97
მუხლი 64	-	ტყვეების ანგარიშები	97
მუხლი 65	-	ტყვეების ანგარიშების ადმინისტრირება	98
მუხლი 66	-	ანგარიშების დახურვა	98
მუხლი 67	-	ანგარიშსწორება კონფლიქტის მონაწილე მხარეებს შორის	99
მუხლი 68	-	მოთხოვნები კომპენსაციაზე	99

ნაწილი V

სამხედრო ტყვეთა ურთიერთობა ბარე სამყაროსთან

მუხლი 69	-	შეტყობინება მიღებული ზომების შესახებ	100
მუხლი 70	-	ბარათი დატყვევების შესახებ	100
მუხლი 71	-	კორექსონდენცია	100
მუხლი 72	-	დახმარების გზავნილები: I. ზოგადი პრინციპები	101
მუხლი 73	-	II. კოლექტიური დახმარება	102
მუხლი 74	-	საფოსტო და სატრანსპორტო ხარჯებისგან განთავისუფლება	102
მუხლი 75	-	ტრანსპორტირების სპეციალური საშუალებები ..	103
მუხლი 76	-	ცენზურა და შემოწმება	104
მუხლი 77	-	იურიდიული დოკუმენტების მომზადება, აღსრულება და გადაცემა	104

ნაწილი VI

სამხედრო ტყვეთა ურთიერთობა ხელისუფლებასთან

თავი I

სამხედრო ტყვეთა საჩივრები ტყვეობის რეჟიმის შესახებ

მუხლი 78	-	საჩივრები და თხოვნები	105
----------	---	-----------------------------	-----

თავი II

სამხედრო ტყვეთა წარმომადგენლები

მუხლი 79	-	არჩევა	105
მუხლი 80	-	მოვალეობები	106
მუხლი 81	-	უფლებამოსილებები	106

თავი III

სისხლისსამართლებრივი და დისციპლინური სასჯელები

I – ზოგადი დებულებები

მუხლი 82	-	მოქმედი კანონმდებლობა	107
----------	---	-----------------------------	-----

მუხლი 83	-	დისციპლინური ან სასამართლო წარმოების არჩევა	108
მუხლი 84	-	სასამართლოები	108
მუხლი 85	-	ტყვეობამდე ჩადენილი დანაშაულები	108
მუხლი 86	-	“ <i>Non bis in idem</i> ”	108
მუხლი 87	-	სასჯელები	109
მუხლი 88	-	სასჯელების აღსრულება	109

II – დისციპლინური ზომები

მუხლი 89	-	ზოგადი დებულებები: I. დასჯის სახეები	110
მუხლი 90	-	II. დასჯის ხანგრძლივობა	110
მუხლი 91	-	გაქცევა: I. წარმატებული გაქცევა	111
მუხლი 92	-	II. წარუმატებელი გაქცევა	111
მუხლი 93	-	III. გაქცევასთან დაკავშირებული დანაშაულები	111
მუხლი 94	-	IV. შეტყობინება ხელახალი შეპყრობის შესახებ	112
მუხლი 95	-	პროცედურა: I. საქმის მოსმენამდე პატიმრობა	112
მუხლი 96	-	II. კომპეტენტური ორგანოები და დაცვის უფლება	112
მუხლი 97	-	სასჯელის აღსრულება: I. საპატიმრო ადგილები	113
მუხლი 98	-	II. ძირითადი გარანტიები	113

III – სამართალწარმოება

მუხლი 99	-	ძირითადი წესები: I. ზოგადი პრინციპები	114
მუხლი 100	-	II. სიკვდილით დასჯა	114
მუხლი 101	-	III. სიკვდილით დასჯის აღსრულების გადადება	115
მუხლი 102	-	პროცედურა: I. სასჯელის ნამდვილობის პირობები	115
მუხლი 103	-	II. საქმის მოსმენამდე პატიმრობა (სასჯელის ვადიდან გამოკლება, მოპყრობა)	115
მუხლი 104	-	III. შეტყობინება სასამართლო პროცესის შესახებ	115
მუხლი 105	-	IV. დაცვის უფლებები და საშუალებები	116
მუხლი 106	-	V. გასაჩივრება	117
მუხლი 107	-	VI შეტყობინება განაჩენისა და სასჯელის შესახებ	117
მუხლი 108	-	სასჯელის აღსრულება. წესები სისხლისსამართლებრივი სასჯელების შესახებ ..	118

პარი IV
ტყვეობის დასასრული

ნაწილი I

პირდაპირი რეპატრიაცია და განთავსება ნეიტრალურ ქვეყნებში

მუხლი 109	-	ზოგადი დებულებები	119
მუხლი 110	-	რეპატრიაციისა და განთავსების შემთხვევები	119
მუხლი 111	-	ნეიტრალურ ქვეყანაში ინტერნირება	120
მუხლი 112	-	შერეული სამედიცინო კომისიები	120
მუხლი 113	-	შერეული სამედიცინო კომისიების მიერ გასინჯვაზე უფლებამოსილი ტყვეები	121
მუხლი 114	-	უბედური შემთხვევის შედეგად დაშავებული ტყვეები	121
მუხლი 115	-	ტყვეები, რომლებიც სასჯელს იხდიან	122
მუხლი 116	-	რეპატრიაციასთან დაკავშირებული ხარჯები	122
მუხლი 117	-	რეპატრიაციის შემდგომი საქმიანობა	122

ნაწილი II

სამხედრო ტყვეთა ბათავისუფლება და რეპატრიაცია
სამხედრო მოქმედებების დასრულების შემდეგ

მუხლი 118	-	გათავისუფლება და რეპატრიაცია	122
მუხლი 119	-	პროცედურული დეტალები	123

ნაწილი III

სამხედრო ტყვეთა ბარდაცვალება

მუხლი 120	-	ანდერძები, გარდაცვალების მოწმობები, დაკრძალვა, კრემაცია	124
მუხლი 121	-	განსაკუთრებულ გარემოებებში მოკლული ან დაშავებული ტყვეები	125

პარი V

ცნობათა ბიურო და სამხედრო ტყვეთა დახმარების საზოგადოებები

მუხლი 122	-	ეროვნული ბიურო	126
მუხლი 123	-	ცენტრალური სააგენტო	127
მუხლი 124	-	ხარჯებისგან განთავისუფლება	128
მუხლი 125	-	დახმარების საზოგადოებები და სხვა ორგანიზაციები	128

პარი VI
კონვენციის შესრულება

ნაწილი I
ზოგადი დებულებები

მუხლი 126	–	ზედამხედველობა	129
მუხლი 127	–	კონვენციის გავრცელება	130
მუხლი 128	–	თარგმანები. გამოყენების წესები	130
მუხლი 129	–	სისხლის სამართლებრივი სანქციები: I. ზოგადი დებულებები	130
მუხლი 130	–	II. უხეში დარღვევები	131
მუხლი 131	–	III. ხელშემკვრელი მხარეების პასუხისმგებლობა	131
მუხლი 132	–	გამოძიების პროცედურა	131

ნაწილი II
დასკვნითი დებულებები

მუხლი 133	–	ენები	132
მუხლი 134	–	1929 წლის კონვენციასთან მიმართება	132
მუხლი 135	–	ჰააგის კონვენციასთან მიმართება	132
მუხლი 136	–	ხელმოწერა	132
მუხლი 137	–	რეტიფიკაცია	132
მუხლი 138	–	ძალაში შესვლა	133
მუხლი 139	–	მიერთება	133
მუხლი 140	–	შეტყობინება მიერთების შესახებ	133
მუხლი 141	–	დაუყოვნებლივ ძალაში შესვლა	133
მუხლი 142	–	დენონსაცია	133
მუხლი 143	–	გაერთიანებული ერების ორგანიზაციაში რეგისტრაცია	134

დანართი I

სამოძიებო შეთანხმება პირდაპირი რეპატრაციისა და დაჭრილი
და ავადმყოფი სამხედრო ტყვეების ნეიტრალურ ქვეყნებში
განთავსების შესახებ

I – პირდაპირი რეპატრაციისა და ნეიტრალურ ქვეყნებში
განთავსების პრინციპები

ა.	–	პირდაპირი რეპატრაცია	135
ბ.	–	ნეიტრალურ ქვეყნებში განთავსება	138

II	–	ზოგადი დებულებები	139
----	---	-------------------------	-----

ღანართი II

წესები შერეული სამედიცინო კომისიების შესახებ 140

ღანართი III

წესები სამხედრო ტყვეებისთვის დახმარების კოლექტიური გზავნილების შესახებ 143

ღანართი IV

ა. – პირადობის მოწმობა 146
ბ. – ბარათი დატყვევების შესახებ 147
გ. – საფოსტო ბარათი და წერილი 148
დ. – შეტყობინება გარდაცვალების შესახებ 150
ე. – ცნობა რეპატრაციის შესახებ 151

ღანართი V

სამოდელო წესები ტყვეთა მიერ საკუთარ ქვეყანაში გადაგზავნილი ფულადი სახსრების შესახებ 152

სამხედრო ტყვეებთან მოპყრობის შესახებ ჟენევის 1929 წლის 27 ივლისის კონვენციის გადასინჯვის მიზნით, 1949 წლის 21 აპრილიდან 12 აგვისტოს ჩათვლით ჟენევაში მიმდინარე დიპლომატიური კონფერენციის მონაწილე მთავრობათა ქვემოთ ხელისმომწერი უფლებამოსილი წარმომადგენლები შეთანხმდნენ შემდეგზე:

პარი I ზოგადი დებულებები

მუხლი 1

მაღალი ხელშემკვრელი მხარეები ვალდებულებას კისრულობენ ნებისმიერ გარემოებაში შეასრულონ და უზრუნველყონ წინამდებარე კონვენციის შესრულება.

მუხლი 2

იმ დებულებათა გარდა, რომლებიც უნდა მოქმედებდეს მშვიდობიან დროს, წინამდებარე კონვენცია გამოიყენება გამოცხადებული ომის ყველა შემთხვევაში ან ნებისმიერი სხვა სახის შეიარაღებული კონფლიქტის დროს, რომელიც შეიძლება წარმოიშვას ორ ან რამდენიმე მაღალ ხელშემკვრელ მხარეს შორის, მაშინაც კი, როცა ერთ-ერთი მხარე არ ცნობს საომარ მდგომარეობას.

კონვენცია აგრეთვე გამოიყენება მაღალი ხელშემკვრელი მხარის ტერიტორიის ნაწილობრივი ან მთლიანი ოკუპაციის ყველა შემთხვევაში, მაშინაც კი, როცა აღნიშნულ ოკუპაციას შეიარაღებულ წინააღმდეგობას არ უწევს.

თუ კონფლიქტის მონაწილე ერთ-ერთი სახელმწიფო არ არის წინამდებარე კონვენციის მხარე, ის სახელმწიფოები, რომლებიც კონვენციის მხარეები არიან, ერთმანეთს შორის ურთიერთობებში კვლავაც კონვენციით შეზღუდულნი რჩებიან. ამასთან, ისინი კონვენციით შეზღუდულნი იქნებიან ზემოაღნიშნული სახელმწიფოს მიმართაც, თუ ეს უკანასკნელი ცნობს და გამოიყენებს მის დებულებებს.

მუხლი 3

ერთ-ერთი ხელშემკვრელი მხარის ტერიტორიაზე მიმდინარე საერთაშორისო ხასიათის არმქონე შეიარაღებული კონფლიქტის დროს კონფლიქტის მონაწილე ყოველი მხარე ვალდებულია გამოიყენოს, სულ

მცირე, შემდეგი დებულებანი:

(1) პირები, რომლებიც უშუალოდ არ მონაწილეობენ საომარ მოქმედებებში, შეიარაღებული ძალების წარმომადგენელთა ჩათვლით, რომლებმაც დაყარეს იარაღი და რომლებიც ავადმყოფობის, დაჭრის, დაკავების ან ნებისმიერი სხვა მიზეზის გამო აღარ მონაწილეობენ საომარ მოქმედებებში, ყველა შემთხვევაში უნდა სარგებლობდნენ ჰუმანური მოპყრობით რასის, კანის ფერის, რელიგიის ან რწმენის, სქესის, წარმომავლობის, ქონებრივი მდგომარეობის ან ნებისმიერ სხვა მსგავს კრიტერიუმზე დაფუძნებული ყოველგვარი დისკრიმინაციის გარეშე.

ამ მიზნით, აკრძალულია და ყველგან და ყოველთვის, აკრძალული იქნება ზემოაღნიშნულ პირთა მიმართ შემდეგი ქმედებების განხორციელება:

(ა) პირის სიცოცხლისა და ფიზიკური ხელშეუხებლობის ხელყოფა, კერძოდ, ნებისმიერი სახის მკვლელობა, დასახინრება, სასტიკი მოპყრობა და წამება;

(ბ) მძევლად აყვანა;

(გ) ღირსების შელახვა, კერძოდ, შეურაცხყოფელი და დამამცირებელი მოპყრობა;

(დ) სამართალში მიცემა და სასჯელის აღსრულება სათანადო წესით დაფუძნებული სასამართლოს მიერ გამოტანილი წინასწარი სასამართლო გადაწყვეტილების გარეშე. ცივილიზებული თანამეგობრობის მიერ სავალდებულოდ აღიარებული სასამართლო გარანტიების გათვალისწინებით;

(2) დაჭრილებსა და ავადმყოფებს თავი უნდა მოუყარონ და აღმოუჩინონ სათანადო დახმარება.

მიუკერძოებელ ჰუმანიტარულ ორგანიზაციას, მაგალითად წითელი ჯვრის საერთაშორისო კომიტეტს, შეუძლია კონფლიქტის მონაწილე მხარეებს შესთავაზოს თავისი სამსახური.

გარდა ამისა, კონფლიქტის მონაწილე მხარეები შეეცდებიან, სპეციალური შეთანხმებების გზით, შეასრულონ წინამდებარე კონვენციის ყველა, ან ცალკეული დებულებები.

ზემოაღნიშნულ დებულებათა გამოყენებას არ ექნება გავლენა კონფლიქტის მონაწილე მხარეთა სამართლებრივ სტატუსზე.

მუხლი 4

ა. წინამდებარე კონვენციის შესაბამისად, სამხედრო ტყვეებად ითვლებიან მოწინააღმდეგე მხარის ხელში მოხვედრილი პირები, რომლებიც ერთ-ერთ შემდეგ კატეგორიას მიეკუთვნებიან:

(1) კონფლიქტის მონაწილე მხარის შეიარაღებული ძალების პირადი შემადგენლობა, ასევე ამ შეიარაღებული ძალების შე-

მადგენლობაში შემავალი სახალხო ლაშქრისა და მოხალისეთა რაზმების პირადი შემადგენლობა.

(2) სხვა ლაშქრებისა და მოხალისეთა რაზმების პირადი შემადგენლობა, ორგანიზებული წინააღმდეგობის მოძრაობების იმ პირადი შემადგენლობის ჩათვლით, რომლებიც კონფლიქტის მონაწილე მხარეს ეკუთვნიან და საკუთარ ტერიტორიაზე ან მის გარეთ მოქმედებენ. აღნიშნული ვრცელდება იმ შემთხვევაშიც, როცა ეს ტერიტორია ოკუპირებულია, თუმცა იმ პირობით, რომ ასეთი ლაშქრები ან რაზმები, ორგანიზებული წინააღმდეგობის მოძრაობების ჩათვლით, შემდეგ მოთხოვნებს აკმაყოფილებენ:

(ა) მათ მეთაურობს პირი, რომელიც პასუხს აგებს ხელქვეითებზე;
(ბ) აქვთ განსაზღვრული, შორიდან გასარჩევი განმასხვავებელი ნიშანი;

(გ) ღიად ატარებენ იარაღს;

(დ) თავიანთი ოპერაციების განხორციელებისას მოქმედებენ ომის კანონებისა და ჩვეულებების შესაბამისად.

(3) რეგულარული შეიარაღებული ძალების პირადი შემადგენლობა, რომელიც იმ მთავრობის ან ხელისუფლების დაქვემდებარებულად თვლის თავს, რომელსაც მისი ტყვედ ამყვანი სახელმწიფო არ ცნობს.

(4) შეიარაღებული ძალების თანმხლები, მაგრამ უშუალოდ მის შემადგენლობაში არმყოფი პირები, როგორებიც არიან სამხედრო თვითმფრინავების ეკიპაჟის სამოქალაქო წევრები, ომის კორესპონდენტები, მომმარაგებლები, შეიარაღებული ძალების საყოფაცხოვრებო მომსახურებაზე პასუხისმგებელი სამუშაო ჯგუფებისა და სამსახურების წევრები, იმ პირობით, რომ მათ ამისათვის მიღებული აქვთ იმ შეიარაღებული ძალების ნებართვა, რომელსაც ისინი თან ახლავან და რისთვისაც შეიარაღებული ძალები მათ უზრუნველყოფენ დანართში მოცემული ნიმუშის მსგავსი პირადობის მოწმობით.

(5) კონფლიქტის მონაწილე მხარეთა სავაჭრო ფლოტის გემების ეკიპაჟის წევრები, კაპიტნების, ლოცმანებისა და იუნგების ჩათვლით, აგრეთვე სამოქალაქო ავიაციის ეკიპაჟი, რომლებიც საერთაშორისო სამართლის რაიმე სხვა დებულებათა ძალით მოპყრობის უფრო შედავათიანი რეჟიმით არ სარგებლობენ.

(6) არაოკუპირებული ტერიტორიის მოსახლეობა, რომელიც მონაწილეობის მოახლოებისას სტიქიურად იღებს ხელში იარაღს შემოჭრილი ძალებისთვის წინააღმდეგობის გაწევის მიზნით, მაგრამ ვერ ასწრებს რეგულარულ შეიარაღებულ შენაერთებად ფორმირებას, იმ პირობით, რომ ღიად ატარებს იარაღს და იცავს ომის კანონებსა და ჩვეულებებს.

ბ. წინამდებარე კონვენციის თანახმად, ქვემოთ ჩამოთვლილ პირებს მოეპყრობიან სამხედრო ტყვეების ანალოგიურად:

(1) პირები, რომლებიც ოკუპირებული ქვეყნის შეიარაღებულ ძა-

ლებს ეკუთვნიან ან ეკუთვნოდნენ, თუ ოკუპანტი ქვეყანა მათი ამ კუთვნილების გამო აუცილებლად მიიჩნევს მათ ინტერნირებას, მიუხედავად იმისა, რომ მან მანამდე გაათავისუფლა აღნიშნული პირები საომარი მოქმედებების ოკუპირებული ტერიტორიის მიღმა მიმდინარეობისას, განსაკუთრებით მაშინ, თუ მათ წარუმატებლად სცადეს შეერთებოდნენ შეიარაღებულ ძალებს, რომელთაც ისინი ეკუთვნიან და რომლებიც საომარ მოქმედებებში მონაწილეობენ, ან თუ არ დაემორჩილნენ მათი ინტერნირების მიზნით გამოძახებას.

(2) ნეიტრალური ან არამეომარი სახელმწიფოების მიერ თავიანთ ტერიტორიაზე მიღებული პირები, რომლებიც წინამდებარე მუხლში ჩამოთვლილ ერთ-ერთ რომელიმე კატეგორიას მიეკუთვნებიან და რომელთა ინტერნირებაც მათ საერთაშორისო სამართლის შესაბამისად უნდა განახორციელონ, თუ მათთვის უფრო შეღავათიანი რეჟიმის შემოღებას არ მიანიჭებენ უპირატესობას; ამ პირებზე არ ვრცელდება მე-8, მე-10, მე-15 მუხლების, 30-ე მუხლის მეხუთე პარაგრაფის, 58-67-ე, 92-ე, 126-ე მუხლების დებულებები; აგრეთვე, კონფლიქტის მონაწილე მხარეებს და დაინტერესებულ ნეიტრალურ ან არამეომარ სახელმწიფოს შორის დიპლომატიური ურთიერთობების არსებობის შემთხვევაში, იმ მუხლების დებულებები, რომელიც ეხება მფარველ სახელმწიფოებს. ასეთი დიპლომატიური ურთიერთობების არსებობისას, კონფლიქტის მონაწილე მხარეებს, რომლებსაც ეკუთვნიან აღნიშნული პირები, უფლება აქვთ განახორციელონ მათ მიმართ წინამდებარე კონვენციით მფარველი სახელმწიფოსათვის დაკისრებული ფუნქციები იმ ვალდებულებებისათვის ზიანის მიუყენებლად, რომლებსაც ეს მხარეები ჩვეულებრივ დიპლომატიური და საკონსულო პრაქტიკისა და ხელშეკრულებების შესაბამისად ახორციელებენ.

გ. ეს მუხლი არავითარ ზეგავლენას არ მოახდენს წინამდებარე კონვენციის 33-ე მუხლით გათვალისწინებულ სამედიცინო და სამხედრო სასულიერო პერსონალის სტატუსზე.

მუხლი 5

წინამდებარე კონვენცია მე-4 მუხლში მითითებული პირების მიმართ გამოიყენება მოწინააღმდეგის ხელში ჩავარდნის მომენტიდან მათ საბოლოო გათავისუფლებასა და რეპატრიაციამდე.

საომარ მოქმედებაში მონაწილე და მოწინააღმდეგის ხელში ჩავარდნილ პირთა მე-4 მუხლში ჩამოთვლილ კატეგორიათაგან ერთ-ერთისადმი კუთვნილების თაობაზე ეჭვის აღძვრის შემთხვევაში აღნიშნული პირები, უფლებამოსილი სასამართლოს მიერ მათი სტატუსის განსაზღვრამდე, წინამდებარე კონვენციის დაცვით ისარგებლებენ.

მუხლი 6

მე-10, 23-ე, 28-ე, 33-ე, მე-60, 65-ე, 66-ე, 67-ე, 72-ე, 73-ე, 75-ე, 109-ე, 110-ე, 118-ე, 119-ე, 122-ე და 132-ე მუხლებით გათვალისწინებული საგანგებო შეთანხმებების გარდა, მაღალ ხელშემკვრელ მხარეებს შეუძლიათ დადონ სხვა სპეციალური შეთანხმებები ნებისმიერ საკითხზე, რომლის განსაკუთრებულად მოგვარებასაც ისინი მიზანშეწონილად ჩათვლიან. არც ერთმა ასეთმა სპეციალურმა შეთანხმებამ ზიანი არ უნდა მიაყენოს სამხედრო ტყვეების წინამდებარე კონვენციით განსაზღვრულ მდგომარეობას, ასევე არ უნდა შეზღუდოს კონვენციით მათთვის მინიჭებული უფლებები.

სამხედრო ტყვეები სარგებლობენ ამ შეთანხმებებით მინიჭებული უპირატესობებით მანამ, სანამ მათზე ვრცელდება კონვენციის მოქმედება, გარდა იმ შემთხვევებისა, როცა ზემოაღნიშნული ან მომდევნო შეთანხმებები შეიცავს მკაფიოდ გამოხატულ საპირისპირო დებულებებს, ან მათ მიმართ კონფლიქტის მონაწილე რომელიმე მხარის მიერ უფრო ხელსაყრელი ღონისძიებებია გამოყენებული.

მუხლი 7

სამხედრო ტყვეებს არავითარ შემთხვევაში არ შეუძლიათ მთლიანად ან ნაწილობრივ უარი თქვან იმ უფლებებზე, რომლებიც მათთვის წინამდებარე კონვენციითა და წინა მუხლში გათვალისწინებული სპეციალური შეთანხმებების არსებობის შემთხვევაში – თუ ისინი ამგვარ დებულებებს შეიცავენ – არის უზრუნველყოფილი.

მუხლი 8

წინამდებარე კონვენციის გამოყენება ხორციელდება მფარველი სახელმწიფოს ხელშეწყობითა და კონტროლით, რომელსაც ეკისრება კონფლიქტის მონაწილე მხარეების ინტერესთა დაცვა. ამ მიზნით, მფარველ სახელმწიფოებს, თავიანთი დიპლომატიური ან საკონსულო პერსონალის გარდა, შეუძლიათ საკუთარი ან სხვა ნეიტრალური სახელმწიფოს მოქალაქეთაგან დელეგატების დანიშვნა. ამ დელეგატების დასანიშნად საჭიროა იმ ქვეყნის თანხმობა, სადაც მათ მისია უნდა შეასრულონ.

კონფლიქტის მონაწილე მხარეებმა მფარველი სახელმწიფოს წარმომადგენლებს ან დელეგატებს მუშაობის განხორციელებისას შესაძლებლობების ფარგლებში მაქსიმალურად უნდა შეუწყონ ხელი.

მფარველი სახელმწიფოების წარმომადგენლები ან დელეგატები არავითარ შემთხვევაში არ უნდა გასცდნენ მათი მისიის წინამდებარე კონვენციით განსაზღვრულ ფარგლებს. კერძოდ, მათ მხედველობაში

უნდა მიიღონ იმ სახელმწიფოს უსაფრთხოების აუცილებელი მოთხოვნები, სადაც თავიანთ მისიას ასრულებენ.

მუხლი 9

წინამდებარე კონვენციის დებულებები დაბრკოლებას არ წარმოადგენს სამხედრო ტყვეთა დაცვისა და მათთვის დახმარების აღმოჩენის მიზნის მქონე ჰუმანიტარული საქმიანობისათვის, რომელიც შეიძლება განახორციელოს წითელი ჯვრის საერთაშორისო კომიტეტმა ან ნებისმიერმა სხვა მიუკერძოებელმა ჰუმანიტარულმა ორგანიზაციამ, კონფლიქტის მონაწილე დაინტერესებულ მხარეების თანხმობით.

მუხლი 10

მაღალ ხელშემკვრელ მხარეებს ნებისმიერ დროს შეუძლიათ შეთანხმდნენ, რომ წინამდებარე კონვენციით მფარველი სახელმწიფოსათვის დაკისრებული მოვალეობების შესრულება ანდონ სრული მიუკერძოებლობის და ქმედითობის გარანტიის მიმცემ ორგანიზაციას.

თუ სამხედრო ტყვეებზე რაიმე მიზეზით არ ვრცელდება ან აღარ ვრცელდება მფარველი სახელმწიფოს ან პირველ პარაგრაფში მითითებული ორგანიზაციის საქმიანობა, სახელმწიფომ, რომლის ხელისუფლებაშიც დაცვის ქვეშ მყოფი პირები იმყოფებიან, თხოვნით უნდა მიმართოს ნეიტრალურ სახელმწიფოს ან ასეთ ორგანიზაციას, რათა მან თავის თავზე აიღოს კონფლიქტის მონაწილე მხარეების მიერ დასახელებული მფარველი სახელმწიფოს წინამდებარე კონვენციით გათვალისწინებული ფუნქციების შესრულება.

თუ ამგვარი გზით ვერ მოხერხდება მფარველობის განხორციელება, სახელმწიფომ, რომლის ხელისუფლებაშიც იმყოფებიან დაცვის ქვეშ მყოფი პირები, წინამდებარე მუხლის დებულებათა გათვალისწინებით, თხოვნით უნდა მიმართოს, ან მიიღოს რომელიმე ჰუმანიტარული ორგანიზაციის, როგორცაა წითელი ჯვრის საერთაშორისო კომიტეტი, წინადადება თავის თავზე აიღოს წინამდებარე კონვენციის შესაბამისად მფარველი სახელმწიფოებისათვის დაკისრებული ჰუმანიტარული ფუნქციების შესრულება.

ამ მიზნით დაინტერესებული სახელმწიფოს მიერ მოწვეული ან საკუთარი სამსახურის შემთავაზებელი ნებისმიერი ნეიტრალური სახელმწიფო ან ორგანიზაცია პასუხისმგებლობის გრძნობით უნდა მოქმედებდეს კონფლიქტის მონაწილე იმ მხარის მიმართ, რომელზეც დამოკიდებულნი არიან წინამდებარე კონვენციის დაცვის ქვეშ მყოფი პირები, და წარმოადგინოს საკმარისი გარანტიები იმისა, რომ მას შეუძლია შესაბამისი ფუნქციების თავის თავზე აღება და მათი მიუკერძოებლად შესრულება.

დაუშვებელია ზემოაღნიშნული დებულებების დარღვევა სახელმწიფოთა შორის დადებული სპეციალური შეთანხმებებით, როცა საომარი მდგომარეობის გამო თუნდაც დროებით შეზღუდულია ერთ-ერთი ამ სახელმწიფოს შესაძლებლობა თავისუფლად აწარმოოს მოლაპარაკება სხვა სახელმწიფოსთან ან მის მოკავშირეებთან, განსაკუთრებით, თუ ოკუპირებულია ამ სახელმწიფოს მთელი ტერიტორია ან მისი მნიშვნელოვანი ნაწილი.

წინამდებარე კონვენციაში მფარველი სახელმწიფოს სახელწოდებაში ყველგან იგულისხმება წინამდებარე მუხლით გათვალისწინებული მისი შემცვლელი ორგანიზაცია.

მუხლი 11

მფარველი სახელმწიფოები ყოველთვის, როდესაც დაცვის ქვეშ მყოფი პირების ინტერესებიდან გამომდინარე ამას მიზანშეწონილად ჩათვლიან, განსაკუთრებით კი კონფლიქტის მონაწილე მხარეთა შორის ამ კონვენციის დებულებათა გამოყენების ან განმარტების თაობაზე უთანხმოების შემთხვევაში, კეთილ სამსახურს გაუწევენ მხარეებს უთანხმოებათა მოგვარების მიზნით.

ამ მიზნით, თითოეულ მფარველ სახელმწიფოს შეუძლია ერთ-ერთი მხარის თხოვნით ან საკუთარი ინიციატივით შესთავაზოს კონფლიქტის მონაწილე მხარეებს მათი წარმომადგენლების, კერძოდ, სამხედრო ტყვეებზე პასუხისმგებელ ხელისუფალთა შეხვედრა შესაბამისად შერჩეულ ნეიტრალურ ტერიტორიაზე. კონფლიქტის მონაწილე მხარეები ვალდებული არიან მსვლელობა მისცენ ამ თვალსაზრისით მათთვის შეთავაზებული წინადადებების შესრულებას. საჭიროების შემთხვევაში, მფარველ სახელმწიფოებს შეუძლიათ კონფლიქტის მონაწილე მხარეებს მხარდასაჭერად წარუდგინონ ნეიტრალური სახელმწიფოს წარმომადგენელი ან წითელი ჯვრის საერთაშორისო კომიტეტის მიერ დელეგირებული პირი, რომელსაც მიიწვევენ აღნიშნულ შეხვედრაში მონაწილეობის მისაღებად.

პარი II
ზოგადი ხასიათის დებულებები
სამხედრო ტყვეთა დაცვის შესახებ

მუხლი 12

სამხედრო ტყვეები მოწინააღმდეგე სახელმწიფოს და არა მათი ტყვედ ჩამგდები ცალკეული პირების ან სამხედრო შენაერთების ხელისუფლებაში იმყოფებიან. მიუხედავად იმ პასუხისმგებლობისა, რომელიც ცალკეულ პირებს შეიძლება დაეკისროთ, სამხედრო ტყვეებთან მოპყრობაზე პასუხს დამატყვევებელი სახელმწიფო აგებს.

სახელმწიფოს თავის ხელში მყოფი სამხედრო ტყვეების გადაცემა შეუძლია მხოლოდ ამ კონვენციის მონაწილე სახელმწიფოსათვის და მხოლოდ მას შემდეგ, რაც დარწმუნდება, რომ სახელმწიფოს, რომელსაც ტყვეები უნდა გადასცეს, სურს და შეუძლია ამ კონვენციის დებულებათა დაცვა. როდესაც ტყვეებს ამგვარი პირობების დაცვით გადასცემენ, კონვენციის გამოყენებისათვის პასუხისმგებლობა მათ მიმდებ სახელმწიფოს მანამ ეკისრება, სანამ ტყვეები მისი მზრუნველობის ქვეშ იქნებიან.

თუმცა, თუ ეს სახელმწიფო ამ კონვენციის ნებისმიერი მნიშვნელოვანი საკითხის მარეგულირებელ დებულებებს არ შეასრულებს, სახელმწიფომ, რომელმაც ტყვეები გადასცა, მფარველი სახელმწიფოსგან შეტყობინების მიღებისთანავე მდგომარეობის გამოსასწორებლად ეფექტური ზომები უნდა მიიღოს ან მოითხოვოს სამხედრო ტყვეების დაბრუნება. ამგვარი მოთხოვნები უნდა დაკმაყოფილდეს.

მუხლი 13

სამხედრო ტყვეებს ყოველთვის ჰუმანურად უნდა მოეპყრონ. აკრძალულია და წინამდებარე კონვენციის მიმე დარღვევად ჩაითვლება დამატყვევებელი სახელმწიფოს მხრიდან ნებისმიერი არაკანონიერი მოქმედება ან უმოქმედობა, რამაც შეიძლება მის ხელში მყოფი ტყვის გარდაცვალება გამოიწვიოს ან მის ჯანმრთელობას სერიოზული საფრთხე შეუქმნას. კერძოდ, დაუშვებელია სამხედრო ტყვეთა დასახინრება ან მათზე ნებისმიერი სახის სამედიცინო ან სამეცნიერო ცდის ჩატარება, რომელიც მათი მკურნალობის მოსაზრებებით და მათი ინტერესებიდან გამომდინარე არ არის გამართლებული.

ამგვარადვე, სამხედრო ტყვეები ყოველთვის დაცული უნდა იყვნენ, განსაკუთრებით ძალადობისა და დაშინების ნებისმიერი აქტისაგან და შეურაცხყოფისა და ხალხის ცნობისმოყვარეობისგან.

აკრძალულია სამხედრო ტყვეების მიმართ რეპრესალიების გამოყენება.

მუხლი 14

ნებისმიერ გარემოებაში სამხედრო ტყვეებს აქვთ მათი პიროვნებისა და ღირსების პატივისცემის უფლება.

ქალებს უნდა მოეპყრონ მათი სქესის მიმართ შესაფერისი პატივისცემით და ყველა შემთხვევაში იმაზე არანაკლებ, ვიდრე მამაკაცებს. სამხედრო ტყვეები სრულად ინარჩუნებენ თავიანთ სამოქალაქო უფლებაუნარიანობას, რომლითაც დატყვევების დროს სარგებლობენ. დამატყვევებელ სახელმწიფოს თავის ტერიტორიაზე ან მის ფარგლებს გარეთ ამ უფლებაუნარიანობით მინიჭებული უფლებების შეზღუდვა შეუძლია იმდენად, რამდენადაც ამას ტყვეობის პირობები მოითხოვს.

მუხლი 15

დამატყვევებელი სახელმწიფო ვალდებულია უფასოდ უზრუნველყოს სამხედრო ტყვეთა არსებობის პირობები და მათი ჯანმრთელობის მდგომარეობის შესატყვისი სამედიცინო დახმარება.

მუხლი 16

წინამდებარე კონვენციის დებულებების გათვალისწინებით, რომლებიც წოდებასა და სქესს შეეხება, დამატყვევებელი სახელმწიფო ყველა ტყვეს თანაბრად უნდა მოეპყროს რასის, ეროვნების, აღმსარებლობის, პოლიტიკური შეხედულებების ან ანალოგიურ კრიტერიუმებზე დაფუძნებული ყოველგვარი დისკრიმინაციის გარეშე. გამონაკლისს წარმოადგენს პრივილეგირებული რეჟიმების არსებობა, რომლებიც ტყვეთა ჯანმრთელობის მდგომარეობის, ასაკის ან კვალიფიკაციის მიხედვით შეიძლება შემოიღონ.

პარი III ტყვეობა

ნაწილი I ტყვეობის დასაწყისი

მუხლი 17

ყოველი სამხედრო ტყვე დაკითხვისას ვალდებულია აცნობოს მხოლოდ თავისი გვარი, სახელი და წოდება, დაბადების თარიღი და სამხედრო დანაყოფის, პირადი ან სერიული ნომერი ან, მისი არქონის შემთხვევაში, სხვა თანაბარი მნიშვნელობის ინფორმაცია.

თუ სამხედრო ტყვე შეგნებულად დაარღვევს ამ წესს, იგი შეიძლება მისი წოდების ან მდგომარეობის სამხედრო ტყვეებისათვის გათვალისწინებული უპირატესობების შეზღუდვის საფრთხის წინაშე აღმოჩნდეს.

კონფლიქტში მონაწილე ყოველი მხარე ვალდებულია, მის იურისდიქციაში მყოფი ყოველი პირი, რომელიც შეიძლება ტყვედ ჩავარდეს, უზრუნველყოს გვარის, სახელის, წოდების, სამხედრო, დანაყოფის, პირადი ან სერიული ნომრის ან სხვა თანაბარი ინფორმაციისა და დაბადების თარიღის მითითების მქონე პირადობის მოწმობით. ამას გარდა, ეს მოწმობა შეიძლება შეიცავდეს მფლობელის ხელმოწერას ან თითის ანაბეჭდს, ან ორივეს ერთად; ასევე, საკუთარი შეიარაღებული ძალების შემადგენლობაში მყოფ პირებთან დაკავშირებულ ნებისმიერ სხვა მონაცემს, რომლის მითითებასაც კონფლიქტის მონაწილე მხარე მოისურვებს. პირადობის მოწმობა შეძლებისამებრ 6,5x10სმ. ზომის უნდა იყოს და ჰქონდეს ასლი. სამხედრო ტყვე ვალდებულია ნებისმიერი მოთხოვნისთანავე წარადგინოს მოწმობა, მაგრამ არავითარ შემთხვევაში არ შეიძლება მისთვის ამ პირადობის მოწმობის ჩამორთმევა.

დაუშვებელია ნებისმიერი სახის ინფორმაციის მიღების მიზნით სამხედრო ტყვეების მიმართ ფიზიკური ან მორალური წამების ან სხვა სახის იძულებითი აქტების გამოყენება. დაუშვებელია მუქარა, შეურაცხყოფა ან ნებისმიერი სახის დევნა და შევიწროება იმ სამხედრო ტყვეების მიმართ, რომლებმაც შეკითხვებზე პასუხის გაცემაზე უარი განაცხადეს.

სამხედრო ტყვეები, რომელთაც თავიანთი ფიზიკური ან ფსიქიური მდგომარეობის გამო არ შეუძლიათ საკუთარი პიროვნების შესახებ ცნობების მიწოდება, სამედიცინო სამსახურს გადაეცემათ. ამ სამხედრო ტყვეთა ვინაობა, წინა პარაგრაფის დებულებათა გათვალისწინებითა და ყველა ნებადართული ხერხის გამოყენებით უნდა დადგინდეს. სამხედრო ტყვეთა დაკითხვა მათთვის გასაგებ ენაზე უნდა წარმოებდეს.

მუხლი 18

პირადი მოხმარების ყველა ნივთი და საგანი, გარდა იარაღის, ცხენების, საომარი აღჭურვილობისა და სამხედრო დოკუმენტებისა, რჩება სამხედრო ტყვეთა განკარგულებაში, ისევე როგორც ჩაჩქანები, აირწინაღები და მსგავსი ნივთები, რომლებიც მათ ინდივიდუალური დაცვისათვის გადაეცათ. მათ განკარგულებაში ასევე რჩება ნივთები და საგნები, რომლებიც მათი სამხედრო შემოსვის და კვებისათვის გამოიყენება, იმ შემთხვევაშიც კი, თუ ეს ნივთები და საგნები ოფიციალურ სამხედრო აღჭურვილობას მიეკუთვნება.

სამხედრო ტყვეები პირადობის დამადასტურებელი დოკუმენტის გარეშე არასდროს უნდა დარჩნენ. დამატყვევებელი სახელმწიფო ასეთ დოკუმენტებს აძლევს იმ პირებს, რომელთაც ისინი არა აქვს.

სამხედრო ტყვეს არ შეიძლება ჩამოერთვას წოდებისა და სახელმწიფოსადმი კუთვნილების ნიშნები, ორდენები და ნივთები, რომლებსაც, უმთავრესად პირადი ან სუბიექტური ფასეულობა აქვთ.

სამხედრო ტყვეებს მათ მფლობელობაში არსებული ფულადი თანხა შეიძლება ჩამოერთვას მხოლოდ ოფიცრის განკარგულებით და მხოლოდ მას შემდეგ, რაც თანხის რაოდენობისა და მფლობელის მონაცემები სპეციალურ რეესტრში დარეგისტრირდება და ტყვეებს დაწერილებითი ხელწერილი გადაეცემათ, რომელშიც გარკვევითაა აღნიშნული ხელწერილის გამცემი პირის სახელი, წოდება და სამხედრო ნაწილი. დამატყვევებელი სახელმწიფოს ვალუტაში არსებული თანხა ან ის თანხა, რომელიც სამხედრო ტყვის თხოვნით ამ ვალუტაზე გაიცვალა, მის პირად ანგარიშზე შეიტანება 64-ე მუხლის შესაბამისად.

დამატყვევებელ სახელმწიფოს სამხედრო ტყვისათვის ძვირფასი ნივთების ჩამორთმევა მხოლოდ უსაფრთხოების მოსაზრების საფუძველზე შეუძლია. ასეთ შემთხვევებში დაცული იქნება იგივე წესი, რაც ფულადი თანხის ჩამორთმევის შემთხვევაში.

აღნიშნული ნივთები, ასევე ჩამორთმეული ფულადი თანხა, თუ ისინი დამატყვევებელი სახელმწიფოს ვალუტაში არ იყო და მისი გაცვლა მფლობელს არ უთხოვია, დამატყვევებელმა სახელმწიფომ უნდა შეინახოს და ტყვეობის დამთავრებისთანავე სამხედრო ტყვეებს იმავე სახით დაუბრუნოს, როგორც ჩამოერთვათ.

მუხლი 19

სამხედრო ტყვეები, მათი უსაფრთხოების უზრუნველსაყოფად, ტყვედ ჩავარდნიდან უმოკლეს ვადაში უნდა იყვნენ ევაკუირებულნი სამხედრო მოქმედებათა ზონიდან საკმაოდ დაშორებულ ბანაკებში.

საშიშ ზონაში დროებით შეიძლება დატოვონ მხოლოდ ის სამხედრო ტყვეები, რომლებსაც ევაკუაცია, მათი ჭრილობის ან ავადმყოფობის მდგომარეობის გამო, უფრო სერიოზულ საფრთხეს შეუქმნის, ვიდრე ადგილზე დატოვება. აუცილებლობის გარეშე არ შეიძლება სამხედრო მოქმედებათა ზონიდან მათი ევაკუაციის მოლოდინში სამხედრო ტყვეების საფრთხეში ჩაყენება.

მუხლი 20

სამხედრო ტყვეთა ევაკუაცია ყოველთვის კუმანურად და იმ პირობების ანალოგიურად უნდა მოხდეს, რომელთაც დამატყვევებელი სახელმწიფო საკუთარ ჯარებს მათი გადაადგილებისას ანიჭებს.

სახელმწიფომ ევაკუირებული სამხედრო ტყვეები სათანადო რაოდენობის საკვებით, სასმელი წყლითა და ტანსაცმლით უნდა მოამარაგოს და უზრუნველყოს სამედიცინო დახმარებით. ევაკუაციის დროს, დამატ-

ყვევებელმა სახელმწიფომ მათი უსაფრთხოების უზრუნველყოფისთვის აუცილებელი ყველა ზომა უნდა მიიღოს და პირველი შესაძლებლობისთანავე შეადგინოს ევაკუირებულ სამხედრო ტყვეთა სია.

იმ შემთხვევაში, თუ სამხედრო ტყვეებს ევაკუაციისას სატრანზიტო ბანაკების გავლა მოუწევთ, მათი იქ ყოფნა რაც შეიძლება ხანმოკლე უნდა იყოს.

ნაწილი II

სამხედრო ტყვეების ინტერნირება

თავი I

ზოგადი დებულებები

მუხლი 21

დამატყვევებელ სახელმწიფოს შეუძლია სამხედრო ტყვეთა ინტერნირება. მას შეუძლია აუკრძალოს მათ ინტერნირების ბანაკის დადგენილი მიჯნის გარეთ გასვლა ან, თუ ბანაკს გარს მესერი აკრავს, ამ მესერს გარეთ გასვლა. წინამდებარე კონვენციის დებულებებით გათვალისწინებული იმ შემთხვევების გარდა, რომლებიც დისციპლინარულ და სისხლისსამართლებრივ სანქციებს ეხება, დაუშვებელია სამხედრო ტყვეთა ჩაკეტილ შენობაში მოთავსება, გამონაკლისია შემთხვევა, როდესაც მიღებული ზომები მათი ჯანმრთელობის დაცვისათვის აუცილებელია. ყოველ შემთხვევაში, ამ ღონისძიების გამოყენება მხოლოდ იმ პერიოდის განმავლობაშია დასაშვები, სანამ მისი გამომწვევი მიზეზები არ შეწყდება.

სამხედრო ტყვეებს პატიოსანი სიტყვის ან პირობის მიცემის საფუძველზე შეიძლება ნაწილობრივი ან სრული თავისუფლება მიენიჭოთ იმდენად, რამდენადაც ასეთი რამ იმ სახელმწიფოს კანონმდებლობითაა დაშვებული, რომელსაც ისინი ეკუთვნიან. კერძოდ, ეს ღონისძიება მაშინ გამოიყენება, როდესაც მას შეუძლია ტყვეთა ჯანმრთელობის მდგომარეობის გაუმჯობესებას შეუწყოს ხელი. არ შეიძლება ტყვეთა იძულებით პატიოსანი სიტყვის ან პირობის მიცემის საფუძველზე გათავისუფლებაზე დათანხმება.

საომარი მოქმედებების დაწყებისას, კონფლიქტის მონაწილე ყოველი მხარე მოწინააღმდეგე მხარეს აცნობებს იმ კანონებსა და წესებს, რომელიც მის მოქალაქეებს ნებას რთავს ან უკრძალავს პატიოსანი სიტყვის ან პირობის მიცემის საფუძველზე გათავისუფლებას დაეთანხმონ. ამგვარად შეტყობინებული კანონებისა და წესების შესაბამისად პატიოსანი სიტყვის ან პირობის მიცემის საფუძველზე გათავისუფლებული სამხედრო ტყვეები ვალდებული არიან საკუთარი ღირსებით

ზუსტად შეასრულონ აღებული ვალდებულებები როგორც იმ სახელმწიფოს მიმართ, რომელსაც ისინი ეკუთვნიან, ისე მათი დამატყვევებელი სახელმწიფოს მიმართაც. ასეთ შემთხვევებში სახელმწიფომ, რომელსაც ისინი ეკუთვნიან, მათგან არ უნდა მოითხოვოს ან არ უნდა მიიღოს რაიმე სამსახური, რომელიც მათ მიერ მიცემულ სიტყვას ან პირობას ეწინააღმდეგება.

მუხლი 22

სამხედრო ტყვეების ინტერნირება შეიძლება მხოლოდ ხმელეთზე განლაგებულ ისეთ ნაგებობებში, რომლებიც ჰიგიენისა და ჯანმრთელობის დაცვის თვალსაზრისით ყველა გარანტიას ქმნის. განსაკუთრებული შემთხვევების გარდა, რომელიც თავად ტყვეთა ინტერესებითაა გამართლებული, არ შეიძლება მათი ინტერნირება ციხის შენობებში.

არაჯანსაღ ან მათი ჯანმრთელობისათვის საზიანო კლიმატის პირობებში ინტერნირებული სამხედრო ტყვეები პირველი შესაძლებლობისთანავე უნდა გადაიყვანონ უფრო ხელსაყრელი კლიმატის ადგილებში.

დამატყვევებელი სახელმწიფო სამხედრო ტყვეებს ბანაკებში ან ბანაკის სექტორებში განათავსებს მათი ეროვნების, ენისა და ჩვეულებების გათვალისწინებით, მხოლოდ იმ პირობით, რომ სამხედრო ტყვეებს იმ შეიარაღებული ძალების სამხედრო ტყვეებისგან არ განაცალკევებენ, რომელშიც ისინი ტყვედ ჩავარდნის მომენტში მსახურობდნენ. გამონაკლისია შემთხვევა, როდესაც ამაზე თანხმობას თავად ტყვეები გამოთქვამენ.

მუხლი 23

არც ერთი სამხედრო ტყვე არავითარ შემთხვევაში არ უნდა გაიგზავნოს იმ რაიონში, სადაც შეიძლება საომარი მოქმედებების ზონიდან უშუალოდ ცეცხლის ზონაში მოხვდეს. ასევე დაუშვებელია მათი დაკავება აღნიშნულ რაიონებში და ობიექტების საომარი ოპერაციებისაგან დაცვის მიზნით რაიმე პუნქტში ან რაიონში მათი ყოფნით სარგებლობა.

სამხედრო ტყვეები, ადგილობრივი სამოქალაქო მოსახლეობის მსგავსად, საჭირო თავდასხმებისა და ომის სხვა საშიშროებისგან თავდასაცავად უნდა სარგებლობდნენ თავშესაფრებით. სამხედრო ტყვეებს, იმ პირობების გამოკლებით, რომლებიც აღნიშნულ საფრთხეთაგან თავიანთი ნაგებობების დაცვაში მონაწილეობენ, რაც შეიძლება სწრაფად, განგავის დაწყებისთანავე უნდა მიეცეთ თავშესაფარში შესვლის შესაძლებლობა. სამოქალაქო მოსახლეობის დასაცავად გატარებული ყველა სხვა ღონისძიება უნდა გატარდეს სამხედრო ტყვეების მიმართაც.

დამატყვევებელი სახელმწიფოები, მფარველ სახელმწიფოთა მეშვეო-

ბით ერთმანეთს აცნობებენ ყველა საჭირო მონაცემს სამხედრო ტყვეთა ბანაკების გეოგრაფიული ადგილმდებარეობის შესახებ.

დღისით, როცა საომარი მოსაზრებებიდან გამომდინარე ეს შესაძლებელი იქნება, ბანაკები უნდა აღინიშნოს ასოებით “PW” ან “PG”, რომლებიც ისე უნდა განლაგდეს, რომ საჰაერო სივრციდან გარკვევით ჩანდეს. თუმცა, დაინტერესებულ სახელმწიფოებს შეუძლიათ აღნიშვნის სხვა სისტემაზეც შეთანხმდნენ. ასეთი აღნიშვნა მხოლოდ სამხედრო ტყვეთა ბანაკებისთვისაა ნებადართული.

მუხლი 24

მუდმივი ხასიათის ტრანზიტული ან დასახარისხებელი ბანაკები თავისი მოწყობით უნდა პასუხობდეს წინამდებარე ნაწილში გათვალისწინებულის მსგავს პირობებს და მათში უნდა არსებობდეს სამხედრო ტყვეებთან მოპყრობის ისეთივე რეჟიმი, როგორც სხვა ბანაკებში.

თავი II

სამხედრო ტყვეების ბანთაშვსება, კვება და ტანსაცმელი

მუხლი 25

სამხედრო ტყვეთა ბანაკებში განთავსების პირობები იმაზე არანაკლებ ხელსაყრელი უნდა იყოს, რომლებითაც იმავე ადგილას განლაგებული დამატყვევებელი სახელმწიფოს ჯარები სარგებლობენ. ეს პირობები სამხედრო ტყვეთა ჩვევებისა და ჩვეულებების გათვალისწინებით უნდა დადგინდეს და არავითარ შემთხვევაში არ უნდა იყოს საზიანო მათი ჯანმრთელობისათვის.

კერძოდ, ზემოაღნიშნული დებულებები გამოიყენება სამხედრო ტყვეების საძილე სათავსოების მიმართ, როგორც ფართობის საერთო ზომისა და მინიმალური კუბატურის, ისე ადჭურვილობისა და საძილე საშუალებების, მათ შორის საბნების თვალსაზრისით.

სამხედრო ტყვეების ინდივიდუალური ან კოლექტიური მოხმარებისათვის განკუთვნილი შენობები მთლიანად უნდა იყოს დაცული ნესტისაგან, საკმარისად უნდა თბებოდეს და ნათდებოდეს, განსაკუთრებით სიბნელის დადგომასა და სინათლის გამორთვის დადგენილი დროის შორის მონაკვეთში. მიღებული უნდა იყოს ყველა ხანძარსაწინააღმდეგო ზომა.

იმ ბანაკებში, სადაც მამაკაცებთან ერთად სამხედრო ტყვე ქალები იმყოფებიან, მათთვის ცალკე საძილე სათავსოები უნდა უზრუნველყონ.

მუხლი 26

კვების ძირითადი დღიური რაციონი თავისი რაოდენობით, ხარისხითა და მრავალფეროვნებით საკმარისი უნდა იყოს სამხედრო ტყვეთა ჯანმრთელობის ნორმალური მდგომარეობის შესანარჩუნებლად და მათი წონაში დაკლების ან არასაკმარის კვებასთან დაკავშირებული მოვლენების თავიდან ასაცილებლად. ანგარიში უნდა გაეწიოს სამხედრო ტყვეთათვის ჩვეულ კვების რეჟიმსაც.

დამატკევებელმა სახელმწიფომ მომუშავე სამხედრო ტყვეები, მათ მიერ შესრულებული სამუშაოს ხასიათიდან გამომდინარე, უნდა უზრუნველყოს კვების დამატებითი რაციონით.

სამხედრო ტყვეები უნდა მოამარაგონ სასმელი წყლის საკმარისი რაოდენობით. თამბაქოს მოწევა ნებადართული უნდა იყოს.

სამხედრო ტყვეები შესაძლებლობების მაქსიმალურ ფარგლებში ჩაერთვებიან თავიანთი საკვების მომზადების პროცესში. ამ მიზნით შესაძლებელია სამზარეულოში მათი დასაქმება. გარდა ამისა, მათ შესაძლებლობა ექნებათ მოამზადონ კერძები მათ ხელთ არსებული დამატებითი პროდუქტებისგან.

კოლექტიური სადილობისათვის სათანადო სათავსოები უნდა გამოიყოს.

აკრძალულია კვებასთან დაკავშირებული ყოველგვარი კოლექტიური დისციპლინური სასჯელის დაკისრება.

მუხლი 27

დამატკევებელი სახელმწიფო, იმ ადგილის კლიმატური პირობების გათვალისწინებით, სადაც სამხედრო ტყვეები იმყოფებიან, სამხედრო ტყვეებს უზრუნველყოფს საკმარისი რაოდენობის ტანსაცმლით, თეთრეულითა და ფეხსაცმლით. დამატკევებელი სახელმწიფოს მიერ ხელში ჩაგდებული მოწინააღმდეგე მხარის შეიარაღებული ძალების საფორმო ტანსაცმლის გამოყენება შეიძლება სამხედრო ტყვეების შესამოსად, თუ ეს უკანასკნელი კლიმატური პირობების შესაფერისია.

ზემოაღნიშნული ნივთების რეგულარულ შეცვლა-განახლებას დამატკევებელი სახელმწიფო უზრუნველყოფს. გარდა ამისა, მომუშავე სამხედრო ტყვეები შესაბამის ტანსაცმელს ყველგან მიიღებენ, სადაც ეს მათი სამუშაოს ხასიათიდან გამომდინარე იქნება აუცილებელი.

მუხლი 28

ყველა ბანაკში უნდა მოეწიოს სურსათ-სანოვავის მაღაზიები, სადაც სამხედრო ტყვეები შეძლებენ შეიძინონ კვების პროდუქტები, საპონი,

თამბაქო და პირადი მოხმარების საგნები, რომელთა გასაყიდი ფასიც ადგილობრივ საბაზრო ფასებს არ უნდა აღემატებოდეს.

სურსათ-სანოვაგის მაღაზიების ვაჭრობიდან მიღებული მოგება სამხედრო ტყვეების ინტერესებს უნდა მოხმარდეს, რისთვისაც უნდა შეიქმნას სპეციალური ფონდი. ტყვეთა წარმომადგენელს უფლება ექნება მონაწილეობა მიიღოს სურსათ-სანოვაგის მაღაზიის მუშაობასა და ამ ფონდის გამოყენებაში.

ბანაკის ლიკვიდაციის შემთხვევაში, სპეციალური ფონდის საკრედიტო საღლო გადაეცემა რომელიმე საერთაშორისო ჰუმანიტარულ ორგანიზაციას, რათა ის იმ სახელმწიფოების სამხედრო ტყვეთა ინტერესებისთვის გამოიყენონ, რომლის მოქალაქენიც სამხედრო ტყვეები იყვნენ და რომლებმაც ამ ფონდის შექმნაში თავისი წვლილი შეიტანეს. საყოველთაო რეპარტიაციისას, დაინტერესებულ ქვეყნებს შორის საწინააღმდეგო შეთანხმების არარსებობის შემთხვევაში, მოგება დაბატყვევებელ სახელმწიფოსთან რჩება.

თავი III

ჰიბიენა და სამედიცინო დახმარება

მუხლი 29

დამატყვევებელი სახელმწიფო ვალდებულია მიიღოს ჰიგიენასთან დაკავშირებული ყველა აუცილებელი ზომა, რომელიც საჭიროა ბანაკებში სისუფთავისა და ჯანმრთელობისათვის ხელსაყრელი მდგომარეობის შესაქმნელად და ეპიდემიების გავრცელების თავიდან ასაცილებლად.

დღისით და ღამით სამხედრო ტყვეების განკარგულებაში იქნება საპირფარეშოები, რომლებიც ჰიგიენის ყველა მოთხოვნას აკმაყოფილებს. ყველა ბანაკში, სადაც სამხედრო ტყვე ქალები იმყოფებიან, მათთვის ცალკე საპირფარეშოები უნდა გამოიყოს.

აბანოებისა და საშხაპეების გარდა, რომლებიც ბანაკებში მოეწყობა, სამხედრო ტყვეები სხეულის ყოველდღიური ჰიგიენის დაცვისა და თეთრეულის გასარეცხად საკმარისი წყლითა და საპნით იქნებიან უზრუნველყოფილნი; საამისოდ გამოიყოფა მათთვის საჭირო სათავსოები, საშუალებები და დრო.

მუხლი 30

ყოველ ბანაკს ექნება შესაბამისი ლაზარეთი, სადაც სამხედრო ტყვეები საჭირო სამედიცინო დახმარებას მიიღებენ და სადაც მათ აუცი-

ლებელი კვების რეჟიმით უზრუნველყოფენ. საჭიროების შემთხვევაში, გადამდები სნეულებებით და სულიერად დაავადებული ავადმყოფებისათვის შეიქმნება იზოლატორები.

სამხედრო ტყვეები, რომლებიც მძიმედ არიან ავად ან რომელთა ჯანმრთელობის მდგომარეობა სპეციალურ მკურნალობას, ქირურგიულ ჩარევას ან ჰოსპიტალიზაციას მოითხოვს, უნდა განთავსდნენ მათი მკურნალობის შესაძლებლობის მქონე ნებისმიერ სამხედრო თუ სამოქალაქო სამედიცინო დაწესებულებაში მაშინაც კი, თუკი ახლო მომავალში მოსალოდნელია მათი რეპატრიაცია. განსაკუთრებული პირობები შეიქმნება ინვალიდების, კერძოდ ბრმების მოსავლელად და რეპატრიაციის მოლოდინში მათ სარეაბილიტაციოდ.

სამხედრო ტყვეებს სამედიცინო დახმარებას უპირატესად იმ სახელმწიფოს სამედიცინო პერსონალი აღმოუჩენს, რომელსაც ისინი ეკუთვნიან და რომელიც, შეძლებისამებრ, იგივე ეროვნული კუთვნილებისაა. არ შეიძლება ხელი შეეშალოს სამხედრო ტყვეთა სამედიცინო პერსონალთან მიღებაზე მისვლას. ტყვედ ამყვანი ხელისუფლება ყოველ სამხედრო ტყვეს, რომელიც მკურნალობს, მისი თხოვნის საფუძველზე, მისცემს ოფიციალურ ცნობას დაავადების ან ჭრილობის ხასიათის, მკურნალობის ხანგრძლივობისა და ხასიათის შესახებ. ამ ცნობის დუბლიკატი სამხედრო ტყვეთა საქმეების ცენტრალურ სააგენტოს გაეგზავნება.

სამხედრო ტყვეთა მკურნალობის ხარჯებს, მათი ჯანმრთელობის შენარჩუნებისათვის აუცილებელი რაიმე მოწყობილობების, კერძოდ, კბილის ან სხვა პროთეზების და სათვალეების შექმნასთან დაკავშირებული ხარჯების ჩათვლით, გაიღებს დამატყვევებელი სახელმწიფო.

მუხლი 31

სამხედრო ტყვეთა სამედიცინო შემოწმება უნდა ჩატარდეს, სულ მცირე, თვეში ერთხელ. სამედიცინო შემოწმებისას შემოწმდება და ჩაიწერება თითოეული სამხედრო ტყვის წონა. კერძოდ, ეს შემოწმებები მიზნად ისახავს ჯანმრთელობის საერთო მდგომარეობაზე, კვებასა და სამხედრო ტყვეთა სისუფთავეზე ზედამხედველობას, აგრეთვე გადამდები სნეულებების, განსაკუთრებით ტუბერკულოზის, მაღარიისა და ვენერიული დაავადებების გამოვლენას. ამისათვის გამოიყენება ყველაზე ეფექტური ხელმისაწვდომი მეთოდები, მაგალითად, ტუბერკულოზის აღრეულ სტადიაში გამოსავლენად – მიკროფირზე პერიოდული ზოგადი რენტგენის სურათების გადაღება.

მუხლი 32

სამხედრო ტყვეებს, რომლებიც, მიუხედავად იმისა, რომ თავიანთი შეიარაღებული ძალების სამედიცინო სამსახურს არ ეკუთვნიან, მაგრამ არიან ექიმები, კბილის ექიმები, სანიტრები (ქალები და მამაკაცები),

დამატყვევებელ სახელმწიფოს შეუძლია თავიანთი სამედიცინო მოვალეობების შესრულება იმ სამხედრო ტყვეთა სასარგებლოდ მოსთხოვონ, რომლებიც მათ მსგავსად იმავე სახელმწიფოს ეკუთვნიან. ასეთ შემთხვევაში ეს პირები კვლავაც სამხედრო ტყვეებად დარჩებიან, მაგრამ ისეთივე მოპყრობით ისარგებლებენ, როგორც დამატყვევებელი სახელმწიფოს მიერ დაკავებული შესაბამისი სამედიცინო პერსონალი. ისინი 49-ე მუხლით გათვალისწინებული ნებისმიერი სხვა სამუშაოსგან გათავისუფლდებიან.

თავი IV

სამხედრო ტყვეებისთვის დახმარების გასაწევად დაკავებული სამედიცინო და სასულიერო პერსონალი

მუხლი 33

დამატყვევებელი სახელმწიფოს მიერ სამხედრო ტყვეთათვის დახმარების გასაწევად დაკავებული სამედიცინო და სასულიერო პერსონალი სამხედრო ტყვეებად არ ჩაითვლებიან. მიუხედავად ამისა, ისინი, სულ მცირე, წინამდებარე კონვენციით მინიჭებული უპირატესობებითა და მფარველობით ისარგებლებენ; მათ სამხედრო ტყვეთათვის სამედიცინო და სასულიერო დახმარების გაწევისათვის აუცილებელი ყველა პირობა შეექმნებათ.

აღნიშნული პირები დამატყვევებელი სახელმწიფოს სამხედრო კანონებისა და განკარგულებების ფარგლებში და ამ ქვეყნის საამისოდ უფლებამოსილი ორგანოების ხელმძღვანელობით, პროფესიული ეთიკის შესატყვისად თავიანთი სამედიცინო და სასულიერო მოვალეობების შესრულებას უპირატესად იმ შეიარაღებული ძალების სამხედრო ტყვეების მიმართ განაგრძობენ, რომელსაც თავად ეკუთვნიან. გარდა ამისა, სამედიცინო და სასულიერო მოვალეობების შესრულებისას ისინი შემდეგი შეღავათებით ისარგებლებენ:

(ა) უფლებამოსილი იქნებიან პერიოდულად მონახულონ ბანაკის გარეთ სამუშაო ბანაკებსა და ჰოსპიტლებში მყოფი სამხედრო ტყვეები. ამ მიზნით, დამატყვევებელმა სახელმწიფომ უნდა გამოიყოს მათთვის საჭირო სატრანსპორტო საშუალებები. (ბ) ყოველ ბანაკში წოდებითა და სტაჟით უფროსი სამხედრო ექიმი ბანაკის სამხედრო ხელისუფლების წინაშე პასუხისმგებელია დაკავებული სამედიცინო პერსონალის პროფესიულ საქმიანობაზე. ამ მიზნით, საომარი მოქმედებების დაწყებისთანავე, კონფლიქტის მონაწილე მხარეები ერთმანეთს სამედიცინო პერსონალის, აგრეთვე მოქმედ ჯარში დაჭრილთა და ავადმყოფთა მდგომარეობის გაუმჯობესების შესახებ ჟენევის 1949 წლის 12 აგვისტოს კონ-

ვენციის 26-ე მუხლში მითითებულ საზოგადოებათა პერსონალის წოდებათა შეფარდებას უთანხმებენ. ამ ექიმებსა და სასულიერო პირებს მათ პროფესიულ ვალდებულებებთან დაკავშირებულ ნებისმიერ საკითხზე ბანაკის სამხედრო და სამედიცინო ხელისუფლებისთვის პირდაპირ მიმართვის შესაძლებლობა ექნებათ; ეს უკანასკნელი მათ ამ საკითხებზე კორესპონდენციის წარმოების სათანადო შესაძლებლობას შეუქმნიან.

(გ) მიუხედავად იმისა, რომ დაკავებული პერსონალი ბანაკის შინაგანაწესს ემორჩილება, არ შეიძლება მათი იძულება შეასრულონ სამუშაო, რომელიც მათ სამედიცინო ან რელიგიურ მოვალეობებს არ უკავშირდება.

საომარი მოქმედებების დროს კონფლიქტის მონაწილე მხარეები დაკავებული პერსონალის შესაძლო გათავისუფლებაზე თანხმდებიან და ამგვარი გათავისუფლების პროცედურულ წესს ადგენენ.

არც ერთი წინა დებულება დამატკვევებელ სახელმწიფოს არ ათავისუფლებს სამხედრო ტყვეთა სამედიცინო და სასულიერო ხასიათის მოთხოვნილებების დაკმაყოფილების სფეროში მასზე დაკისრებული მოვალეობებისგან.

თავი V

რელიგიური, ინტელექტუალური და ფიზიკური საქმიანობა

მუხლი 34

სამხედრო ტყვეებს სრული თავისუფლება მიენიჭებათ მათი რელიგიური წესების აღსასრულებლად, შესაბამის რელიგიურ წირვებზე დასწრების ჩათვლით, იმ პირობით, რომ ისინი სამხედრო ხელისუფლების მიერ დაწესებულ დისციპლინურ წესრიგს დაიცავენ.

უნდა გამოიყოს რელიგიური მსახურებისათვის საჭირო სათავსოები.

მუხლი 35

მოწინააღმდეგე მხარის ხელში მოხვედრილ სამხედრო სასულიერო პერსონალს, რომელიც სამხედრო ტყვეთა დასახმარებლად დარჩა ან დააკავეს, უფლება ექნება მათ სულიერ მოთხოვნილებებს მოემსახუროს და თავისი რელიგიური აღმსარებლობის შესაბამისად, თავისი მოვალეობები ერთმორწმუნეთა შორის თავისუფლად აღასრულოს. მათ სხვადასხვა ბანაკსა და სამუშაო რაზმში გაანაწილებენ, სადაც იმავე შეიარაღებული ძალების კუთვნილი, იმავე ენაზე მოსაუბრე ან იმავე რელიგიური აღმსარებლობის სამხედრო ტყვეები იმყოფებიან. სასულიერო პერსონალს საჭირო

საშუალებები მიეცემა მათი ბანაკის ფარგლებს გარეთ მყოფი სამხედრო ტყვეების მოსანახულებლად, 33-ე მუხლით გათვალისწინებული სატრანსპორტო საშუალებების ჩათვლით. აღნიშნული პირები მათ რელიგიურ მოვალეობებთან დაკავშირებით ისარგებლებენ დამაკავებელი სახელმწიფოს სასულიერო ხელისუფლებასა და საერთაშორისო რელიგიურ ორგანიზაციებთან თავისუფალი მიმოწერის უფლებით; აღნიშნული მიმოწერა შეიძლება დაექვემდებაროს ცენზურას. მათ მიერ ამ მიზნით გაგზავნილი წერილები და საფოსტო ბარათები 71-ე მუხლით დადგენილ ნორმაში არ მოექცევა.

მუხლი 36

ტყვედ ჩავარდნილი სასულიერო პირები, რომლებიც თავიანთი შეიარაღებული ძალების სასულიერო პერსონალის შემადგენლობაში არ შედიოდნენ, უფლებამოსილი იქნებიან მათი რელიგიური აღმსარებლობისდა მიუხედავად, თავისუფლად განახორციელონ თავისი მოვალეობები ერთმორწმუნეთა შორის. ამ თვალსაზრისით, მათ ისევე მოეპყრობიან, როგორც დამატყვევებელი სახელმწიფოს მიერ დაკავებულ სამხედრო სასულიერო პერსონალის წარმომადგენლებს. დაუშვებელია მათთვის რაიმე სხვა სახის სამუშაოს შესრულების იძულება.

მუხლი 37

იმ შემთხვევებში, როცა სამხედრო ტყვეები დაკავებული სამხედრო სასულიერო პერსონალის წარმომადგენლის ან მათი აღმსარებლობის სამხედრო ტყვე სასულიერო პირის სულიერი დახმარებით არ სარგებლობენ, დაინტერესებულ სამხედრო ტყვეთა თხოვნით, ამ მოვალეობათა შესასრულებლად მათი ან მსგავსი აღმსარებლობის სასულიერო პირი დაინიშნება, ან, თუ ასეთი პირი არ ჰყავთ, ამ საქმის მცოდნე სამოქალაქო პირი, თუ ეს რელიგიური თვალსაზრისით დასაშვებია. ეს დანიშვნა უნდა დაამტკიცოს დამატყვევებელმა სახელმწიფომ. ის დაინტერესებული სამხედრო ტყვეების საზოგადოების თანხმობითა და, საჭიროების შემთხვევაში, იმავე აღმსარებლობის ადგილობრივი სასულიერო ხელისუფლების დასტურით უნდა განხორციელდეს. ამგვარად დანიშნული პირი ვალდებული იქნება დამატყვევებელი სახელმწიფოს მიერ დისციპლინისა და სამხედრო უშიშროების უზრუნველყოფის მიზნით დაწესებული წესებით იმოქმედოს.

მუხლი 38

პატივისცემით მოეპყრობა რა ყოველი სამხედრო ტყვის პირად მიდრეკილებებს, დამატყვევებელი სახელმწიფო ხელს შეუწყობს სამხედრო ტყვეთა ინტელექტუალურ, საგანმანათლებლო, რეკრეაციულ, სპორტულ

და გასართობ აქტივობას. მან საამისოდ სამხედრო ტყვეობის განმგებლობაში შესაბამისი სათავსოებისა და საჭირო ინვენტარის გადაცემის გზით აუცილებელი ზომები უნდა მიიღოს.

სამხედრო ტყვეებს უნდა ჰქონდეთ ფიზიკური ვარჯიშისა და სუფთა ჰაერზე ყოფნის შესაძლებლობა, სპორტისა და სპორტული თამაშების ჩათვლით. ამ მიზნით, ყოველ ბანაკში საკმარისი ზომის თავისუფალი სივრცე უნდა გამოიყოს.

თავი VI დისციპლინა

მუხლი 39

სამხედრო ტყვეთა ყოველი ბანაკი დამატყვევებელი სახელმწიფოს რეგულარული შეიარაღებული ძალების შემადგენლობაში მყოფი პასუხისმგებელი ოფიცრის უშუალო დაქვემდებარებაში მოექცევა. ამ ოფიცერს წინამდებარე კონვენციის ტექსტი თან ექნება; იგი უზრუნველყოფს კონვენციის ტექსტის დებულებების გაცნობას ბანაკის მთელი პერსონალისა და მცველებისათვის და პასუხისმგებელი იქნება თავისი მთავრობის კონტროლის ქვეშ კონვენციის დებულებათა გამოყენებაზე.

სამხედრო ტყვეებმა, ოფიცრების გამოკლებით, დამატყვევებელი ქვეყნის ჯარის ოფიცრების მიმართ უნდა გამოხატონ მათი არმიის წესდებით გათვალისწინებული მისალმებისა და პატივისცემის გარეგანი ნიშნები.

სამხედრო ტყვე-ოფიცერი მხოლოდ მასზე უფროსი წოდების მქონე დამატყვევებელი სახელმწიფოს ოფიცრებს ესალმება, მაგრამ ვალდებულია მიესალმოს ბანაკის უფროსს, მიუხედავად მისი წოდებისა.

მუხლი 40

ნებადართული უნდა იყოს განმასხვავებელი და მოქალაქეობის აღმნიშვნელი ნიშნების, ასევე ორდენების ტარება.

მუხლი 41

სამხედრო ტყვეთა ენაზე დაწერილი წინამდებარე კონვენციის და მისი დანართების ტექსტი, აგრეთვე მე-6 მუხლით გათვალისწინებული ყველა სპეციალური შეთანხმების შინაარსი ყველა ბანაკში ისეთ ადგილზე გამოიკვრება, სადაც თითოეულ სამხედრო ტყვეს მისი წა-

კითხვის შესაძლებლობა მიეცემა. შესაბამისი თხოვნის საფუძველზე, კონვენციის ტექსტს იმ სამხედრო ტყვეებსაც გააცნობენ, რომელთაც თვითონ ამის წაკითხვის შესაძლებლობა არ გააჩნიათ.

სამხედრო ტყვეებს სამხედრო ტყვეთა მოქცევისთან დაკავშირებულ ყოველგვარ წესს, ბრძანებას, განცხადებასა და პუბლიკაციას მათთვის გასაგებ ენაზე მიაწვდიან. მათ ზემოაღნიშნული წესის შესაბამისად გააკრავენ და ეგზემპლართა გარკვეულ რაოდენობას ტყვეთა წარმომადგენელს გადასცემენ. ცალკეულ სამხედრო ტყვეთა მიმართ ყველა ბრძანება და განკარგულება ასევე მათთვის გასაგებ ენაზე უნდა გაიცეს.

მუხლი 42

სამხედრო ტყვეების წინააღმდეგ, კერძოდ, მათი გაქცევის ან გაქცევის მცდელობის შემთხვევაში, იარაღის გამოყენება, უკიდურესი სახის ღონისძიება და მას ვითარებიდან გამომდინარე ყოველთვის წინ უნდა უსწრებდეს გაფრთხილებები.

თავი VII

სამხედრო ტყვეების სამხედრო წოდებები

მუხლი 43

საომარი მოქმედებების დაწყებისთანავე, კონფლიქტის მონაწილე მხარეები ერთმანეთს წინამდებარე კონვენციის მე-4 მუხლში მითითებული ყველა პირის სამხედრო წოდებასა და თანამდებობას შეატყობინებენ, რათა უზრუნველყოფილი იყოს ერთნაირი მოპყრობა თანაბარი წოდების ტყვეების მიმართ. მოგვიანებით დადგენილი თანამდებობები და წოდებები ანალოგიურ შეტყობინებას დაექვემდებარება.

დამატყვევებელი სახელმწიფო ცნობს სამხედრო ტყვეთა წოდებრივ დაწინაურებას, რომლის შესახებაც, შესაბამისი სახით, იმ სახელმწიფოსგან შეიტყობს, რომელსაც ეს ტყვეები ეკუთვნიან.

მუხლი 44

ოფიცრებსა და მათთან გათანაბრებულ სამხედრო ტყვეებს მათი წოდებისა და ასაკის შესაბამისი პატივისცემით უნდა მოეპყრონ.

ოფიცერთა ბანაკების მომსახურების უზრუნველსაყოფად, ოფიცერთა და მათთან გათანაბრებული პირების წოდებათა გათვალისწინებით,

უნდა გამოიყოს იმავე შეიარაღებული ძალების და, თუ შესაძლებელია, იმავე ენაზე მოსაუბრე სამხედრო ტყვე ჯარისკაცთა სათანადო რაოდენობა. არ შეიძლება ასეთი მორიგეებისთვის ნებისმიერი სხვა სახის სამუშაოს შესრულების დაკისრება.

წესრიგის დაცვაზე ზედამხედველობა ყოველნაირად უნდა წახალისდეს თავად ოფიცერთა მიერ.

მუხლი 45

სამხედრო ტყვეებს, რომლებიც ოფიცრები ან მათთან გათანაბრებული პირები არ არიან, მათი წოდებისა და ასაკის შესაბამისი პატივისცემით მოეპყრობიან.

წესრიგის დაცვაზე ზედამხედველობა ყოველნაირად უნდა წახალისდეს თავად სამხედრო ტყვეთა მიერ.

თავი VIII

სამხედრო ტყვეთა ბადაყვანა მათი ბანაკში მიყვანის შემდეგ

მუხლი 46

სამხედრო ტყვეთა გადაყვანის საკითხის გადაწყვეტისას, დამატყვევებელმა სახელმწიფომ უნდა გაითვალისწინოს თვით სამხედრო ტყვეთა ინტერესები, რათა მათ რეპარტიაციას დამატებითი სიძნელეები არ შეუქმნას.

სამხედრო ტყვეთა გადაყვანა ყოველთვის ჰუმანურად უნდა განხორციელდეს და არ უნდა მოხდეს იმაზე ცუდ პირობებში, რომელთაც დამატყვევებელი სახელმწიფო გადაადგილებისას საკუთარ ჯარებს უქმნის. ყოველთვის მხედველობაში უნდა მიიღებოდეს კლიმატური პირობები, რომელსაც სამხედრო ტყვეები არიან მიჩვეულნი და გადაადგილების პირობები არავითარ შემთხვევაში არ უნდა იყოს მათი ჯანმრთელობისათვის საზიანო.

ტყვედ ამყვანმა სახელმწიფომ სამხედრო ტყვეების გადაადგილებისას მათი ჯანმრთელობის შესანარჩუნებლად უნდა მოამარაგოს საკმარისი რაოდენობის სასმელი წყლითა და საკვებით, ამასთანავე, უზრუნველყოს ისინი აუცილებელი ტანსაცმლით, თავშესაფრითა და სამედიცინო დახმარებით. ტყვედ ამყვანმა სახელმწიფომ უნდა მიიღოს მათი უსაფრთხოების უზრუნველყოფისათვის აუცილებელი ყველა ზომა, განსაკუთრებით ზღვით გადაყვანისას, და მათ გამგზავრებამდე შეადგინოს გადასაცემი სამხედრო ტყვეთა სრული სია.

მუხლი 47

დაჭრილ და ავადმყოფ სამხედრო ტყვეებს, თუ მათი უსაფრთხოება ამას დაუინებით არ მოითხოვს, არ გადაადგილებენ მანამდე, სანამ გადაადგილება მათი ჯანმრთელობისათვის საფრთხის მომცველი იქნება. სამხედრო ტყვეთა რომელიმე ბანაკთან ფრონტის ხაზის მოახლოებისას, ბანაკში მყოფ სამხედრო ტყვეებს მხოლოდ იმ შემთხვევაში გადაადგილებენ, თუ ეს საკმარისი უსაფრთხოების პირობებშია შესაძლებელი ან თუ ადგილზე დატოვება მათ უფრო დიდ საფრთხეს შეუქმნის, ვიდრე გადაყვანა.

მუხლი 48

გადაყვანის შემთხვევაში სამხედრო ტყვეებს ოფიციალურად უნდა შეატყობინონ მათი გადაადგილების შესახებ და აცნობონ ახალი საფოსტო მისამართი. ეს შეტყობინება უნდა განხორციელდეს წინასწარ, რათა ტყვეებმა მოასწრონ ნივთების ჩალაგება და ახლო ნათესავების გაფრთხილება.

სამხედრო ტყვეებს ნებას რთავენ თან წაიღონ პირადი ნივთები, კორესპონდენცია და მათ სახელზე მოსული გზავნილები. როცა ამას გადაყვანის გარემოებები მოითხოვს, ამ ნივთების წონა შეიძლება იმ ზომამდე შეიზღუდოს, რომლის ნორმალურად ტარებაც სამხედრო ტყვეს შეუძლია, მაგრამ ნებადართული წონა არავითარ შემთხვევაში არ უნდა აღემატებოდეს 25 კილოგრამს ადამიანზე.

ადრინდელი ბანაკის მისამართზე გაგზავნილი კორესპონდენცია და გზავნილები მათ დაუყოვნებლივ გადაეგზავნებათ. ბანაკის მეთაური, სამხედრო ტყვეთა წარმომადგენელთან შეთანხმებით, მიიღებს აუცილებელ ზომებს სამხედრო ტყვეთა საერთო ქონებისა და იმ საგნების გადატანის უზრუნველსაყოფად, რომელთა თან წაღებაც მათ მეორე პარაგრაფში მითითებული შეზღუდვების გამო ვერ მოახერხეს.

გადაადგილების ხარჯებს გაიღებს ტყვედ ამყვანი სახელმწიფო.

ნაწილი III

სამხედრო ტყვეთა დასაქმება

მუხლი 49

ტყვედ ამყვან სახელმწიფოს შეუძლია შრომისუნარიანი სამხედრო ტყვეების სამუშაო ძალის სახით გამოყენება მათი ასაკის, სქესის, სამ-

ხედრო წოდებისა და ფიზიკური მონაცემების გათვალისწინებით, რათა მათ კარგი ფიზიკური და მორალური მდგომარეობა შეინარჩუნონ.

დატყვევებულ უნტერ-ოფიცრებს შეიძლება მხოლოდ საზედამხედველო სამუშაოს შესრულება მოეთხოვოთ. უნტერ-ოფიცრებს, რომლებსაც ასეთი სამუშაო არ მოეთხოვებათ, შეუძლიათ მათთვის შესაფერისი სხვა სამუშაოს გამოყოფა ითხოვონ, რომელიც მათთვის შეძლებისამებრ უნდა გამოიძებნოს. თუ ოფიცრები და მათთან გათანაბრებული პირები მათთვის შესაფერის სამუშაოს ითხოვენ, მათ იგი შეიძლებისამებრ მიეცემათ, მაგრამ ყოველად დაუშვებელია მათი იძულებით მუშაობა.

მუხლი 50

თავისი ბანაკების მართვასთან, აღჭურვასა და წესრიგის შენარჩუნებასთან დაკავშირებული სამუშაოების გარდა, სამხედრო ტყვეები იძულებითი წესით შეიძლება მხოლოდ ისეთი კატეგორიების სამუშაოებზე ამუშაონ, როგორცაა:

- (ა) სოფლის მეურნეობა;
- (ბ) მრეწველობის მომპოვებელი ან გადაამუშავებელი დარგები, გარდა მეტალურგიული, მანქანათმშენებლობისა და ქიმიური მრეწველობის, ასევე სამხედრო ხასიათის ან სამხედრო მიზნის არმქონე საზოგადოებრივი სამუშაოები და მშენებლობები;
- (გ) სატრანსპორტო ან დატვირთვა-გადმოტვირთვის სამუშაოები, რომლებსაც სამხედრო ხასიათი ან დანიშნულება არა აქვს;
- (დ) კომერციული საქმიანობა, ხელოვნება და ხელოსნობა;
- (ე) საოჯახო მომსახურების სამუშაოები;
- (ვ) კომუნალური მომსახურება, რომელსაც სამხედრო ხასიათი ან დანიშნულება არა აქვს.

ზემოაღნიშნული დებულებების დარღვევის შემთხვევაში სამხედრო ტყვეებს უფლება აქვთ წარადგინონ საჩივარი 78-ე მუხლის შესაბამისად.

მუხლი 51

სამხედრო ტყვეები შესაფერისი სამუშაო პირობებით უნდა უზრუნველყონ განსაკუთრებით მაშინ, როცა ეს ბინას, კვებას, ტანისამოსსა და აღჭურვილობას შეეხება; ეს პირობები არ უნდა იყოს იმაზე ნაკლები, რითაც მსგავს სამუშაოებზე მომუშავე ტყვედ ამყვანი სახელმწიფოს მოქალაქეები სარგებლობენ. ამასთანავე, აუცილებლად უნდა იქნას გათვალისწინებული კლიმატური პირობებიც. ტყვედ ამყვანი სახელმწიფო სამხედრო ტყვეთა შრომის გამოყენებისას, სამუშაო ადგილებზე მათ უზრუნველყოფს შრომის დაცვასთან დაკავშირებული ეროვნული კანონმდებლობის შესრულებას, კერძოდ კი უსაფრთხოების წესების დაცვას.

სამხედრო ტყვეებმა უნდა გაიარონ მომზადება და მათ მიმართ უნდა გატარდეს შრომის დაცვის ისეთი ღონისძიებები, რომლებიც შესაბამეა მათ მიერ შესასრულებელ სამუშაოს და ტყვედ ამყვანი სახელმწიფოს მოქალაქეებისათვის გათვალისწინებული ამგვარი ღონისძიებების მსგავსია. 52-ე მუხლის დებულებათა შესრულების პირობით, დასაშვებია სამხედრო ტყვეების დასაქმება ისეთ ჩვეულებრივ რისკთან დაკავშირებულ სამუშაოებზე, რომელსაც სამოქალაქო პირები ექვემდებარებიან.

ყოველად დაუშვებელია უფრო მძიმე სამუშაო პირობების შექმნა დისციპლინური ღონისძიებების გატარებით.

მუხლი 52

არ შეიძლება სამხედრო ტყვის არაჯანსაღ ან სახიფათო სამუშაოზე გამოყენება, თუ იგი ამაზე ნებაყოფლობით არ თანხმდება.

არ შეიძლება რომელიმე სამხედრო ტყვის ისეთ სამუშაოზე გამოყენება, რომელიც დამატყვევებელი სახელმწიფოს სამხედრო მოსამსახურისათვის დამამცირებლად ითვლება.

ნაღმების ან სხვა მსგავსი ჭურვების გაუვნებელყოფა სახიფათო სამუშაოდ ჩაითვლება.

მუხლი 53

სამხედრო ტყვეთა სამუშაო დღის ხანგრძლივობა, სამუშაოზე მისასვლელად და უკან დასაბრუნებელი საჭირო დროის ჩათვლით, ნორმას არ უნდა აჭარბებდეს და არავითარ შემთხვევაში არ უნდა აღემატებოდეს ტყვედ ამყვანი სახელმწიფოს მოქალაქეთა რიგებიდან ამ რაიონში იმავე სამუშაოზე მომუშავე სამოქალაქო მუშაკებისათვის დადგენილი სამუშაო დღის ხანგრძლივობას.

სამხედრო ტყვეებს სამუშაო დღის შუაში უნდა მიეცეთ სულ მცირე ერთი საათის შესვენება მაინც; თუ ტყვედ ამყვანი სახელმწიფოს მუშაკებისათვის გათვალისწინებული შესვენება უფრო ხანგრძლივია, იგი ამ უკანასკნელის მსგავსი უნდა იყოს. გარდა ამისა, სამხედრო ტყვეებს, კვირაში ერთხელ დამატებით, უპირატესად კვირა დღეს ან მათ ქვეყანაში დაწესებულ დასვენების დღეს, უწყვეტი ოცდაოთხსაათიანი დასვენების უფლება უნდა მიეცეთ. ამასთანავე, ყოველ სამხედრო ტყვეს, რომელმაც ერთი წელი იმუშავა, უნდა მიეცეს უწყვეტი რვადღიანი დასვენება სამუშაო ანაზღაურების შენარჩუნებით.

ისეთი სამუშაო ფორმის გამოყენებამ, როგორცაა ნარდობა, არ უნდა გამოიწვიოს სამუშაო დღის მეტისმეტად გახანგრძლივება.

მუხლი 54

სამხედრო ტყვეთა სამუშაო ანაზღაურების ოდენობა წინამდებარე კონვენციის 62-ე მუხლის დებულებების თანახმად განისაზღვრება.

სამხედრო ტყვეებს, რომლებიც სამუშაოზე უბედური შემთხვევის გამო დაშავდნენ, მუშაობისას ან სამუშაოსთან დაკავშირებით დაავადდნენ, მათი მდგომარეობის შესაბამისი სამედიცინო დახმარება უნდა აღმოუჩინონ. ამას გარდა, ტყვედ ამყვანმა სახელმწიფომ მათ უნდა მისცეს სამედიცინო მოწმობა, რომლითაც ისინი თავისი უფლებების დასაბუთებას შეძლებენ იმ სახელმწიფოს წინაშე, რომელსაც თავად ეკუთვნიან. მოწმობის ასლი 123-ე მუხლით გათვალისწინებულ სამხედრო ტყვეთა საქმეების ცენტრალურ სააგენტოს გადაეცემა.

მუხლი 55

სამხედრო ტყვეთა შრომითი ვარგისიანობა პერიოდულად, სულ მცირე თვეში ერთხელ სამედიცინო გამოკვლევების გზით მოწმდება. შემოწმების დროს, სამხედრო ტყვის მიერ შესრულებული სამუშაოს ხასიათს განსაკუთრებული მნიშვნელობა უნდა მიენიჭოს.

თუ სამხედრო ტყვე თავს შრომისუუნაროდ მიიჩნევს, მას ნება უნდა დართონ ეჩვენოს ბანაკის სამედიცინო პერსონალს. ექიმებს შეუძლიათ რეკომენდაცია გაუწიონ მათი აზრით შრომისუუნარო ტყვეების სამუშაოსგან გათავისუფლებას.

მუხლი 56

სამუშაო რაზმების ორგანიზაცია და ადმინისტრაცია ისეთივე უნდა იყოს, როგორც სამხედრო ტყვეთა ბანაკებისთვისაა გათვალისწინებული.

ყველა სამუშაო რაზმი სამხედრო ტყვეთა ბანაკის კონტროლს ემორჩილება და ადმინისტრაციულად მას ექვემდებარება. სამხედრო ხელისუფლების ორგანოები და აღნიშნული ბანაკის უფროსი, თავისი მთავრობის კონტროლის ქვეშ, პასუხს აგებენ სამუშაო რაზმში წინამდებარე კონვენციის დებულებათა შესრულებაზე.

ბანაკის მეთაურს მოწვესრიგებული უნდა ჰქონდეს მის ბანაკს დაქვემდებარებული სამუშაო რაზმების სია და უნდა წარუდგინოს იგი მფარველი სახელმწიფოს, წითელი ჯვრის საერთაშორისო კომიტეტის ან სამხედრო ტყვეთა დამხმარე სხვა ორგანიზაციების დელეგატებს, რომლებიც შეიძლება ბანაკს ეწვიონ.

მუხლი 57

სამხედრო ტყვეებს, რომლებიც კერძო პირებთან მუშაობენ, იმ შემთხვევაშიც, თუ ეს უკანასკნელი მათი დაცვისა და მფარველობის პასუხისმგებლობას თავის თავზე აიღებენ, სულ მცირე ისევე უნდა მოეპყრონ, როგორც ეს წინამდებარე კონვენციითაა გათვალისწინებული. სამხედრო ტყვეების მოვლის, მათზე ზრუნვის, მათთან მოპყრობისა და სამუშაოს ანაზღაურების სრული პასუხისმგებლობა იმ ტყვედ ამყვან სახელმწიფოს, სამხედრო ხელისუფლების ორგანოებსა და ბანაკის მეთაურს ეკისრება, რომელსაც სამხედრო ტყვეები ექვემდებარებიან.

ასეთ სამხედრო ტყვეებს უფლება აქვთ იმ ბანაკების წარმომადგენლებთან კჭონდეთ კავშირი, რომლებსაც ისინი ეკუთვნიან.

ნაწილი IV

სამხედრო ტყვეთა ფულადი სახსრები

მუხლი 58

საომარი მოქმედებების დაწყებისთანავე, ამ საკითხის მფარველ სახელმწიფოსთან შეთანხმებამდე, დამატყვევებელ სახელმწიფოს შეუძლია დაადგინოს, ნაღდი ანგარიშით ან სხვა ანალოგიური ფორმით, იმ თანხის მაქსიმალური რაოდენობა, რომელიც სამხედრო ტყვემ შეიძლება თან იქონიოს. სამხედრო ტყვისათვის ჩამორთმეული ან დაკავებული ზედმეტი თანხა, რომელიც მისი კანონიერი საკუთრებაა, ისევე როგორც მის მიერ შეტანილი ყველა ფულადი ანაბარი, მის პირად ანგარიშზე ჩაირიცხება და მისი თანხმობის გარეშე სხვა ვალუტაზე არ გაიცვლება.

იმ შემთხვევაში, როცა სამხედრო ტყვეებისთვის ნებადართული იქნება ნაღდი ანგარიშსწორებით ბანაკის გარეთ რაიმეს შექენა ან მომსახურებით სარგებლობა, ფულს თავად სამხედრო ტყვე ან ბანაკის ადმინისტრაცია იხდის, გადახდილი თანხის შესაბამისი სამხედრო ტყვის პირადი ანგარიშის დებეტზე შეტანით. ამ კუთხით დამატყვევებელი სახელმწიფო ვალდებულია შეიმუშაოს სათანადო პროცედურები.

მუხლი 59

მე-18 მუხლის თანახმად დატყვევების მომენტში სამხედრო ტყვისათვის დამატყვევებელი სახელმწიფოს ვალუტაში ჩამორთმეულ ფულად სახსრებს, წინამდებარე ნაწილის 64-ე მუხლის დებულებათა შესაბამისად, თითოეული მათგანის პირადი ანგარიშის კრედიტზე შეიტანენ.

ტყვეთა პირადი ანგარიშის კრედიტზე ასევე შეიტანენ დამატყვე-

ვებელი სახელმწიფოს ვალუტაში არსებულ იმ ფულად სახსრებსაც, რომლებიც დატყვევების მომენტში ტყვეებისათვის ჩამორთმეული სხვა ვალუტის გაცვლის შედეგად მიიღება.

მუხლი 60

სამხედრო ტყვეებს დამატყვევებელი სახელმწიფო ფულადი უზრუნველყოფის მიზნით ყოველთვიურად უხდის ავანსს. ავანსის რაოდენობა ამ ქვეყნის ვალუტაზე გადაანგარიშებული შემდეგი თანხებით განისაზღვრება:

- I კატეგორია: სერჟანტზე ნაკლები წოდების ტყვეები - 8 შვეიცარიული ფრანკი.
- II კატეგორია: სერჟანტები და სხვა უნტერ-ოფიცრები ან შესაბამისი წოდების ტყვეები - 12 შვეიცარიული ფრანკი.
- III კატეგორია: მაიორზე ნაკლები წოდების ოფიცრები კაპიტნის წოდების ჩათვლით ან შესაბამისი წოდების ტყვეები - 50 შვეიცარიული ფრანკი.
- IV კატეგორია: მაიორები, ვიცე-პოლკოვნიკები, პოლკოვნიკები ან შესაბამისი წოდების ტყვეები - 60 შვეიცარიული ფრანკი.
- V კატეგორია: გენერლები ან შესაბამისი წოდების ტყვეები - 75 შვეიცარიული ფრანკი.

თუმცა, კონფლიქტის მონაწილე დაინტერესებულ მხარეებს სპეციალური შეთანხმებების მეშვეობით შეუძლიათ ზემოაღნიშნული კატეგორიების სამხედრო ტყვეთათვის კუთვნილი ავანსის ოდენობა შეცვალონ.

ამას გარდა, თუ პირველ პარაგრაფში მითითებული თანხა ტყვედ ამყვან სახელმწიფოს სამხედრო მოსამსახურეთათვის განკუთვნილ გასამრჯელოს ბევრად აღემატება ან ტყვედ ამყვან სახელმწიფოს რაიმე მიზეზით სერიოზულ სიძნელეებს შეუქმნის, ეს უკანასკნელი იმ სახელმწიფოსთან, რომელსაც ეკუთვნიან სამხედრო ტყვეები, ზემოსხენებული თანხის ოდენობის ცვლილების შესახებ სპეციალური შეთანხმების დადებამდე განახორციელებს შემდეგ ქმედებებს:

- (ა) განაგრძობს სამხედრო ტყვეთა პირად ანგარიშზე პირველ პარაგრაფში მითითებული თანხის ჩარიცხვას;
- (ბ) დროებით შეზღუდავს თანხების იმ ოდენობას, რომელიც ავანსის თანხიდან ეძლევათ პირადი მოთხოვნების დასაკმაყოფილებლად, გონივრული ოდენობის თანხით, რომელიც, ამასთანავე, პირველი კატეგორიის პირთათვის იმ თანხაზე ნაკლები არ უნდა იყოს, რომელსაც დამატყვევებელი სახელმწიფო საკუთარი შეიარაღებული ძალების წევრებს უხდის.

ნებისმიერი შეზღუდვის მიზეზი დაუყოვნებლივ უნდა ეცნობოს მფარველ სახელმწიფოს.

მუხლი 61

დამატყვევებელმა სახელმწიფომ იმ სახელმწიფოსაგან, რომელსაც სამხედრო ტყვეები ეკუთვნიან, უნდა მიიღოს მათთვის დამატებითი ფულადი უზრუნველყოფის სახით გამოგზავნილი ფულადი სახსრები იმ პირობით, რომ ეს თანხა ერთი და იმავე კატეგორიის სამხედრო ტყვეებზე თანაბრად განაწილდება, ამ სახელმწიფოზე დამოკიდებულ აღნიშნული კატეგორიის ყველა ტყვეს გადაეცემა და რომ ამ ფულად სახსრებს უმოკლედ ვადაში, 64-ე მუხლის თანახმად თითოეული ტყვის პირად ანგარიშზე შეიტანენ. მოცემული დამატებითი ფულადი სახსრები დამატყვევებელ სახელმწიფოს ამ კონვენციით მისთვის დაკისრებული რაიმე მოვალეობისაგან არ ათავისუფლებს.

მუხლი 62

ტყვედ ამყვანი სახელმწიფოს ხელისუფლება სამხედრო ტყვეებს, რომლებიც უშუალოდ მის გამგებლობაში იმყოფებიან, უხდის მათ მიერ შესრულებული სამუშაოსთვის სამართლიანი ოდენობის გასამრჯელოს. აღნიშნული ხელისუფლება ადგენს გასამრჯელოს ოდენობას, რომელიც, ნებისმიერ შემთხვევაში არ უნდა იყოს ერთ მეოთხედ შვეიცარიულ ფრანკზე ნაკლები სრული სამუშაო დღისათვის. ტყვედ ამყვანი სახელმწიფო მფარველი სახელმწიფოს მეშვეობით მის მიერ დადგენილ დღიური გასამრჯელოს ოდენობას აცნობებს იმ ქვეყანას, რომელსაც სამხედრო ტყვეები ეკუთვნიან.

ხელისუფლება, რომლის უშუალო გამგებლობაშიც იმყოფებიან სამხედრო ტყვეები, გასამრჯელოს იმ სამხედრო ტყვეებსაც უხდის, რომლებიც ბანაკის მართვასთან, შიდა მოწყობასთან და მოვლა-მოწესრიგებასთან დაკავშირებული ვალდებულებების შესრულებითა და ხელობით მუდმივად არიან დაკავებულნი; ასევე იმ სამხედრო ტყვეებს, რომლებიც ჩართულნი არიან თანამებრძოლთა სამედიცინო და სასულიერო მომსახურებაში.

ტყვეთა წარმომადგენლის, მისი თანაშემწეების ან მისი კონსულტანტების, თუ ასეთები არსებობენ, სამუშაო გასამრჯელო სურსათ-სანოვანის მაღაზიებიდან შემოსული მოგების ფონდიდან უნდა იყოს ანაზღაურებული. შესრულებული სამუშაოსათვის გასამრჯელოს ოდენობას ადგენს ტყვეთა წარმომადგენელი და შემდგომში ამტკიცებს ბანაკის უფროსი. ასეთი ფონდის არარსებობის შემთხვევაში, ამ სამხედრო ტყვეებს სამართლიანი ოდენობის სამუშაო გასამრჯელოს დამატყვევებელი ხელისუფლება უხდის.

მუხლი 63

სამხედრო ტყვეებს უფლება აქვთ მათ სახელზე პერსონალურად ან კოლექტიურად გამოგზავნილი ფულადი გადარიცხვები მიიღონ.

ყოველ სამხედრო ტყვეს უფლება აქვს შემდეგ მუხლში მითითებული თავისი ანგარიშის საკრედიტო სალდო ტყვედ ამყვანი სახელმწიფოს მიერ დადგენილ ფარგლებში გამოიყენოს, რომელიც მოთხოვნის შემთხვევაში უზრუნველყოფს მოთხოვნილი თანხის გადახდას. იმ პირობით, რომ შესრუდება დამატყვევებელი სახელმწიფოს თვალსაზრისით აუცილებელი ფინანსური და სავალუტო შეზღუდვები, სამხედრო ტყვეებს შესაძლებლობა ექნებათ გადარიცხვები საზღვარგარეთაც აწარმოონ. ასეთ შემთხვევაში უპირატესობა სამხედრო ტყვეთა კმაყოფაზე მყოფი პირების სახელზე გადარიცხვებს მიენიჭება.

სამხედრო ტყვეს ნებისმიერ შემთხვევაში და იმ სახელმწიფოს თანხმობით, რომელსაც იგი ეკუთვნის, ექნება თავის ქვეყანაში თანხის გადარიცხვის შესაძლებლობა შემდეგი პროცედურის შესაბამისად: დამატყვევებელი სახელმწიფო, მფარველი სახელმწიფოს მეშვეობით, ზემოაღნიშნულ სახელმწიფოს გადასცემს ავიზოს, რომელშიც არის ყველა აუცილებელი მონაცემი გადამხდელისა და ფულის მიმღების შესახებ, ასევე აღნიშნულია გადასახდელი თანხის რაოდენობა დამატყვევებელი სახელმწიფოს ვალუტაში. აღნიშნულ ავიზოს ხელს აწერენ დაინტერესებული სამხედრო ტყვე და ბანაკის მეთაური. დამატყვევებელი სახელმწიფო ამ თანხას სამხედრო ტყვის ანგარიშის დებეტზე ჩაწერს; ამ დებეტს დამატყვევებელი სახელმწიფო იმ სახელმწიფოს კრედიტზე ჩაწერს, რომელსაც სამხედრო ტყვე ეკუთვნის.

ზემოაღნიშნულ დებულებათა გამოყენების მიზნით, დამატყვევებელ სახელმწიფოს შეუძლია წინამდებარე კონვენციის V დანართში მოყვანილი სამოდულო წესებით ისარგებლოს.

მუხლი 64

დამატყვევებელი სახელმწიფო ყოველი სამხედრო ტყვის სახელზე ხსნის პირად ანგარიშს, რომელიც, სულ მცირე, მოიცავს:

(1) თანხას, რომელიც სამხედრო ტყვეს ეკუთვნის ან მიღებული აქვს ფულადი უზრუნველყოფისათვის ავანსის, სამუშაო გასამრჯელოს სახით ან რაიმე სხვა წყაროდან; სამხედრო ტყვეთათვის დამატყვევებელი სახელმწიფოს ვალუტაში ჩამორთმეულ ფულად თანხას; სხვა ჩამორთმეულ თანხას, რომელიც სამხედრო ტყვის თხოვნით აღნიშნული ქვეყნის ვალუტაშია გადაყვანილი.

(2) ტყვისთვის ნაღდ ანგარიშზე ან სხვა მსგავსი ფორმით გაცემულ თანხას; მისი სახელით ან თხოვნით გადარიცხულ თანხას; 63-ე მუხლის მეხამე პარაგრაფის თანახმად გადარიცხულ თანხას.

მუხლი 65

სამხედრო ტყვის ანგარიშში გააკეთებული ყოველი ჩანაწერი ხელმოწერილი ან პარაფირებული უნდა იყოს სამხედრო ტყვის ან მისი სახელით მოქმედი ტყვეთა წარმომადგენლის მიერ.

სამხედრო ტყვეებს უნდა ჰქონდეთ თავიანთი ანგარიშების მდგომარეობის გაცნობისა და მათი ასლების მიღების შესაძლებლობა, აღნიშნული ანგარიშების შემოწმების უფლება, ასევე, აქვთ მფარველი სახელმწიფოს წარმომადგენლებს ბანაკების მონახულების უფლება.

სამხედრო ტყვეებს ერთი ბანაკიდან მეორეში გადაყვანისას თან მიჰყვებათ მათი პირადი ანგარიშებიც. ტყვედ ამყვანი სახელმწიფოს მიერ სხვა ქვეყნისათვის ტყვეების გადაცემის შემთხვევაში თანხა, რომელიც დამატყვევებელი სახელმწიფოს ვალუტაში არ არის გადაყვანილი, ტყვეებთან ერთად გადადის. ანგარიშის კრედიტზე დარჩენილი თანხის შესახებ მათ უნდა მიეცეთ სათანადო მოწმობა.

კონფლიქტის მონაწილე მხარეებს შეუძლიათ დროდადრო, მფარველი სახელმწიფოს მეშვეობით, ერთმანეთს სამხედრო ტყვეთა ანგარიშზე არსებული თანხის ოდენობა აცნობონ.

მუხლი 66

სამხედრო ტყვის გათავისუფლების ან რეპატრიაციის შედეგად ტყვეობის დამთავრების შემდეგ დამატყვევებელმა სახელმწიფომ მას უნდა მისცეს სათანადოდ რწმუნებული ოფიცრის ხელმოწერით დადასტურებული დოკუმენტი, რომელშიც მითითებული იქნება მისთვის კუთვნილი საკრედიტო სალდო. ტყვედ ამყვანი სახელმწიფო, მფარველი სახელმწიფოს მეშვეობით, იმ სახელმწიფოს, რომელსაც სამხედრო ტყვეები ეკუთვნიან, უზავნის იმ სამხედრო ტყვეთა სიებს, რომელთა ტყვეობა რეპატრიაციით, გათავისუფლებით, გაქცევით, გარდაცვალებით ან სხვაგვარად დასრულდა, სიებს თან უნდა ახლდეს საკრედიტო სალდოს შესახებ ინფორმაცია. ამ სიის თითოეული ფურცელი ტყვედ ამყვანი სახელმწიფოს რწმუნებული წარმომადგენლის მიერ უნდა დამოწმდეს.

ამ მუხლის ნებისმიერი ზემოაღნიშნული დებულება შეიძლება კონფლიქტის მონაწილე მხარეთა ორმხრივი შეთანხმებების საფუძველზე შეიცვალოს.

სახელმწიფო, რომელსაც ეკუთვნის სამხედრო ტყვე, პასუხისმგებელია მასთან იმ საკრედიტო სალდოს გასწორებაზე, რომელიც მას და-

მატყვევებელი სახელმწიფოსგან ტყვეობის დამთავრების შემდეგ ეკუთვნის.

მუხლი 67

მე-60 მუხლის თანახმად ტყვეებისათვის ფულადი უზრუნველყოფის სახით გაცემული ავანსები იმ სახელმწიფოს მიერ გაცემულ ავანსებად ითვლება, რომელსაც იგი ეკუთვნის. ამგვარი ავანსები, აგრეთვე 63-ე მუხლის მესამე პარაგრაფში და 68-ე მუხლში გათვალისწინებული სხვა გადახდილი თანხა, საომარი მოქმედებების დამთავრების შემდეგ დაინტერესებულ მხარეთა შორის შეთანხმების საგანს წარმოადგენს.

მუხლი 68

სამხედრო ტყვის ნებისმიერი მოთხოვნა სამუშაოს შედეგად დასახიჩრების ან ინვალიდობისათვის კომპენსაციის თაობაზე მფარველი სახელმწიფოს მეშვეობით ეგზავნება იმ სახელმწიფოს, რომელსაც იგი ეკუთვნის. ტყვედ ამყვანი სახელმწიფო, ყველა შემთხვევაში, 54-ე მუხლის თანახმად გასცემს დოკუმენტს, რომელშიც მითითებულია დასახიჩრების ან ინვალიდობის სახე, მისი გამომწვევი გარემოებები და მონაცემები გაწეული სამედიცინო სტაციონარული მკურნალობის შესახებ. დოკუმენტს ხელს აწერს ტყვედ ამყვანი სახელმწიფოს პასუხისმგებელი ოფიცერი, ხოლო სამედიცინო მონაცემებს სამედიცინო სამსახურის ექიმი ამოწმებს.

სამხედრო ტყვის ნებისმიერი მოთხოვნა იმ პირადი ნივთების, ფულისა თუ ძვირფასეულობის კომპენსაციის თაობაზე, რომელიც ტყვედ ამყვანმა სახელმწიფომ მას მე-18 მუხლის თანახმად ჩამოართვა და რომელიც მას რეპატრიაციის დროს არ დაუბრუნდა, ასევე კომპენსაციის მოთხოვნა ზარალისათვის, რომელიც, მისი აზრით მან დამატყვევებელი სახელმწიფოს ან მისი ნებისმიერი წარმომადგენლის გამო განიცადა, ეგზავნება იმ სახელმწიფოს, რომელსაც ეს პირი ეკუთვნის. თუმცა, ტყვეობაში ყოფნის დროს პირადი მოხმარებისათვის აუცილებელი ყოველგვარი ნივთი ტყვედ ამყვანი სახელმწიფოს ხარჯზე გამოიცვლება. დამატყვევებელი სახელმწიფო სამხედრო ტყვეს ყველა შემთხვევაში აძლევს პასუხისმგებელი ოფიცრის მიერ ხელმოწერილ დოკუმენტს, რომელშიც მითითებულია ყველა ის მიზეზი, რის გამოც აღნიშნული ნივთები, ფული ან ძვირფასეულობა მას არ დაუბრუნდა. ამ დოკუმენტის ასლს 123-ე მუხლში მითითებული სამხედრო ტყვეთა საქმეების ცენტრალური სააგენტო იმ სახელმწიფოს უგზავნის, რომელსაც ეკუთვნის სამხედრო ტყვე.

ნაწილი V

სამხედრო ტყვეთა ურთიერთობა ბარე სამყაროსთან

მუხლი 69

მოსვდებიან რა სამხედრო ტყვეები ტყვედ ამყვანი სახელმწიფოს ხელისუფლებაში, მფარველი სახელმწიფოს მეშვეობით დამატყვევებელი სახელმწიფო სამხედრო ტყვეებს და იმ სახელმწიფოს, რომელსაც ისინი ეკუთვნიან, წინამდებარე ნაწილის დებულებათა შესასრულებლად მიღებული ღონისძიებების შესახებ დაუყოვნებლივ შეატყობინებს. ამასთანავე, ტყვედ ამყვანი სახელმწიფო დაინტერესებულ მხარეებს ამ ღონისძიებებთან დაკავშირებულ ნებისმიერ ცვლილებას აცნობებს.

მუხლი 70

ყოველ სამხედრო ტყვეს, დატყვევების მომენტიდან ან ბანაკში მიყვანიდან არა უგვიანეს ერთი კვირისა, მაშინაც კი, როცა ეს სატრანზიტო ბანაკია, აგრეთვე ავადმყოფობის ან ლაზარეთში ან სხვა ბანაკში გაგზავნის შემთხვევაში, შესაძლებლობა უნდა მიეცეს, ერთი მხრივ თავის ოჯახს, მეორე მხრივ კი 123-ე მუხლში გათვალისწინებულ სამხედრო ტყვეთა საქმეების ცენტრალურ სააგენტოს გაუგზავნოს საფოსტო ბარათი, რომელიც შეძლებისამებრ წინამდებარე კონვენციაზე თანდართული ნიმუშის მიხედვით შედგება. ამ საფოსტო ბარათით იგი აცნობებს ტყვედ ჩაყარდნის ფაქტს, თავის ჯანმრთელობის მდგომარეობასა და მისამართს. აღნიშნული ბარათები რაც შეიძლება სწრაფად უნდა გადაეგზავნოს და მათი ნებისმიერი სახით დაყოვნება დაუშვებელია.

მუხლი 71

სამხედრო ტყვეებისათვის ნებადართულია წერილებისა და საფოსტო ბარათების გაგზავნა და მიღება. თუ დამატყვევებელი სახელმწიფო აუცილებლად მიიჩნევს სამხედრო ტყვის მიერ წარმოებული კორესპონდენციის შეზღუდვას, მან, სულ მცირე თვეში ორი წერილისა და ოთხი ბარათის გაგზავნის ნება მაინც უნდა მისცეს 70-ე მუხლში გათვალისწინებული ბარათების გამოკლებით, რომლებიც, შეძლებისამებრ, წინამდებარე კონვენციაზე თანდართული ნიმუშების მიხედვით შედგება. სხვა შეზღუდვების შემოღება მხოლოდ იმ შემთხვევაში შეიძლება, როცა მფარველი სახელმწიფო საფუძვლიანად მიიჩნევს, რომ ეს შეზღუდვები თავად სამხედრო ტყვეთა სასიკეთოდ ხდება ან იმ სიძნელეთა გამო, რომლებსაც დამატყვევებელი სახელმწიფო აუცილებელი ცენზურისათვის საჭირო სათანადო რაოდენობის კვალიფიციური თარჯიმნების მოძიება-

ში აწყდება. როცა სამხედრო ტყვეების მისამართით მოსულ კორესპონდენციასზე წესდება შეზღუდვა, ამის შესახებ, ზოგიერთ შემთხვევაში დამატევევებელი სახელმწიფოს თხოვნის საფუძველზე, გადაწყვეტილებას იღებს სახელმწიფო, რომელსაც ისინი ეკუთვნიან. ასეთი წერილები და ბარათები დამატევევებელი სახელმწიფოს ხელთ არსებული ყველაზე სწრაფი საშუალებებით იგზავნება; მათი დაკავება ან შეფერხება დისციპლინური ზემოქმედების მიზნით დაუშვებელია.

იმ სამხედრო ტყვეთათვის, რომლებსაც ახლო ნათესაებისგან დიდი ხნის განმავლობაში არ მიუღიათ ცნობები ან ჩვეულებრივი გზით მათი მიღების ან გაგზავნის შესაძლებლობა არა აქვთ, აგრეთვე მათთვის, რომლებიც თავისი სამშობლოსგან დიდი მანძილით არიან დაშორებულნი, ნებადართული იქნება დეპეშების გაგზავნა. დეპეშების საფასური უნდა იქნას შეტანილი დამატევევებელ სახელმწიფოსთან არსებული მათი ანგარიშის დებეტზე ან უნდა გადაიხადოს მათ განკარგულებაში არსებული ნაღდი ფულით. დეპეშების გაგზავნის შესაძლებლობა სამხედრო ტყვეებს უკიდურესი აუცილებლობის შემთხვევებშიც უნდა მიეცეთ.

როგორც წესი, სამხედრო ტყვეების კორესპონდენციის წარმოება ხდება მშობლიურ ენაზე. კონფლიქტის მონაწილე მხარეებს შეუძლიათ დაუშვან კორესპონდენციის სხვა ენებზე წარმოებაც.

სამხედრო ტყვეთა კორესპონდენციის ტომრები სათანადოდ უნდა დაილუქოს, მათზე ტომრის შემადგენლობის ზუსტი აღწერის მქონე ეტიკეტი უნდა დაიკრას და დანიშნულების ადგილის საფოსტო განყოფილების მისამართზე გაიგზავნოს.

მუხლი 72

სამხედრო ტყვეებს ფოსტით ან ნებისმიერი სხვა საშუალებით შეუძლიათ მიიღონ ინდივიდუალური ან კოლექტიური გზავნილები, რომლებშიც შეიძლება იყოს კვების პროდუქტები, ტანსაცმელი, მედიკამენტები, ასევე მათი რელიგიური მოთხოვნილებების, განათლებისა და გართობისთვის საჭირო ნივთები წიგნების, რელიგიური დანიშნულების საგნების, სამეცნიერო მუშაობისთვის საჭირო აპარატურის, საგამოცდო მასალების, მუსიკალური ინსტრუმენტების, სპორტული ინვენტარისა და იმ მასალების ჩათვლით, რომელიც სამხედრო ტყვეებს სწავლის ან შემოქმედებითი მოღვაწეობის გაგრძელების შესაძლებლობას იძლევა.

აღნიშნული გზავნილები ტყვედ ამყვან სახელმწიფოს წინამდებარე კონვენციით მისთვის დაკისრებული ვალდებულებებისგან არავითარ შემთხვევაში არ ათავისუფლებს.

ამგვარ გზავნილებზე შეიძლება დაწესდეს მხოლოდ ისეთი შეზღუდვები, რომელიც თვით სამხედრო ტყვეთა ინტერესებიდან გამომდინარე, მფარველი სახელმწიფოს მიერაა შეთავაზებული, ანდა, რომლებიც ტრანსპორტისა და საკომუნიკაციო სისტემის განსაკუთრებული გადატვირთვის შემთხვევაში, წითელი ჯვრის საერთაშორისო კომიტეტის ან

სამხედრო ტყვეთა დამხმარე ნებისმიერი სხვა ორგანიზაციის მიერაა შეთავაზებული, ისიც მხოლოდ მათი გზავნილების მიმართ.

ინდივიდუალური და კოლექტიური გზავნილების გაგზავნის წესი, საჭიროების შემთხვევაში, უნდა გახდეს დაინტერესებულ სახელმწიფოთა სპეციალური შეთანხმების საგანი, აღნიშნულია წესებმა სამხედრო ტყვეთა დასახმარებლად გამოგზავნილი ამანათების მიღება არავითარ შემთხვევაში არ უნდა შეაფერხოს. აკრძალულია პროდუქტებსა და ტანსაცმოსთან ერთად წიგნების ჩადება. მედიკამენტები, როგორც წესი, კოლექტიური გზავნილებით იგზავნება.

მუხლი 73

დაინტერესებულ სახელმწიფოთა შორის დახმარების კოლექტიური გზავნილების მიღებისა და განაწილების წესის შესახებ სპეციალური შეთანხმების არარსებობის შემთხვევაში გამოიყენება წინამდებარე კონვენციაზე თანდართული, კოლექტიურ გზავნილებთან დაკავშირებული წესები.

ზემოაღნიშნული სპეციალური შეთანხმებები არავითარ შემთხვევაში არ ზღუდავს ტყვეთა წარმომადგენლების უფლებას მიიღონ და სამხედრო ტყვეთა ინტერესების შესაბამისად გაანაწილონ და განკარგონ სამხედრო ტყვეებისთვის განკუთვნილი კოლექტიური გზავნილები.

ამასთანავე, ამ შეთანხმებებით დაუშვებელია მფარველი სახელმწიფოს, წითელი ჯვრის საერთაშორისო კომიტეტის ან სამხედრო ტყვეების დამხმარე ნებისმიერი სხვა ორგანიზაციის გზავნილების გადაცემაზე პასუხისმგებელი წარმომადგენლების კოლექტიური გზავნილების მიმღებთა შორის განაწილების ზედამხედველობის უფლების შეზღუდვა.

მუხლი 74

სამხედრო ტყვეთათვის განკუთვნილი დახმარების ყოველგვარი გზავნილი თავისუფლდება საიმპორტო, საბაჟო და სხვა გადასახადებისაგან.

კორესპონდენცია, დახმარების გზავნილები და ნებადართული ფულადი გადარიცხვები, რომლებიც სამხედრო ტყვეების მისამართით ან მათ მიერ პირდაპირ ან 122-ე მუხლით გათვალისწინებული ცნობათა ბიუროს, ან 123-ე მუხლით გათვალისწინებული სამხედრო ტყვეთა საქმეების ცენტრალური სააგენტოს მეშვეობით ფოსტითაა გაგზავნილი, თავისუფლდება ყოველგვარი საფოსტო გადასახადისგან როგორც გამგზავნ და დანიშნულების, ისე შუალედურ სახელმწიფოებშიც.

სამხედრო ტყვეთათვის გათვალისწინებული დახმარების გზავნილების გადაგზავნასთან დაკავშირებულ ხარჯებს, რომლებიც თავისი წონის ან რაიმე სხვა მიზეზის გამო მათ ფოსტით ვერ გაეგზავნებათ, მის კონტროლს დაქვემდებარებულ მთელ ტერიტორიაზე გაიღებს და-

მატყვევებელი სახელმწიფო. კონვენციის მონაწილე სხვა სახელმწიფოები გაიღებენ მათ ტერიტორიაზე გადაზიდვასთან დაკავშირებულ ხარჯებს.

დაინტერესებულ სახელმწიფოებს შორის სპეციალური შეთანხმების არარსებობის შემთხვევაში, გზავნილების ტრანსპორტირებასთან დაკავშირებულ ხარჯებს, რომლებზეც ზემოაღნიშნული შეღავათები არ ვრცელდება, გამგზავნი გადაიხდის.

მაღალი ხელშემკვრელი მხარეები შეეცდებიან, შეძლებისამებრ სამხედრო ტყვეების მიერ ან მათთვის გაგზავნილი დეპეშებისათვის დაწესებული ნიხრი შეამცირონ.

მუხლი 75

იმ შემთხვევაში, როცა საომარი მოქმედებები დაინტერესებულ სახელმწიფოებს ხელს უშლის 70-ე, 71-ე, 72-ე და 77-ე მუხლებში მითითებული ვალდებულების შესრულებაში, დაინტერესებულ მფარველ სახელმწიფოებს, წითელი ჯვრის საერთაშორისო კომიტეტს ან კონფლიქტის მონაწილე მხარეების მიერ აღიარებულ ნებისმიერ სხვა ორგანიზაციას შეუძლიათ თავის თავზე აიღონ ამ გზავნილების სათანადო სატრანსპორტო საშუალებებით (სარკინიგზო ვაგონები, საბარგო ავტომანქანები, გემები, თვითმფრინავები, ა.შ.) გადაზიდვა. ამ მიზნით, მაღალი ხელშემკვრელი მხარეები ეცდებიან გამოყონ აღნიშნული სატრანსპორტო საშუალებები და დაუშვან მათი მოძრაობა მათთვის აუცილებელი საშვების გაცემის გზით.

ამ სატრანსპორტო საშუალებებით დასაშვებია შემდეგი ტვირთის გადაზიდვა:

- (ა) კორესპონდენცია, სიები და ანგარიშები, რომლებსაც ერთმანეთში 123-ე მუხლში მითითებული ცნობათა ცენტრალური სააგენტო და 122-ე მუხლში მითითებული ეროვნული ბიურო ცვლიან;
- (ბ) სამხედრო ტყვეთა შესახებ კორესპონდენცია და ანგარიშები, რომელსაც ცვლიან მფარველი სახელმწიფოები, წითელი ჯვრის საერთაშორისო კომიტეტი ან სამხედრო ტყვეთა დამხმარე სხვა ორგანიზაციები როგორც თავის წარმომადგენლებთან, ისე კონფლიქტის მონაწილე მხარეებთან.

ეს დებულებები არ ზღუდავს კონფლიქტის მონაწილე ნებისმიერ მხარეს უზრუნველყოს ტრანსპორტირების სხვა საშუალება, თუკი ამგვარი უპირატესობა განსაზღვრულია, ან გასცეს საშვი იმ პირობებით, რომლებიც ორმხრივი შეთანხმებებით შეიძლება დადგინდეს.

სპეციალური შეთანხმებების არარსებობის შემთხვევაში ამ სატრანსპორტო საშუალებათა გამოყენებასთან დაკავშირებულ ხარჯებს კონფლიქტის მონაწილე მხარეები იმის პროპორციულად გაიღებენ, თუ რომელი მათგანის მოქალაქეთა სასარგებლოდაა ეს მომსახურება გაწეული.

მუსლი 76

სამხედრო ტყვეების მისამართით ან მათ მიერ გაგზავნილი კორესპონდენციის ცენზურა შექმნისამებრ უმოკლეს ვადაში უნდა განხორციელდეს. ცენზურის განხორციელება მხოლოდ გამგზავნ და მიმღებ სახელმწიფოებს შეუძლიათ და ისიც თითოეულ მათგანს მხოლოდ ერთხელ.

სამხედრო ტყვეების მისამართით გზავნილების დათვალიერება ისეთ პირობებში არ უნდა მოხდეს, რომელსაც შეუძლია გზავნილებში მოთავსებული კვების პროდუქტების დაცულობას საფრთხე შეუქმნას; იმ შემთხვევებში, როცა საქმე ბეჭდვით ან წერილობით მასალებს ეხება, დათვალიერება ადრესატის ან მისი სათანადოდ რწმუნებული თანადატყვევებული პირის თანდასწრებით უნდა მოხდეს. არ შეიძლება ინდივიდუალური ან კოლექტიური გზავნილების ტყვეებისათვის გადაცემის შეფერხება ცენზურასთან დაკავშირებული სირთულეების მიზეზით.

კონფლიქტის მონაწილე მხარეების მიერ სამხედრო ან პოლიტიკური მიზეზებით შემოღებული კორესპონდენციის ნებისმიერი აკრძალვა მხოლოდ დროებით ხასიათს უნდა ატარებდეს და რაც შეიძლება ხანმოკლე უნდა იყოს.

მუსლი 77

ტყვედ ამყვანი სახელმწიფოები ყველა პირობას შექმნიან იმისთვის, რომ მფარველი სახელმწიფოს ან 123-ე მუსლში გათვალისწინებული სამხედრო ტყვეთა საქმეების ცენტრალური სააგენტოს მეშვეობით, მოხდეს სამხედრო ტყვეთათვის განკუთვნილი ან მათ მიერ წარმოდგენილი აქტების, საქმიანი ქაღალდებისა და დოკუმენტების, განსაკუთრებით მინდობილობებისა და ანდერძების გადაცემა.

ყველა შემთხვევაში, დამატყვევებელი სახელმწიფოები ვალდებული არიან სამხედრო ტყვეებს დაეხმარონ ამ დოკუმენტების მომზადებასა და აღსრულებაში; კერძოდ, დართონ ნება გაიარონ იურისტთან კონსულტაცია და მიიღონ აუცილებელი ზომები ტყვეთა ხელმოწერის დასამოწმებლად.

ნაწილი VI

სამხედრო ტყვეთა ურთიერთობა ხელისუფლებასთან

თავი I

სამხედრო ტყვეთა საჩივრები ტყვეობის რეჟიმის შესახებ

მუხლი 78

სამხედრო ტყვეებს უფლება აქვთ, მათი ტყვეობის პირობების შესახებ შუამდგომლობით მიმართონ იმ სამხედრო ხელისუფლებას, რომლის განმგებლობაშიც იმყოფებიან.

მათ ასევე აქვთ შეუზღუდავი უფლება ტყვეთა წარმომადგენლის მეშვეობით ან, თუ საჭიროდ ჩათვლიან, პირადად, მიმართონ მფარველ სახელმწიფოთა წარმომადგენლებს, რათა მათი ყურადღება ტყვეობის იმ ასპექტებს მიაპყრონ, რომელთან მიმართებაშიც მათ რაიმე საჩივარი შეიძლება ჰქონდეთ.

ეს შუამდგომლობები და საჩივრები არ შეიზღუდება და 71-ე მუხლში მითითებული კორესპონდენციის კვოტის შემადგენელ ნაწილად არ ჩაითვლება. ისინი დაუყოვნებლივ უნდა გადასცენ და მათი დაუსაბუთებლობის დამტკიცების შემთხვევაში აღნიშნულ ქმედებებს რაიმე ზომები არ უნდა მოყვეს.

ტყვეთა წარმომადგენლებს შეუძლიათ მფარველი სახელმწიფოების წარმომადგენლებს ბანაკებში შექმნილი მდგომარეობისა და სამხედრო ტყვეთა საჭიროებების შესახებ პერიოდული მოხსენებები გაუგზავნონ.

თავი II

სამხედრო ტყვეთა წარმომადგენლები

მუხლი 79

სამხედრო ტყვეთა სამყოფელ ყველა ადგილას, ოფიცერთა სამყოფელი ადგილების გამოკლებით, სამხედრო ტყვეები თავისუფლად, ფარული კენჭისყრით, ყოველ ექვს თვეში, აგრეთვე ვაკანსიების არსებობის შემთხვევაში, აირჩევენ წარმომადგენლებს, რომლებმაც ისინი სამხედრო ხელისუფლების ორგანოთა, მფარველ სახელმწიფოთა, წითელი ჯვრის საერთაშორისო კომიტეტისა და მათი დამხმარე სხვა ორგანიზაციების წინაშე უნდა წარმოადგინონ. შესაძლებელია ტყვეთა წარმომადგენლების გადარჩევა.

ოფიცერთა და მათთან გათანაბრებულ პირთა ბანაკებში ან შერეულ ბანაკებში ტყვეთა წარმომადგენლებად ცნობენ წოდებითა და

სტაჟით უფროს სამხედრო ტყვე ოფიცერს. ოფიცერთა ბანაკებში მათ ეხმარება ოფიცერთა წრიდან არჩეული ერთი ან რამდენიმე კონსულტანტი; შერეულ ბანაკებში მათ თანაშემწეებს აირჩევენ იმ სამხედრო ტყვეებიდან, რომელთაც არ აქვთ ოფიცრის წოდება.

სამხედრო ტყვეთა შრომით ბანაკებში უნდა განთავსდნენ იმავე მოქალაქეობის სამხედრო ტყვე ოფიცრები, რათა მათ სამხედრო ტყვეებისათვის დაკისრებული ადმინისტრაციული ფუნქციები შეასრულონ. ამ მუხლის პირველი პარაგრაფის დებულებათა თანახმად ეს ოფიცრები შეიძლება ტყვეთა წარმომადგენლებად იქნენ არჩეულნი. ასეთ შემთხვევაში ტყვეთა წარმომადგენლის თანაშემწეებს აირჩევენ იმ სამხედრო ტყვეებიდან, რომელთაც ოფიცრის წოდება არა აქვთ.

ტყვეთა ყოველი არჩეული წარმომადგენელი, ვიდრე იგი თავისი მოვალეობების შესრულებას შეუდგებოდეს, უნდა დაამტკიცოს ტყვედ ამყვანმა სახელმწიფომ. იმ შემთხვევაში, თუ დამატყვევებელი სახელმწიფო უარს იტყვის სამხედრო ტყვეების მიერ არჩეული სამხედრო ტყვის დამტკიცებაზე, მან უარის მიზეზები უნდა აცნობოს მფარველ სახელმწიფოს.

ყველა შემთხვევაში ტყვეთა წარმომადგენლის მოქალაქეობა, ენა და ჩვეულებები იგივე უნდა იყოს, რაც იმ სამხედრო ტყვეებისა, რომლებსაც იგი წარმოადგენს. ამრიგად, მოქალაქეობის, ენისა და ჩვეულებების მიხედვით სხვადასხვა სექტორში განაწილებულ სამხედრო ტყვეებს, წინა პარაგრაფების დებულებათა მიხედვით, ყოველ სექტორში თავისი ტყვეთა წარმომადგენელი ეყოლებათ.

მუხლი 80

ტყვეთა წარმომადგენლებმა ხელი უნდა შეუწყონ სამხედრო ტყვეთა ფიზიკურ, მორალურ და ინტელექტუალურ კეთილდღეობას.

კერძოდ, თუ ტყვეები ურთიერთდახმარების სისტემის ორგანიზებას გადაწყვეტენ, ეს ორგანიზება ტყვეთა წარმომადგენლის განმგებლობაში უნდა მოექცეს წინამდებარე კონვენციის სხვა დებულებებით მასზე დაკისრებული სპეციალური ვალდებულებებისაგან დამოუკიდებლად.

ტყვეთა წარმომადგენლები, მხოლოდ თავისი ვალდებულებებიდან გამომდინარე, სამხედრო ტყვეების მიერ ჩადენილ სამართალდარღვევებზე პასუხს არ აგებენ.

მუხლი 81

ტყვეთა წარმომადგენლები არ უნდა აიძულონ შეასრულონ ნებისმიერი სხვა სამუშაო, რომელიც დააბრკოლებს მათი ფუნქციების შესრულებას.

ტყვეთა წარმომადგენლებს შეუძლიათ სამხედრო ტყვეთაგან დანიშნონ თანაშემწეები. მათ მიეცემათ ყველა პრაქტიკული საშუალება, კერ-

ძოდ, მათი ვალდებულებების შესრულებისათვის აუცილებელი გადაადგილების გარკვეული თავისუფლება (სამუშაო რაზმების მონახულება, დახმარების გზაწილების მიღება, ა.შ.).

ტყვეთა წარმომადგენლებისათვის ნებადართული იქნება იმ სათავსოების მონახულება, რომლებშიც სამხედრო ტყვეები არიან განთავსებული და ამ უკანასკნელთ ექნებათ თავის წარმომადგენელთან თავისუფალი კონსულტაციის უფლება.

ამასთანავე, ტყვეთა წარმომადგენლებს ექნებათ დამატყვევებელ ხელისუფლებასთან, მფარველ სახელმწიფოებთან, წითელი ჯვრის საერთაშორისო კომიტეტსა და მათ დელეგატებთან, შერეულ სამედიცინო კომისიებთან, აგრეთვე სამხედრო ტყვეთა დამხმარე სხვა ორგანიზაციებთან საფოსტო და სატელეგრაფო მიმოწერის წარმოების ყველა შესაძლებლობა. ასეთივე შეთავაზებით ისარგებლებენ სამუშაო რაზმების ტყვეთა წარმომადგენლები ძირითადი ბანაკის ტყვეთა წარმომადგენელთან მიმოწერისას. დაუშვებელია ასეთი მიმოწერისათვის რაიმე შეზღუდვის დაწესება და იგი 71-ე მუხლში მითითებული კვოტის სათვალავში არ უნდა მოექცეს.

ტყვეთა წარმომადგენელს, რომელიც სხვა ადგილას გადაჰყავთ, თავისი შემცველის საქმის კურსში ჩასაყენებლად საკმარისი დრო უნდა მიეცეს.

ტყვეთა წარმომადგენლის გადაყენების შემთხვევაში ამ გადაწყვეტილების მიზეზები უნდა ეცნობოს მფარველ სახელმწიფოს.

თავი III

სისხლისსამართლებრივი და დისციპლინური სასჯელები

I – ზოგადი დებულებები

მუხლი 82

სამხედრო ტყვეები ემორჩილებიან ტყვედ ამყვანი სახელმწიფოს შეიარაღებულ ძალებში მოქმედ კანონებს, წესდებებსა და ბრძანებულებებს; დამატყვევებელი სახელმწიფო უფლებამოსილია სასამართლო ან დისციპლინური ზომები აღნიშნული კანონების, წესდებების ან ბრძანებულებების დამრღვევი ნებისმიერი სამხედრო ტყვის მიმართ მიიღოს. მიუხედავად ამისა, დაუშვებელია ამ თავის დებულებების საწინააღმდეგო სასამართლო საქმის წარმოება ან სასჯელის დაწესება. როცა ტყვედ ამყვანი სახელმწიფოს რომელიმე კანონით, წესდებით ან ბრძანებულებით სამხედრო ტყვის მიერ ჩადენილი ქმედება დასჯადად

ცხადდება და ამავე დროს დამატყვევებელი სახელმწიფოს შეიარაღებული ძალების წევრის მიერ ჩადენილი იგივე ქმედება დასჯადი არ არის, ასეთ ქმედებას შეიძლება მოყვეს მხოლოდ დისციპლინური სასჯელის დაკისრება.

მუხლი 83

იმის გადაწყვეტისას, თუ რა სახის სასჯელი - სასამართლო თუ დისციპლინური - უნდა იქნას გამოყენებული სამართალდარღვევის ჩადენაში ბრალდებული სამხედრო ტყვის მიმართ, დამატყვევებელმა სახელმწიფომ, უნდა უზრუნველყოს, რომ ხელისუფლების შესაბამისმა ორგანომ ამ საკითხის შეფასებისას მაქსიმალური შემწყნარებლობა გამოიჩინოს და ყველა შესაძლო შემთხვევაში მიმართოს უფრო დისციპლინურ ზომებს, ვიდრე სასამართლო წესით დევნას.

მუხლი 84

სამხედრო ტყვეები მხოლოდ სამხედრო სასამართლოებმა უნდა გაასამართლონ, გამონაკლისია შემთხვევები, როცა ტყვედ ამყვანი სახელმწიფოს კანონმდებლობით სამოქალაქო სასამართლოები უფლებამოსილნი არიან გაასამართლონ ამ ქვეყნის შეიარაღებული ძალების წევრები იმავე დანაშაულისათვის, რომლის ჩადენაც სამხედრო ტყვეს ედება ბრალად.

ყოვლად დაუშვებელია სამხედრო ტყვეები გაასამართლოს ნებისმიერი სახის სასამართლომ, რომელიც არ უზრუნველყოფს დამოუკიდებლობისა და მიუკერძოებლობის საყოველთაოდ აღიარებულ ძირითად გარანტიებს, კერძოდ ბრალდებულისათვის 105-ე მუხლით გათვალისწინებულ დაცვის უფლებებსა და საშუალებებს.

მუხლი 85

სამხედრო ტყვეები, რომლებიც ტყვედ ამყვანი სახელმწიფოს კანონმდებლობით დატყვევებამდე ჩადენილი ქმედებებისათვის იდევნებიან, მსჯავრდების შემთხვევაშიც კი წინამდებარე კონვენციის დაცვით სარგებლობენ.

მუხლი 86

სამხედრო ტყვე ერთი და იმავე დანაშაულის გამო ან ერთი და იმავე ბრალდებით მხოლოდ ერთხელ შეიძლება დაისაჯოს.

მუსლი 87

ტყვედ ამყვანი სახელმწიფოს სამხედრო ხელისუფლებამ და სასამართლოებმა სამხედრო ტყვეებს არავითარ შემთხვევაში არ უნდა მიუსაჯონ რაიმე სხვა სასჯელი, გარდა იმისა, რომელიც ასეთივე ქმედებისთვის ამ ქვეყნის შეიარაღებული ძალების წევრებისთვისაა გათვალისწინებული.

სასჯელის გამოტანისას სასამართლოებმა და ხელისუფლებამ შესაძლებლობების ფარგლებში მაქსიმალურად უნდა გაითვალისწინონ ის ფაქტი, რომ ვინაიდან ბრალდებული ამ სახელმწიფოს მოქალაქე არ არის, ის ტყვედ ამყვან სახელმწიფოსთან არ არის დაკავშირებული ერთგულების ვალდებულებით და რომ იგი მის ხელისუფლებაში მისგან დამოუკიდებელი მიზეზების გამო იმყოფება. ზემოაღნიშნულ სასამართლოებსა და ხელისუფლებას შესაძლებლობა ექნებათ შეამსუბუქონ სასჯელი სამართალდარღვევისათვის, რომლის ჩადენაც სამხედრო ტყვეს ბრალად ედება და რისთვისაც ვალდებული არ იქნებიან დაიცვან ამ ქმედებისთვის გათვალისწინებული მინიმალური სასჯელის ზომა.

აკრძალულია კოლექტიური სასჯელის დაკისრება ინდივიდუალური დარღვევისათვის, სხეულის ყოველგვარი დასახინრება, დღის სინათლეს მოკლებულ შენობებში მოთავსება და საერთოდ, ნებისმიერი სახის წამება ან სისასტიკის გამოვლინება.

ტყვედ ამყვან სახელმწიფოს არა აქვს უფლება რომელიმე სამხედრო ტყვეს წოდება ჩამოართვას ან განმასხვავებელი ნიშნის ტარება აუკრძალოს.

მუსლი 88

სამხედრო ტყვე ოფიცრებს, უნტერ-ოფიცრებს ან ჯარისკაცებს, რომლებიც დისციპლინურ ან სისხლის სამართლის სასჯელს იხდიან, არ უნდა მოეპყრონ უფრო მკაცრად, ვიდრე ეს მსგავსი სასჯელისათვის ტყვედ ამყვანი სახელმწიფოს შეიარაღებული ძალების თანაბარი წოდების წევრებისათვის არის გათვალისწინებული.

სამხედრო ტყვე ქალებს არ უნდა მიესაჯოთ იმაზე მკაცრი სასჯელი, ან მათ მიერ სასჯელის მოხდის პერიოდში არ უნდა მოეპყრონ იმაზე მკაცრად, ვიდრე ტყვედ ამყვანი სახელმწიფოს შეიარაღებული ძალების წევრ იმ ქალებს, რომლებიც მსგავსი სამართალდარღვევისათვის არიან დასჯილნი.

არავითარ შემთხვევაში სამხედრო ტყვე ქალებს არ უნდა მიესაჯოთ იმაზე მკაცრი სასჯელი ან სასჯელის მოხდის პერიოდში არ უნდა მოეპყრონ იმაზე მკაცრად, ვიდრე ტყვედ ამყვანი სახელმწიფოს შეიარაღებული ძალების წევრ მამაკაცებს, რომლებიც მსგავსი სამართალდარღვევისთვის არიან დასჯილნი.

სამხედრო ტყვეებს დისციპლინური ან სისხლის სამართლის სასჯელის მოხდის შემდეგ ისევე უნდა მოეპყრონ, როგორც სხვა სამხედრო ტყვეებს.

მუხლი 89

სამხედრო ტყვეების მიმართ შეიძლება გამოყენებული იყოს დასჯის შემდეგი დისციპლინური ზომები:

(1) ჯარიმა, რომელიც არ უნდა აღემატებოდეს სამხედრო ტყვეთათვის მე-60 და 62-ე მუხლებით გათვალისწინებული ხელფასისა და ფულადი უზრუნველყოფისთვის განსაზღვრული ავანსის 50 პროცენტს და ამასთანავე, ვადით არა უმეტეს 30 დღისა.

(2) წინამდებარე კონვენციით გათვალისწინებული უპირატესობების გამოკლებით, დამატებით მინიჭებული უპირატესობების ჩამორთმევა.

(3) მწყობრგარეშე განაწესები, არა უმეტეს დღეში ორი საათისა.

(4) დაპატიმრება.

მე-3 პუნქტში მითითებული ზომა ოფიცრების მიმართ არ გამოიყენება.

დისციპლინური ზომები არავითარ შემთხვევაში არ უნდა იყოს არაადამიანური, სასტიკი ან სამხედრო ტყვეთა ჯანმრთელობისათვის სახიფათო.

მუხლი 90

ცალკეული დისციპლინური ზომის ხანგრძლივობა არავითარ შემთხვევაში არ უნდა აღემატებოდეს ოცდაათ დღეს. დისციპლინური გადაცდომის შემთხვევაში, საქმის მოსმენამდე ან დისციპლინური ზომის გამოტანამდე, წინასწარი დაკავების ვადა სამხედრო ტყვეთათვის გამოტანილი სასჯელის ვადაში ჩაითვლება.

ზემოაღნიშნული მაქსიმალური ოცდაათდღიანი ვადა იმ შემთხვევაშიც არ უნდა გაიზარდოს, თუ სამხედრო ტყვემ დისციპლინური ზომის გამოტანის მომენტში დისციპლინური წესით პასუხი ერთდროულად რამდენიმე გადაცდომისთვის უნდა აგოს, მიუხედავად იმისა, უკავშირდება თუ არა ერთმანეთს ეს გადაცდომები.

დისციპლინური ზომის დადების შესახებ გადაწყვეტილების გამოტანის მომენტიდან მის აღსრულებამდე ერთ თვეზე მეტი არ უნდა გავიდეს.

თუ სამხედრო ტყვეს ახალ დისციპლინურ ზომას დააკისრებენ, თითოეული ზომის აღსრულებას შორის, თუ ერთ-ერთი ზომის ხანგრძლივობა ათ ან მეტ დღეს აღწევს, არანაკლებ სამი დღე უნდა გავიდეს.

მუხლი 91

სამხედრო ტყვის გაქცევა წარმატებულად ჩაითვლება, თუ:

- (1) იგი შეუერთდა მოკავშირე ქვეყნის ან იმ სახელმწიფოს შეიარაღებულ ძალებს, რომელსაც ეკუთვნის;
- (2) მან დამატვევებელი სახელმწიფოს ან მისი მოკავშირის ხელისუფლების ქვეშ მყოფი ტერიტორია დატოვა;
- (3) იგი მოხვდა ხომალდზე, რომელიც მოკავშირე ქვეყნის ან იმ ქვეყნის დროშით ცურავს, რომელსაც ეს პირი ეკუთვნის და დამატვევებელი სახელმწიფოს ტერიტორიულ წყლებში იმყოფება, მაგრამ იმ პირობით, რომ აღნიშნული ხომალდი ამ უკანასკნელის კონტროლს არ ექვემდებარება.

სამხედრო ტყვეები, რომლებიც ამ მუხლის მიხედვით წარმატებით განხორციელებული გაქცევის შემდეგ კვლავ ტყვედ ჩავარდებიან, გაქცევისათვის არ უნდა დაისაჯონ.

მუხლი 92

სამხედრო ტყვე, რომელმაც გაქცევა სცადა ან რომელიც 91-ე მუხლის მიხედვით წარმატებულად მიხნეული გაქცევის განხორციელებამდე დაიჭირეს, რეციდივის შემთხვევაშიც კი მხოლოდ დისციპლინური წესით უნდა დაისაჯოს.

ხელმეორედ დაჭერილი სამხედრო ტყვე დაუყოვნებლივ უნდა გადაეცეს შესაბამის სამხედრო ხელისუფლებას.

88-ე მუხლის მეოთხე პარაგრაფის გვერდის ავლით, შესაძლებელია განსაკუთრებული ზედამხედველობა დაუწესონ იმ სამხედრო ტყვეებს, რომლებიც წარუმატებელი გაქცევისათვის იხდიან სასჯელს. ასეთმა ზედამხედველობამ გავლენა არ უნდა იქონიოს მათი ჯანმრთელობის მდგომარეობაზე, უნდა აღსრულდეს სამხედრო ტყვეთა ბანაკში და არ უნდა გამოიწვიოს წინამდებარე კონვენციით მათთვის მინიჭებული რაიმე გარანტიის ჩამორთმევა.

მუხლი 93

გაქცევა ან გაქცევის მცდელობა რეციდივის შემთხვევაშიც კი არ უნდა ჩაითვალოს დამამძიმებელ გარემოებად, თუ სამხედრო ტყვე გაქცევის ან გაქცევის მცდელობისას ჩადენილ სამართალდარღვევაზე პასუხს სასამართლოს წინაშე აგებს.

83-ე მუხლში მითითებული პრინციპის თანახმად, სამხედრო ტყვეების მიერ გაქცევის ხელშეწყობის ერთადერთი მიზნით ჩადენილი დანაშაული, რომელსაც ადამიანის ჯანმრთელობისა და სიცოცხლის წინააღმდეგ მიმართული ძალადობის აქტები არ ახლავს, მაგალითად,

საზოგადოებრივი საკუთრების წინააღმდეგ მიმართული დანაშაული, ქურდობა, რომელიც გამდიდრების სურვილით არ არის განპირობებული, ყალბი დოკუმენტების დამზადება ან გამოყენება, სამოქალაქო ტანისამოსის ტარება, მხოლოდ დისციპლინური წესით უნდა დაისაჯოს.

გაქცევის ან გაქცევის მცდელობის დამხმარე ან თანამონაწილე სამხედრო ტყვეები მხოლოდ დისციპლინური წესით დაისჯებიან.

მუხლი 94

გაქცეული სამხედრო ტყვის ხელახალი დაკავების შესახებ შეტყობინება 122-ე მუხლში გათვალისწინებული წესით იმ სახელმწიფოს, რომელსაც იგი ეკუთვნის იმ შემთხვევაში უნდა გაეგზავნოს, თუ ადრე მისი გაქცევის შესახებ მას უკვე აცნობეს.

მუხლი 95

დისციპლინური გადაცდომისათვის ბრალდებულ სამხედრო ტყვეებს წინასწარ პატიმრობაში მხოლოდ იმ შემთხვევაში აიყვანენ, თუ მსგავსი გადაცდომისათვის წინასწარი პატიმრობა გათვალისწინებულია ტყვედ ამყვანი სახელმწიფოს შეიარაღებული ძალების წევრებისათვის ან თუ ამის განხორციელება აუცილებელია ბანაკში წესრიგისა და დისციპლინის შესანარჩუნებლად.

დისციპლინური გადაცდომის შემთხვევაში წინასწარი პატიმრობის ვადა ყველა სამხედრო პატიმრისათვის აბსოლუტურ მინიმუმამდე დაიყვანება და არ უნდა აღარბებდეს თოთხმეტ დღეს.

ამ თავის 97-ე და 98-ე მუხლების დებულებანი იმ სამხედრო ტყვეთა მიმართ გამოიყენება, რომლებიც დისციპლინური გადაცდომისათვის წინასწარ პატიმრობაში იმყოფებიან.

მუხლი 96

დისციპლინის დამრღვევი ქმედებები დაუყოვნებლივ უნდა იყოს გამოძიებული.

იმ შემთხვევების გამოკლებით, რომლებიც სასამართლო ორგანოებისა და უმაღლესი სამხედრო ხელისუფლების კომპეტენციაში შედის, დისციპლინური ზომების დაკისრება შეუძლია ბანაკის მეთაურის დისციპლინური უფლებამოსილებით აღჭურვილ ოფიცერს ან პასუხისმგებელ ოფიცერს, რომელიც მას ცვლის ან რომელსაც მან თავისი დისციპლინური უფლებამოსილება გადასცა.

ყოველად დაუშვებელია ასეთი უფლებამოსილების სამხედრო ტყვისათვის გადაცემა და ამ უკანასკნელის მიერ მისი განხორციელება.

ნებისმიერი დისციპლინური ზომის დაკისრებამდე სამხედრო ტყვეს ზუსტად ეცნობება ის გადაცდომები, რომელთა ჩადენაც მას ბრალად ედება და საშუალება მიეცემა თავისი მოქმედება ახსნას და თავი დაიცვას. კერძოდ, მას ნება უნდა ღართონ მოიწვიოს მოწმეები და, საჭიროების შემთხვევაში, კვალიფიციური თარჯიმნის მომსახურებით ისარგებლოს. გადაწყვეტილება სამხედრო ტყვესა და ტყვეთა წარმომადგენელს უნდა აცნობონ.

ბანაკის მეთაურმა უნდა აწარმოოს დისციპლინური სასჯელების რეესტრი, რომელიც მფარველი სახელმწიფოს წარმომადგენელთათვის გასაცნობად ხელმისაწვდომი იქნება.

მუხლი 97

ყოველად დაუშვებელია დისციპლინური სასჯელის მოსახდელად სამხედრო ტყვეების გამასწორებელ დაწესებულებებში (ციხე, გამასწორებელი დაწესებულება, საკატორლო ციხე, ა.შ.) გადაყვანა.

დისციპლინური ზომების მოხდისათვის გათვალისწინებული ყველა შენობა 25-ე მუხლით გათვალისწინებულ ჰიგიენის მოთხოვნებს უნდა შეესაბამებოდეს. სასჯელის მოხდის პერიოდში, 29-ე მუხლის შესაბამისად, სამხედრო ტყვეებს საკუთარი თავის ჰიგიენური მოვლის შესაძლებლობა უნდა ჰქონდეთ.

ოფიცრები ან მათთან გათანაბრებული პირები შენობაში უნტეროფიცრებთან ან რიგითებთან ერთად არ უნდა დააკავონ.

სამხედრო ტყვე ქალები, რომლებიც დისციპლინურ ზომებს იხდიან, მამაკაცებისგან განცალკევებულ სათავსებში და ქალების უშუალო მეთვალყურეობის ქვეშ უნდა განთავსდნენ.

მუხლი 98

სამხედრო ტყვეები, რომლებიც დისციპლინურ სასჯელს პატიმრობის სახით იხდიან, განაგრძობენ ამ კონვენციის დებულებებით სარგებლობას იმ დებულებათა გამოკლებით, რომლებიც მათი დაპატიმრების შედეგად არ გამოიყენება. ყოველად დაუშვებელია მათთვის 78-ე და 126-ე მუხლებით გათვალისწინებული უფლებების ჩამორთმევა.

სამხედრო ტყვეებს, რომლებსაც დისციპლინური ზომები დაეკისრათ, არ შეიძლება ჩამოერთვათ მათ წოდებასთან დაკავშირებული უპირატესობანი.

სამხედრო ტყვეებს, რომლებსაც დისციპლინური ზომები დაეკისრათ, ყოველდღიური ფიზიკური ვარჯიშისა და ღია ჰაერზე არანაკლებ ორი საათით ყოფნის შესაძლებლობა უნდა მიეცეთ.

მათთვის, თხოვნის საფუძველზე, ნებადართული იქნება ყოველდღიური სამედიცინო შემოწმების გავლა. ისინი ჯანმრთელობის მდგომარე-

ობის შესაბამის სამედიცინო დახმარებას მიიღებენ, ხოლო აუცილებლობის შემთხვევაში ბანაკის ლაზარეთში ან ჰოსპიტალში მოთავსდებიან.

მათ ნებადართული ექნებათ წერილების წაკითხვა და დაწერა, ისევე როგორც მათი მიღება და გაგზავნა. თუმცა, მათთვის ამანათებისა და ფულადი გადარიცხვების გადაცემა შეიძლება სასჯელის მოხდამდე გადაიდოს; ისინი ამ დროის განმავლობაში ტყვეთა წარმომადგენელს გადაეცემა, რომელიც ამანათებში მოთავსებულ მალფუჭებად პროდუქტებს ლაზარეთში მყოფ ტყვეებს გადასცემს.

III – სამართალწარმოება

მუხლი 99

არც ერთი სამხედრო ტყვე არ შეიძლება სასამართლოს გადასცენ ან გაასამართლონ ქმედებისათვის, რომელიც მისი ჩადენის მომენტში დამატყვევებელი სახელმწიფოს მოქმედი კანონმდებლობით ან საერთაშორისო სამართლით დასჯადი არ იყო.

არ შეიძლება სამხედრო ტყვეზე ნებისმიერი სახის მორალური ან ფიზიკური ზემოქმედება იმ მიზნით, რომ მან თავი იმ ქმედების ჩადენაში ცნოს დამნაშავედ, რომელიც მას ბრალად ედება.

არ შეიძლება არც ერთი სამხედრო ტყვის გასამართლება, თუ მას თავდაცვისა და კვალიფიციური დამცველის დახმარებით სარგებლობის შესაძლებლობა არ ჰქონდა.

მუხლი 100

პირველი შესაძლებლობისთანავე, სამხედრო ტყვეებს და მფარველ სახელმწიფოებს უნდა ეცნობოთ იმ სამართალდარღვევების შესახებ, რომელიც ტყვედ ამყვანი სახელმწიფოს კანონებით სიკვდილით ისჯება.

ამის შემდეგ, დაუშვებელია რაიმე სამართალდარღვევისთვის სიკვდილით დასჯის დაწესება, თუ ამას არ დაეთანხმება სახელმწიფო, რომელსაც სამხედრო ტყვეები ეკუთვნიან.

სასიკვდილო განაჩენი შეიძლება მხოლოდ იმ შემთხვევაში გამოიტანონ, თუ 87-ე მუხლის მეორე პარაგრაფის თანახმად, სასამართლოს ეურადღება განსაკუთრებულად იმ ფაქტის მიმართ იქნება მიმართული, რომ სამხედრო ტყვე ამ ქვეყნის მოქალაქე არ არის, იგი მის მიმართ ერთგულების ვალდებულებით არ არის დაკავშირებული და რომ მის ხელისუფლებაში მისგან დამოუკიდებელი მიზეზების შედეგად იმყოფება.

მუხლი 101

სამხედრო ტყვისათვის სასიკვდილო განაჩენის გამოტანის შემთხვევაში იგი სისრულეში მოიყვანება მფარველი სახელმწიფოს მიერ მითითებულ მისამართზე 107-ე მუხლით გათვალისწინებული დაწვრილებითი შეტყობინების მიღების დღიდან ექვსი თვის გასვლის შემდეგ.

მუხლი 102

სამხედრო ტყვეთა მიმართ გამოტანილი განაჩენი კანონიერად ჩაითვლება, თუ იგი იმავე სასამართლოს მიერ და ისეთივე წესითაა გამოტანილი, რომელიც ტყვედ ამყვანი სახელმწიფოს შეიარაღებული ძალების წევრთათვისაა გათვალისწინებული და ამას გარდა იმ პირობით, რომ განაჩენის გამოტანისას დაცული იყო წინამდებარე თავის დებულებები.

მუხლი 103

სამხედრო ტყვეთა მიმართ ყოველი სასამართლო გამოძიება ისეთი სისწრაფით უნდა წარმოებდეს, რის საშუალებასაც არსებული გარემოებები ქმნის და იმგვარად, რომ სასამართლო პროცესი რაც შეიძლება დროულად ჩატარდეს. არც ერთი სამხედრო ტყვე წინასწარ პატიმრობაში არ უნდა აიყვანონ, თუ ანალოგიური სამართალდარღვევისათვის ამგვარი ღონისძიება დამატვევებული სახელმწიფოს შეიარაღებული ძალების წევრებისათვის არ არის გათვალისწინებული და თუ ამას სახელმწიფო უშიშროების ინტერესები არ მოითხოვს. წინასწარი პატიმრობის ვადა არავითარ შემთხვევაში სამ თვეს არ უნდა აღემატებოდეს.

წინასწარი პატიმრობის ვადა თავისუფლების აღკვეთის იმ ვადაში ჩაითვლება, რომელიც მას მიეხჯება და ეს ვადა სასჯელის განსაზღვრის დროს გათვალისწინებული უნდა იყოს.

წინასწარ პატიმრობაში მყოფი სამხედრო ტყვეები ამ თავის 97-ე და 98-ე მუხლების დებულებებით სარგებლობას განაგრძობენ.

მუხლი 104

ტყვედ ამყვანი სახელმწიფოს მიერ სამხედრო ტყვის წინააღმდეგ სასამართლო დევნის დაწყების შემთხვევაში იგი ამას მფარველ სახელმწიფოს უმოკლეს ვადაში აცნობებს, მაგრამ არა უგვიანეს სამი კვირისა სასამართლოში საქმის განხილვის დაწყებამდე. სამკვირიანი ვადა მფარველი სახელმწიფოს მიერ ტყვედ ამყვანი სახელმწიფოსათვის წინასწარ მითითებულ მისამართზე გაგზავნილი ასეთი შეტყობინების მიღების მომენტიდან იწყება.

აღნიშნული შეტყობინება შემდეგ მონაცემებს უნდა შეიცავდეს:

- (1) სამხედრო ტყვის გვარი, სახელი, სამხედრო წოდება, სამხედრო, შენაერთის, პირადი ან სერიული ნომერი, დაბადების თარიღი და პროფესია ან ხელობა, ასეთის არსებობის შემთხვევაში;
- (2) ინტერნირების ან დაკავების ადგილი;
- (3) ბრალდების ან ბრალდებათა დაწვრილებითი გადმოცემა კანონის მოქმედი მუხლების მითითებით;
- (4) სასამართლოს დასახელება, რომელიც საქმეს განიხილავს და საქმის განხილვის დრო და ადგილი.

ტყვედ ამყვანი სახელმწიფო ასეთივე შეტყობინებას სამხედრო ტყვეთა წარმომადგენელსაც უგზავნის.

თუ საქმის განხილვის დაწყებისას არ დადასტურდება, რომ მფარველმა სახელმწიფომ, სამხედრო ტყვემ და დაინტერესებულმა ტყვეთა წარმომადგენელმა ზემოაღნიშნული შეტყობინება მიიღეს, უკიდურეს შემთხვევაში სასამართლო მოსმენის დაწყებამდე სამი კვირით ადრე მაინც, საქმის მოსმენა აღარ შედგება და გადაიდება.

მუხლი 105

სამხედრო ტყვეს უფლება აქვს ერთ-ერთი თანადატყვევებულის დახმარებით ისარგებლოს, თავისი არჩეული კვალიფიციური ადვოკატი იყოლიოს, სასამართლოში მოწმეების გამოძახება ითხოვოს და, თუ საჭიროდ ჩათვლის, კომპეტენტური თარჯიმნის მომსახურებით ისარგებლოს. მას ამ უფლების შესახებ წინასწარ, საქმის მოსმენის დაწყებამდე დამატყვევებელი სახელმწიფო აცნობებს.

თუ სამხედრო ტყვე დამცველს არ აირჩევს, მფარველი სახელმწიფო მას ასეთს დაუნიშნავს, რისთვისაც მის განკარგულებაში არანაკლებ ერთი კვირა იქნება. ტყვედ ამყვანი სახელმწიფო, თხოვნის საფუძველზე მფარველ სახელმწიფოს კვალიფიციური პირების სიას გადასცემს, რომელთაც შეუძლიათ დაცვის უზრუნველყოფა. იმ შემთხვევაში, როცა არც სამხედრო ტყვე და არც მფარველი სახელმწიფო დამცველს არ აირჩევს, ბრალდებულის დასაცავად კვალიფიციურ ადვოკატს ტყვედ ამყვანი სახელმწიფო თავად დანიშნავს.

ადვოკატს ან დამცველს საქმის მოსმენის დაწყებამდე თავის განკარგულებაში უნდა ჰქონდეს სულ მცირე ორი კვირა, რათა დაცვისათვის მოემზადოს, ისევე როგორც ამისათვის აუცილებელი ყველა საშუალება ხელთ ჰქონდეს. კერძოდ, მას უნდა ჰქონდეს ბრალდებულის შეუზღუდავად მონახულებისა და მასთან მოწმეების გარეშე საუბრის შესაძლებლობა. ამასთანავე, მისთვის შესაძლებელი უნდა იყოს დაცვის ნებისმიერ მოწმესთან მოთათბირება, სამხედრო ტყვეების ჩათვლით. ამგვარი შესაძლებლობებით იგი განაჩენის გასაჩივრების ვადის გასვლამდე ისარგებლებს.

სასამართლო სხდომის გახსნის დღემდე, საკმაოდ ხანგრძლივი დროით ადრე, ბრალდებული სამხედრო ტყვე მიიღებს მისთვის გასაგებ

ენაზე ჩამოყალიბებულ საბრალდებო დასკვნას, ასევე დოკუმენტაციას, რომელსაც ბრალდებულს დამატყვევებელი სახელმწიფოს შეიარაღებულ ძალებში მოქმედი კანონების მიხედვით ჩვეულებრივ აცნობენ. აღნიშნული დოკუმენტაცია, ანალოგიურ გარემოებებში, სამხედრო ტყვის ადვოკატს ან დამცველსაც უნდა გადაეცეს.

მფარველი სახელმწიფოს წარმომადგენლებს უფლება ექნებათ სასამართლო სხდომებს დაესწრონ, გარდა იმ შემთხვევებისა, როცა, გამონაკლისის სახით, სახელმწიფო უშიშროების ინტერესებიდან გამომდინარე ისინი დახურულ კარს მიღმა უნდა გაიმართოს. ასეთ შემთხვევებში დამატყვევებელი სახელმწიფო მფარველ სახელმწიფოს ამის შესახებ შესაბამისად აცნობებს.

მუხლი 106

ყოველ სამხედრო ტყვეს, დამატყვევებელი სახელმწიფოს შეიარაღებულ ძალებში შემავალი პირების მსგავსად, მის მიმართ გამოტანილი ნებისმიერი განაჩენის სააპელაციო ან საკასაციო გზით გასაჩივრების ან საქმის ხელახალი განხილვის თხოვნის უფლება ექნება. იგი სრულად უნდა იყოს ინფორმირებული თავისი ზემოაღნიშნული უფლებისა და იმ ვადის შესახებ, რომლის განმავლობაშიც მისი განხორციელება შეუძლია.

მუხლი 107

რომელიმე სამხედრო ტყვის მიმართ გამოტანილი ნებისმიერი განაჩენის შესახებ დაუყოვნებლივ უნდა ეცნობოს მფარველ სახელმწიფოს მოკლე შეტყობინების სახით, რომელშიც აგრეთვე მითითებული უნდა იყოს, აქვს თუ არა ბრალდებულს განაჩენის სააპელაციო ან საკასაციო წესით გასაჩივრების ან საქმის ხელახალი განხილვის თხოვნის უფლება. ასეთივე შეტყობინება გადაეცემა დაინტერესებულ ტყვეთა წარმომადგენელს, აგრეთვე ბრალდებულ სამხედრო ტყვეს მისთვის გასაგებ ენაზე, თუკი განაჩენი მისი თანდასწრებით არ გამოცხადდა. გარდა ამისა, ტყვედ ამყვანი სახელმწიფო დაუყოვნებლივ აცნობებს მფარველ სახელმწიფოს ბრალდებულის გადაწყვეტილებას გასაჩივრების უფლების გამოყენების ან გამოუყენებლობის შესახებ.

იმ შემთხვევაში, როცა განაჩენი კანონიერ ძალაში შევიდა და საქმე პირველი ინსტანციის სასამართლოს მიერ გამოტანილ სასიკვდილო განაჩენს ეხება, ტყვედ ამყვანი სახელმწიფო მფარველ სახელმწიფოს უმოკლეს ვადაში გაუგზავნის დაწვრილებით შეტყობინებას, რომელშიც მითითებული უნდა იყოს:

- (1) განაჩენის ზუსტი ტექსტი;
- (2) მოკლე ანგარიში წინასწარი გამოძიებისა და სასამართლოს მსვლელობის შესახებ, რომელშიც განსაკუთრებით ხაზგასმული იქნება ბრალდებისა და დაცვის ასპექტები;

(3) შესაბამის შემთხვევაში იმ დაწესებულების დასახელება, სადაც განაჩენი სისრულეში მოიყვანება.

წინა ქვეპარაგრაფებში მითითებული შეტყობინებები მფარველ სახელმწიფოს გაეგზავნება მისამართზე, რომელსაც ის დამატყვევებელ სახელმწიფოს წინასწარ აცნობებს.

მუხლი 108

კანონიერ ძალაში შესული განაჩენით გამოტანილ სასჯელს სამხედრო ტყვეები იმავე დაწესებულებებში და ისეთივე პირობებში მოიხდიან, როგორც დამატყვევებელი სახელმწიფოს შეიარაღებული ძალების წევრებისთვისაა გათვალისწინებული. ყველა შემთხვევაში, ეს პირობები ჰიგიენისა და ჰუმანურობის მოთხოვნებს უნდა შეესაბამებოდეს.

სამხედრო ტყვე ქალები, რომელთა მიმართაც ამგვარი განაჩენია გამოტანილი, ცალკე შენობაში უნდა განათავსონ და ქალთა პერსონალის მეთვალყურეობა დაუწესონ.

თავისუფლებაადკვეთილი სამხედრო ტყვეები ნებისმიერ შემთხვევაში კვლავაც წინამდებარე კონვენციის 78-ე და 126-ე მუხლების დაცვით ისარგებლებენ. გარდა ამისა, მათ ნებას დართავენ მიიღონ და გაგზავნონ კორესპონდენცია, მიიღონ თვეში არანაკლებ ერთი დახმარების გზავნილი, რეგულარულად ისეირნონ სუფთა ჰაერზე; ისინი აგრეთვე მიიღებენ მათი ჯანმრთელობის მდგომარეობისათვის საჭირო სამედიცინო და სასულიერო დახმარებას, რომელიც შეიძლება მათ დაჭირდეთ. სასჯელი, რომელიც მათ შეიძლება დაეკისროთ, 87-ე მუხლის მესამე პარაგრაფის დებულებებს უნდა შეესაბამებოდეს.

პარი IV
ტყვეობის დასასრული

ნაწილი I

პირდაპირი რეპატრიაცია და ნეიტრალურ ქვეყნებში განთავსება

მუხლი 109

ამ მუხლის მესამე პარაგრაფში მითითებული დებულებების თანახმად, კონფლიქტის მონაწილე მხარეები ვალდებული არიან, მომდევნო მუხლის პირველი პარაგრაფის შესაბამისად სამშობლოში გაგზავნონ მძიმე ავადმყოფი და მძიმედ დაჭრილი სამხედრო ტყვეები, მათი წოდებისა და რაოდენობის მიუხედავად, მას შემდეგ, რაც მათი ფიზიკური მდგომარეობა მათ გადაყვანას შესაძლებელს გახდის.

სამხედრო მოქმედებების მიმდინარეობის მთლიან პერიოდში კონფლიქტის მონაწილე მხარეები შეეცდებიან შესაბამისი ნეიტრალური სახელმწიფოების დახმარებით ორგანიზება გაუწიონ მომდევნო მუხლის მეორე პარაგრაფში მითითებული დაჭრილი ან ავადმყოფი სამხედრო ტყვეების ნეიტრალურ ქვეყნებში განთავსებას. გარდა ამისა, მათ შეუძლიათ შეთანხმდნენ დიდი ხნით ტყვეობაში მყოფი ჯანმრთელი სამხედრო ტყვეების ნეიტრალურ ქვეყანაში რეპატრიაციაზე ან ინტერნირებაზე.

საომარი მოქმედებების დროს დაუშვებელია ამ მუხლის პირველი პარაგრაფის თანახმად რეპატრიაციისათვის მომზადებული რომელიმე დაჭრილი ან ავადმყოფი სამხედრო ტყვის მისი სურვილის საწინააღმდეგოდ რეპატრიაცია.

მუხლი 110

პირდაპირ რეპატრიაციას ექვემდებარებიან:

(1) განუკურნებადი დაჭრილები და ავადმყოფები, რომელთა გონებრივი ან ფიზიკური შესაძლებლობები, როგორც ჩანს, ძალზე დაქვეითებულია.

(2) დაჭრილები და ავადმყოფები, რომლებიც, ექიმთა პროგნოზით, ერთი წლის განმავლობაში ვერ განიკურნებიან, რომელთა მდგომარეობა მოვლას მოითხოვს, ხოლო გონებრივი ან ფიზიკური შესაძლებლობები, როგორც ჩანს, ძალზე დაქვეითებულია.

(3) განკურნებული დაჭრილები და ავადმყოფები, მაგრამ რომელთა გონებრივი ან ფიზიკური შესაძლებლობები საგრძნობლად, და როგორც ჩანს სამუდამოდ არის დაქვეითებული.

ნეიტრალურ ქვეყანაში განთავსებას ექვემდებარებიან:

(1) დაჭრილები და ავადმყოფები, რომელთა განკურნებაც შესაძლებელია დაჭრის მომენტიდან ან ავადმყოფობის დაწყებიდან ერთი წლის განმავლობაში, თუ ნეიტრალურ ქვეყანაში მკურნალობა იძლევა სავარაუდო და სწრაფი განკურნების საშუალებას.

(2) სამხედრო ტყვეები, რომელთა გონებრივი ან ფიზიკური მდგომარეობისათვის, ექიმთა აზრით, შემდგომი ტყვეობა სერიოზულ საფრთხეს წარმოადგენს და რომელთათვის ამ საფრთხის თავიდან აცილება ნეიტრალურ ქვეყანაში განთავსებით იქნებოდა შესაძლებელი.

პირობები, რომლებსაც ნეიტრალურ ქვეყნებში განთავსებული სამხედრო ტყვეები მათი რეპატრიაციისათვის უნდა აკმაყოფილებდნენ, ასევე მათი სტატუსი დაინტერესებულ ქვეყნებს შორის შეთანხმებით განისაზღვრება. ჩვეულებრივ, ნეიტრალურ ქვეყანაში განთავსებული სამხედრო ტყვეებიდან რეპატრირებული იქნებიან შემდეგი კატეგორიის ტყვეები:

(1) ისინი, რომლებიც ჯანმრთელობის მდგომარეობის გაუარესების შედეგად პირდაპირი რეპატრიაციის პირობებს აკმაყოფილებენ;

(2) ისინი, რომელთა გონებრივი და ფიზიკური შესაძლებლობები მკურნალობის შემდეგაც მნიშვნელოვნად დაქვეითებულია.

კონფლიქტის მონაწილე დაინტერესებულ მხარეებს შორის სპეციალური შეთანხმებების არარსებობისას, რომლებიც ნეიტრალურ ქვეყანაში პირდაპირი რეპატრიაციის ან განთავსების საჭიროების გამომწვევინვალიდობის ან დაავადების შემთხვევებს განსაზღვრავს, ისინი წინამდებარე კონვენციაზე თანდართული დაჭრილი და ავადმყოფი სამხედრო ტყვეების ნეიტრალურ ქვეყანაში პირდაპირი რეპატრიაციის და განთავსების შესახებ სამოდელო შეთანხმებისა და შერეული სამედიცინო კომისიების შესახებ წესების შესაბამისად დადგინდება.

მუხლი 111

ტყვედ ამყვანი სახელმწიფო, ის სახელმწიფო, რომელსაც სამხედრო ტყვეები ეკუთვნიან და შეთანხმებისამებრ ნეიტრალური სახელმწიფო, ეცდებიან დადონ შეთანხმებები, რომლებიც შესაძლებელს გახდის საომარი მოქმედებების დამთავრებამდე ზემოაღნიშნული ნეიტრალური ქვეყნის ტერიტორიაზე სამხედრო ტყვეთა ინტერნირებას.

მუხლი 112

საომარი მოქმედებების დაწყებისთანავე უნდა დაინიშნოს შერეული სამედიცინო კომისიები დაჭრილი და ავადმყოფი სამხედრო ტყვეების

შემოწმებისა და მათთან დაკავშირებით ყველა საჭირო გადაწყვეტილების მისაღებად. ამ კომისიათა დანიშვნა, მოვალეობანი და საქმიანობა წინამდებარე კონვენციაზე თანდართული წესების დებულებებს უნდა შეესაბამებოდეს.

თუმცა, სამხედრო ტყვეები, რომლებიც ტყვედ ამყვანი სახელმწიფოს სამედიცინო ხელისუფლების წარმომადგენელთა აზრით აშკარად მძიმედ დაჭრილი ან მძიმე ავადმყოფები არიან, რეპატრაციას შერეულ სამედიცინო კომისიაში სავალდებულო შემოწმების გავლის გარეშეც შეიძლება დაექვემდებარონ.

მუხლი 113

გარდა ტყვედ ამყვანი სახელმწიფოს სამედიცინო ხელისუფლების წარმომადგენელთა მიერ მითითებული სამხედრო ტყვეებისა, წინა მუხლში ხსენებულ შერეულ სამედიცინო კომისიებში შემოწმებაზე გამოცხადების უფლება ექნებათ ქვემოთ ჩამოთვლილი კატეგორიების დაჭრილ ან ავადმყოფ სამხედრო ტყვეებს:

(1) დაჭრილები და ავადმყოფები, რომელთაც აქვთ ბანაკში მომუშავე მათი თანამემამულე ექიმის ან ქირურგის ან იმ ექიმის ან ქირურგის რეკომენდაცია, რომელიც იმ სახელმწიფოს მოკავშირე კონფლიქტის მონაწილე იმ სახელმწიფოს მოქალაქეა, რომლის სახელზეც ირიცხებიან სამხედრო ტყვეები.

(2) საკუთარ ტყვეთა წარმომადგენლის მიერ რეკომენდებული დაჭრილები და ავადმყოფები.

(3) დაჭრილები და ავადმყოფები, რომლებიც რეკომენდებული არიან იმ სახელმწიფოს მიერ, რომელსაც ისინი ეკუთვნიან, ან ამ სახელმწიფოს მიერ აღიარებული ტყვეთა დამხმარე ორგანიზაციის მიერ.

სამხედრო ტყვეებს, რომლებიც არც ერთ მითითებულ კატეგორიას არ ეკუთვნიან, მაინც შეუძლიათ შერეული სამედიცინო კომისიის შემოწმებაზე გამოცხადება, ოღონდ ისინი შემოწმებას მას შემდეგ გაივლიან, რაც ზემოაღნიშნული კატეგორიის პირთა შემოწმება დასრულდება.

შერეული სამედიცინო კომისიის შემოწმებაზე გამოცხადებულ სამხედრო ტყვეთა თანამემამულე ექიმს ან ქირურგს, ისევე როგორც ტყვეთა წარმომადგენელს, უფლება აქვთ ამ შემოწმებას დაესწონ.

მუხლი 114

ნეიტრალურ ქვეყანაში რეპატრაციასა ან განთავსებასთან მიმართებაში ამ კონვენციის დებულებათა მოქმედება ვრცელდება სამხედრო ტყვეებზე, რომლებიც უბედური შემთხვევის მსხვერპლი გახდნენ, თუ მათი დაშავება საკუთარი ბრალით არ არის გამოწვეული.

მუხლი 115

არც ერთი სამხედრო ტყვე, რომელსაც დისციპლინური ზომა აქვს დაკისრებული, თუ იგი ნეიტრალურ ქვეყანაში რეპატრიაციის ან განთავსების პირობებს აკმაყოფილებს, არ შეიძლება იმ მოტივით დააკავონ, რომ მას სასჯელი ჯერ არ მოუხდია.

ტყვედ ამყვანი სახელმწიფოს შესაბამისი თანხმობით, რეპატრიაცია ან განთავსება შესაძლებელია ნეიტრალურ ქვეყანაში რეპატრიაციის ან განთავსებისათვის გამიზნული, სასამართლო გამოძიებაში მყოფი ან სასამართლოს მიერ მსჯავრდებული სამხედრო ტყვეების პროცესის დასრულებამდე ან სასჯელის მოხდამდეც.

კონფლიქტის მონაწილე მხარეები ერთმანეთს აცნობებენ იმ პირთა გვარებს, რომლებსაც საქმის განხილვის დასრულებამდე ან სასჯელის მოხდამდე დააკავებენ.

მუხლი 116

სამხედრო ტყვეთა რეპატრიაციის ან ნეიტრალურ ქვეყანაში მათი გადაყვანის ხარჯებს ტყვედ ამყვანი სახელმწიფოს საზღვრიდან მოყოლებული, გაიღებს ის სახელმწიფო, რომელსაც აღნიშნული ტყვეები ეკუთვნიან.

მუხლი 117

არც ერთი რეპატრირებული პირი არ შეიძლება დასაქმდეს მოქმედ სამხედრო სამსახურში.

ნაწილი II

სამხედრო ტყვეთა ბათავისუფლება და რეპატრიაცია

სამხედრო მოქმედებების დასრულების შემდეგ

მუხლი 118

სამხედრო ტყვეების გათავისუფლება და რეპატრიაცია საომარ მოქმედებათა დასრულებისთანავე უნდა მოხდეს.

ამ საკითხის შესახებ კონფლიქტის მონაწილე მხარეებს შორის სამხედრო მოქმედებების შეწყვეტის მიზნით დადებულ შეთანხმებაში შესაბამისი დადგენილებების ან თვით ამგვარი შეთანხმების არარსებობის შემთხვევაში, ყოველი ტყვედ ამყვანი სახელმწიფო, წინა პარაგრაფში მითითებული პრინციპის თანახმად, თავად შეადგენს და დაუყოვნებლივ განახორციელებს რეპატრიაციის გეგმას.

ორივე შემთხვევაში მიღებულ ზომებს აცნობებენ სამხედრო ტყვეებს.

სამხედრო ტყვეთა რეპატრიაციის ხარჯები ყველა შემთხვევაში სამართლიანად განაწილება ტყვედ ამყვან სახელმწიფოსა და იმ სახელმწიფოს შორის, რომელსაც სამხედრო ტყვეები ეკუთვნიან. ეს განაწილება შემდეგ საფუძველზე მოხდება:

(ა) თუ ეს ორი სახელმწიფო ერთმანეთს ესაზღვრება, ის ქვეყანა, რომელსაც სამხედრო ტყვეები ეკუთვნიან, რეპატრიაციის ხარჯებს ტყვედ ამყვანი სახელმწიფოს საზღვრიდან მოყოლებული გაიღებს.

(ბ) თუ ეს ორი სახელმწიფო ერთმანეთს არ ესაზღვრება, ტყვედ ამყვანი სახელმწიფო ტრანსპორტირების ხარჯებს გაიღებს თავისი ტერიტორიის საზღვრამდე ან იმ სახელმწიფოს ტერიტორიასთან უახლოეს გასამგზავრებელ პორტამდე, რომელსაც ტყვეები ეკუთვნიან. რეპატრიაციასთან დაკავშირებულ დანარჩენ ხარჯებზე დაინტერესებული მხარეები დადებენ შეთანხმებას მათი სამართლიანად გაყოფის შესახებ. ყოვლად დაუშვებელია ამ შეთანხმების დადება გახდეს რეპატრიაციის შეყოვნების გასამართლებელი მიზეზი.

მუხლი 119

რეპატრიაცია განხორციელდება სამხედრო ტყვეთა გადაყვანის შესახებ წინამდებარე კონვენციის 46-48-ე მუხლებით დადგენილი პირობების მსგავს პირობებში და 118-ე მუხლისა და ქვემო პარაგრაფების დებულებათა გათვალისწინებით.

სამხედრო ტყვეებს, რეპატრიაციის დროს, უბრუნდებთ მე-18 მუხლის შესაბამისად ჩამორთმეული ძვირფასი ნივთები და ტყვედ ამყვანი სახელმწიფოს ვალუტაში გადაუცვლელი ნებისმიერი უცხოური ვალუტა. ძვირფასი ნივთები და უცხოური ვალუტა, რომელიც რაიმე მიზეზით რეპატრიაციის დროს სამხედრო ტყვეებს არ დაუბრუნდათ, 122-ე მუხლით გათვალისწინებულ ცნობათა ბიუროს გადაეცემა.

სამხედრო ტყვეებს შეუძლიათ თან წაიღონ პირადი ნივთები, ნებისმიერი კორესპონდენცია და მათ სახელზე მოსული ამანათები. თუ რეპატრიაციის გარემოებები ამას მოითხოვს, წონა შეიძლება იმ ნორმამდე შეიზღუდოს, რომლის ნორმალურად ტარებაც სამხედრო ტყვეს შეუძლია. ყველა შემთხვევაში, თითოეული ტყვე უფლებამოსილი იქნება თან წაიღოს არანაკლებ ოცდახუთი კილოგრამი ტვირთი.

რეპატრირებული სამხედრო ტყვის სხვა პირადი ნივთები შესანახად დარჩება დამატყვევებელ სახელმწიფოში, რომელიც მას ამ ნივთებს გადაუგზავნის მაშინვე, როგორც კი ტრანსპორტირებისა და მასთან დაკავშირებული ხარჯების შესახებ შეთანხმებას დადებს ქვეყანასთან, რომელსაც ეკუთვნის სამხედრო ტყვე.

სამხედრო ტყვეები, რომელთა მიმართაც აღძრულია სისხლის სამართლის საქმე, შეიძლება დააკავონ სასამართლოს დამთავრებამდე

ან, შესაბამის შემთხვევებში, სასჯელის მოხდამდე, იგივე დებულება გამოიყენება სისხლის სამართლის დანაშაულისათვის მსჯავრდებული სამხედრო ტყვეების მიმართაც.

კონფლიქტის მონაწილე მხარეებმა ერთმანეთს უნდა შეატყობინონ იმ სამხედრო ტყვეთა გვარები, რომლებსაც სასამართლოს დამთავრებაამდე ან სასჯელის მოხდამდე დააკავებენ.

კონფლიქტის მონაწილე მხარეები უნდა შეთანხმდნენ ისეთი კომისიის შექმნაზე, რომლის მიზანიც იქნება ქვეყანაში გაფანტული სამხედრო ტყვეების მოძებნა და უმოკლეს ვადაში მათი რეპატრაციის უზრუნველყოფა.

ნაწილი III

სამხედრო ტყვეთა ბარდაცვალება

მუხლი 120

სამხედრო ტყვეთა მიერ შედგენილი ანდერძი უნდა აკმაყოფილებდეს მათი სამშობლოს კანონებით დაწესებულ ნამდვილობის პირობებს. აღნიშნული ქვეყანა ვალდებულია მიიღოს ყველა საჭირო ზომა, რათა ეს პირობები დამატყვევებელ სახელმწიფოს შეატყობინოს. ტყვეთა თხოვნით ან მათი გარდაცვალების შემდეგ, ყველა შემთხვევაში, ანდერძები მფარველ სახელმწიფოს, ხოლო დამოწმებული ასლები - ცნობათა ცენტრალურ სააგენტოს დაუყოვნებლივ უნდა გადაეცეს.

წინამდებარე კონვენციაზე თანდართული ფორმით შედგენილი გარდაცვალების აქტები ან პასუხისმგებელი ოფიცრის მიერ დამოწმებული ტყვეობაში ყველა გარდაცვლილი პირის სია უმოკლეს ვადაში 122-ე მუხლის თანხმად შექმნილ სამხედრო ტყვეთა საქმეების ცნობათა ბიუროს გადაეცემა. გარდაცვალების აქტები ან დამოწმებული სიები უნდა შეიცავდეს მე-17 მუხლის მესამე პარაგრაფში მითითებულ მონაცემებს სამხედრო ტყვეთა ვინაობის შესახებ, აგრეთვე გარდაცვალების დროსა და ადგილს, გარდაცვალების მიზეზს, დაკრძალვის დროსა და ადგილს და საფლავის ამოცნობისათვის საჭირო ყველა მონაცემს.

სამხედრო ტყვის დაკრძალვას ან კრემაციას, გარდაცვალების კონსტატაციისა და გარდაცვალების აქტის შედგენის, აგრეთვე, აუცილებლობის შემთხვევაში, ვინაობის დადგენის მიზნით, წინ უნდა უსწრებდეს სხეულის სამედიცინო შემოწმება.

ტყვედ ამყვანი სახელმწიფოს ხელისუფლებამ უნდა უზრუნველყოს, რომ ტყვეობაში გარდაცვლილი სამხედრო ტყვეები პატივით და თუ შესაძლებელია, მათი რელიგიური მრწამსის შესაბამისად დაკრძალონ, გარდაცვლილთა საფლავებს პატივი უნდა მიეგოს, იგი მოვლილი და

იმგვარად აღნიშნული უნდა იყოს, რომ ნებისმიერ დროს შეიძლება დეს მათი მოძებნა. ყველა შესაძლო შემთხვევაში, სამხედრო ტყვეები, რომლებიც ერთსა და იმავე სახელმწიფოს ეკუთვნიან, ერთ ადგილას უნდა დაიკრძალონ.

გარდაცვლილი სამხედრო ტყვეები ინდივიდუალურ საფლაავებში უნდა დაიკრძალონ, გამონაკლისია შემთხვევები, როცა გარდაუვალი გარემოებები მათ საძმო საფლაავში დაკრძალვას მოითხოვს. ცხედართა კრემაცია შეიძლება განხორციელდეს მხოლოდ ჰიგიენის განსაკუთრებული მოსაზრებების, რელიგიური მოტივების ან აშკარად გამოთქმული სურვილის საფუძველზე. კრემაციის შემთხვევაში, კრემაციასა და მისი მიზეზების შესახებ გარდაცვალების აქტში უნდა იყოს მითითებული.

იმისათვის, რომ საფლაავების მოძებნა ყოველთვის შესაძლებელი იყოს, დაკრძალვისა და საფლაავების შესახებ ყველა მონაცემი ტყვედ ამყვანი სახელმწიფოს მიერ შექმნილ საფლაავთა რეგისტრაციის სამსახურში უნდა დარეგისტრირდეს. საფლაავთა სიები და მონაცემები საფლაავებში და სხვა ადგილებში დაკრძალული სამხედრო ტყვეების შესახებ იმ სახელმწიფოს გადაეცემა, რომელსაც ისინი ეკუთვნოდნენ. საფლაავების მოვლისა და ცხედართა ყველა შემდგომი გადაადგილების რეგისტრაციის პასუხისმგებლობა იმ სახელმწიფოს ეკისრება, რომელიც მოცემულ ტერიტორიას აკონტროლებს, თუ იგი წინამდებარე კონვენციის მონაწილეა. ეს დებულებები გამოიყენება ფერფლის მიმართაც, რომელსაც საფლაავთა რეგისტრაციის სამსახური იმ დრომდე შეინახავს, ვიდრე მისი ბედი სამხედრო ტყვეთა სამშობლოს სურვილის შესაბამისად არ გადაწყდება.

მუხლი 121

სამხედრო ტყვის გარდაცვალების ან მძიმედ დაჭრის ყოველ შემთხვევაში, რომელიც ყარაულის მიზეზითაა გამოწვეული ან რომელიც ეჭვს იწვევს, რომ რომ ამ უკანასკნელის, სხვა სამხედრო ტყვის ან ნებისმიერი მესამე პირის მიზეზით მოხდა, ასევე დაუდგენელ გარემოებებში გარდაცვალების ყველა შემთხვევაში, ტყვედ ამყვან სახელმწიფოს ეკისრება ვალდებულება დაუყოვნებლივ დაიწყოს ოფიციალური გამოძიება.

ამასთან დაკავშირებით მფარველ სახელმწიფოს დაუყოვნებლივ უნდა აცნობონ. მოწმეებს, განსაკუთრებით სამხედრო ტყვეებს, ჩვენებები უნდა ჩამოართვან და მათი შინაარსის შემცველი ანგარიში მფარველ სახელმწიფოს გაუგზავნონ.

თუ გამოძიების შედეგად ერთი ან რამდენიმე პირის ბრალეულობა დადგინდება, ტყვედ ამყვანი სახელმწიფო დამნაშავის ან დამნაშავეთა სასამართლოს წინაშე წარდგენისათვის ყველა ზომას მიიღებს.

მუხლი 122

კონფლიქტის დაწყებისთანავე და ოკუპაციის ყველა შემთხვევაში, კონფლიქტის მონაწილე თითოეული მხარე გახსნის მის ხელისუფლებაში მყოფ სამხედრო ტყვეთა საქმეების ცნობათა ბიუროს. ნეიტრალური და არამეომარი სახელმწიფოები, რომლებიც თავის ტერიტორიაზე მე-4 მუხლში მითითებული რომელიმე კატეგორიის პირებს მიიღებენ, ამ პირთა მიმართ ასევე იმოქმედებენ. დაინტერესებულმა ქვეყანამ უნდა უზრუნველყოს, რომ ცნობათა ბიუროს ჰქონდეს ეფექტური საქმიანობის უზრუნველყოფისათვის საჭირო შენობები, აღჭურვილობა და ჰყავდეს პერსონალი. მას უფლება ექნება ასეთ ბიუროში დაასაქმოს სამხედრო ტყვეები იმ პირობების დაცვით, რომელიც სამხედრო ტყვეთა დასაქმების შესახებ წინამდებარე კონვენციის ნაწილშია გათვალისწინებული.

შეძლებისამებრ უმოკლეს ვადაში კონფლიქტის მონაწილე თითოეული მხარე თავის ცნობათა ბიუროს შეატყობინებს ამ მუხლის მეოთხე, მეხუთე და მეექვსე პარაგრაფებში მითითებულ ყველა მონაცემს მის ხელში ჩაგარდნილი მოწინააღმდეგე მხარის ყველა წარმომადგენლის შესახებ, რომელიც მე-4 მუხლში ჩამოთვლილ რომელიმე კატეგორიას ეკუთვნის. ნეიტრალური და არამეომარი მხარეები მათ მიერ თავის ტერიტორიაზე მიღებული ამ კატეგორიების პირების მიმართ ასევე მოიქცევიან.

მონაცემებს, ერთი მხრივ მფარველი სახელმწიფოს, მეორე მხრივ კი 123-ე მუხლით გათვალისწინებული ცენტრალური სააგენტოს მეშვეობით, ბიურო დაუყოვნებლივ და უსწრაფესი საშუალებით გადაუგზავნის დაინტერესებულ ქვეყნებს.

ეს მონაცემები შესაძლებელს გახდის დაინტერესებული ახლო ნათესავების სწრაფად ინფორმირებას. თითოეულ სამხედრო ტყვესთან დაკავშირებულ ამ მონაცემებში, მე-17 მუხლის დებულებათა დაცვით, თუ ცნობათა ბიურო ამგვარ მონაცემებს ფლობს, მითითებული უნდა იყოს გვარი, სახელი, სამხედრო წოდება, სამხედრო, შენაერთის, პირადი ან სერიული ნომერი, დაბადების ადგილი და ზუსტი თარიღი, სახელმწიფო, რომელსაც იგი ეკუთვნის, მამის სახელი და დედის ქალიშვილობის გვარი, იმ პირის გვარი და მისამართი, რომელიც უნდა იყოს ინფორმირებული, ასევე მისამართი, რომელზედაც სამხედრო ტყვისათვის კორესპონდენციის გაგზავნაა შესაძლებელი.

ცნობათა ბიურო შესაბამისი კომპეტენტური ორგანოებისაგან მიიღებს ცნობებს ტყვის გადაყვანის, გათავისუფლების, რეპატრაციის, გაქცევის, განთავსებისა და გარდაცვალების ყველა შემთხვევის შესა-

ხებ და მათ ამ მუხლის მესამე პარაგრაფში მითითებული წესით გადასცემს.

ასევე რეგულარულად, თუ შესაძლებელია ყოველკვირეულად, გადაიცემა ცნობები მძიმედ დაჭრილი ან ავადმყოფი სამხედრო ტყვეების ჯანმრთელობის მდგომარეობის შესახებ.

ცნობათა ბიურო ასევე ვალდებული იქნება უპასუხოს სამხედრო ტყვეთა, მათ შორის ტყვეობაში გარდაცვლილთა შესახებ გამოგზავნილ ყველა შეკითხვას, რომელიც საჭირო იქნება მოთხოვნილი და მის ხელთ არარსებული ცნობების მოპოვებისათვის.

ცნობათა ბიუროს ყოველი წერილობითი შეტყობინება ხელმოწერით ან ბეჭდით უნდა დამოწმდეს.

გარდა ამისა, ცნობათა ბიურო ვალდებულია მოაგროვოს და დაინტერესებულ ქვეყანას გადასცეს ყველა ფასეული ნივთი, ფულადი სახსრების ჩათვლით (ნებისმიერ ვალუტაში, გარდა დამატყვევებელი სახელმწიფოს ვალუტისა), აგრეთვე სამხედრო ტყვეების მიერ რეპატრიაციის, განთავისუფლების, გაქცევის ან გარდაცვალებისას დატოვებული ახლო ნათესავებისათვის საინტერესო დოკუმენტები. ეს ნივთები ბიუროს ბეჭდით დალუქული შეკვრებით გადაიგზავნება. მათ თან დაერთვება დოკუმენტი, რომელშიც ნათლად იქნება მითითებული მფლობელის ვინაობის დაწვრილებითი მონაცემები და შეკვრებში მოთავსებული ნივთების ზუსტი ნუსხა. სამხედრო ტყვეთა კუთვნილ ამგვარ სხვა პირად ნივთებს კონფლიქტის მონაწილე მხარეებს შორის შეთანხმების საფუძველზე გადასცემენ.

მუხლი 123

სამხედრო ტყვეთა საქმეების ცნობათა ცენტრალური სააგენტო ნეიტრალურ ქვეყანაში უნდა დაარსდეს. თუ წითელი ჯვრის საერთაშორისო კომიტეტი საჭიროდ ჩათვლის, იგი დაინტერესებულ მხარეებს მსგავსი სააგენტოს შექმნის ორგანიზებას შესთავაზებს.

სააგენტოს დაეკისრება სამხედრო ტყვეთა შესახებ ყოველგვარი ინფორმაციის შეგროვება, რომლის მიღებასაც იგი ოფიციალური ან კერძო წყაროების მეშვეობით მოახერხებს. მან ეს მონაცემები შეძლებისამებრ უმოკლეს ვადაში სამხედრო ტყვეთა სამშობლოს ან იმ სახელმწიფოს უნდა გადასცეს, რომელსაც ისინი ეკუთვნიან. კონფლიქტის მონაწილე მხარეები სააგენტოს შეუქმნიან ყველა შესაძლებლობას მითითებული მონაცემების გადასაცემად.

მაღალი ხელშემკვრელი მხარეები, კერძოდ კი ისინი, რომელთა მოქალაქეებიც ცენტრალური სააგენტოს მომსახურებით სარგებლობენ, სააგენტოსათვის საჭირო ფინანსური დახმარების გასაწევად იქნებიან მიწვეულნი.

მოცემული დებულებები ისე არ უნდა განიმარტოს, თითქოს ისინი

ზღუდავენ წითელი ჯვრის საერთაშორისო კომიტეტისა და 125-ე მუხლში მითითებული სხვა დამხმარე ორგანიზაციების ჰუმანიტარულ საქმიანობას.

მუხლი 124

ცნობათა ეროვნული ბიუროები და ცნობათა ცენტრალური სააგენტო თავისუფლდებიან საფოსტო გადასახადებისაგან და სარგებლობენ 74-ე მუხლში მითითებული ყველა შეღავათით; შესაძლებლობების ფარგლებში მაქსიმალურად მათ უნდა მიეცეთ ტელეგრაფით უფასოდ ან უკიდურეს შემთხვევაში, მკვეთრად შემცირებული ნიხრით სარგებლობის უფლება.

მუხლი 125

იმ შემთხვევების გარდა, როცა ტყვედ ამყვანი ქვეყნები იღებენ ზომებს, რომელთაც აუცილებლად მიიხნევენ თავისი უშიშროების უზრუნველყოფის ან სხვა გონივრულ საჭიროებათა დასაკმაყოფილებლად, რელიგიური ორგანიზაციების, დახმარების საზოგადოებათა ან ტყვეთა დამხმარე ნებისმიერი სხვა ორგანიზაციის წარმომადგენლები ტყვედ ამყვანი სახელმწიფოსაგან თავისთვის, აგრეთვე მათ მიერ შესაბამისად აკრედიტირებული და სრულუფლებიანი წარმომადგენლებისათვის მიიღებენ სამხედრო ტყვეთა მონახულების, მათ შორის, დახმარების ამანათების განაწილების, სასულიერო და აღმზრდელობითი დანიშნულების მქონე, ასევე გართობისა და ბანაკის შიგნით დასვენების უკეთ ორგანიზებისათვის ნებისმიერი საგნების განაწილების აუცილებელ ყველა შესაძლებლობას. ზემოაღნიშნული საზოგადოებები ან ორგანიზაციები შეიძლება ტყვედ ამყვან ან ნებისმიერ სხვა სახელმწიფოში დაფუძნდეს, ან ჰქონდეს საერთაშორისო ხასიათი.

ტყვედ ამყვან სახელმწიფოს შეუძლია შეზღუდოს ორგანიზაციებისა და საზოგადოებების რიცხვი, რომელთა წარმომადგენლებსაც საკუთარი კონტროლის ქვეშ მის ტერიტორიაზე საქმიანობის ნებას დართავს. თუმცა, შეზღუდვა უნდა განხორციელდეს იმ პირობით, რომ იგი ყველა სამხედრო ტყვისათვის ქმედით და საკმარის დახმარებას ხელს არ შეუშლის.

ამ სფეროში წითელი ჯვრის საერთაშორისო კომიტეტის განსაკუთრებული მდგომარეობა ყოველთვის აღიარებული და პატივცემული უნდა იყოს.

სამხედრო ტყვეთათვის ზემოაღნიშნული დანიშნულების მქონე ამანათების ან საგნების გადაცემის მომენტში, ან, უკიდურეს შემთხვევაში ცოტა ხნის შემდეგ, დამხმარე საზოგადოებას ან სხვა გამგზავნ ორგანიზაციას გაეგზავნება სამხედრო ტყვეთა წარმომადგენლის მიერ ხელ-

მოწერილი ცალკეული ხელწერილები თითოეული ამანათის მიღების შესახებ. იმავედროულად, ადმინისტრაციული ხელისუფლების ორგანოები, რომელთა გამგებლობაშიც სამხედრო ტყვეები იმყოფებიან, წარადგენენ ხელწერილებს სამხედრო ტყვეთათვის გამოგზავნილი ტვირთების მიღების შესახებ.

პარი VI კონვენციის შესრულება

ნაწილი I ზოგადი დებულებები

მუხლი 126

მფარველი სახელმწიფოების წარმომადგენლებს ან დელეგატებს უფლება ექნებათ მოინახულონ სამხედრო ტყვეთა ყველა ადგილსამყოფელი, კერძოდ, ინტერნირების, დაკავების და სამუშაო ადგილები. მათ აგრეთვე უფლება ექნებათ შევიდნენ სამხედრო ტყვეთა მიერ დაკავებულ ყველა შენობაში; ასევე, მათთვის ნებადართული იქნება ერთი ადგილიდან მეორეში გადასაყვანი სამხედრო ტყვეების გამგზავრების, ტრანზიტის ან ჩამოსვლის ადგილების მონახულება. ისინი შეძლებენ სამხედრო ტყვეებთან, კერძოდ კი მათ წარმომადგენლებთან მოწვევების გარეშე ინდივიდუალურად ან თარჯიმნის მეშვეობით გასაუბრებას.

მფარველი სახელმწიფოს წარმომადგენლებსა და დელეგატებს მოსანახულებელი ადგილების არჩევაში სრული თავისუფლება ენიჭებათ. ამ ვიზიტების ხანგრძლივობა და რაოდენობა არ უნდა შეიზღუდოს. მათი აკრძალვა შესაძლებელი იქნება მხოლოდ უკიდურესი სამხედრო აუცილებლობის გამო, ისიც მხოლოდ დროებითი და გამონაკლისი დონისძიების სახით.

ტყვედ ამყვან სახელმწიფოს და იმ სახელმწიფოს, რომელსაც აღნიშნული სამხედრო ტყვეები ეკუთვნიან, შესაბამის შემთხვევებში შეუძლიათ შეთანხმდნენ ამ ტყვეთა მონახულებებში მონაწილეობის მისაღებად თანამემამულეების დაშვების თაობაზე. წითელი ჯვრის საერთაშორისო კომიტეტის დელეგატები ამავე უფლებებით სარგებლობენ. ამ დელეგატთა დანიშვნა იმ ქვეყნის თანხმობაზეა დამოკიდებული, რომლის ხელისუფლებაში მყოფი სამხედრო ტყვეების მონახულებაც სურთ.

მუხლი 127

მაღალი ხელშემკვრელი მხარეები ვალდებულებას იღებენ, როგორც მშვიდობიან, ისე ომის დროს, რაც შეიძლება ფართოდ გაავრცელონ წინამდებარე კონვენციის ტექსტი თავიანთ ქვეყნებში და, კერძოდ, მისი სწავლება შეიტანონ სამხედრო და, შეძლებისამებრ, სამოქალაქო სასწავლო პროგრამებში, რათა მის პრინციპებს გაეცნოს მათი შეიარაღებული ძალების შემადგენლობა და მთელი მოსახლეობა.

სამხედრო და სხვა ხელისუფლების ნებისმიერ წარმომადგენლებს, რომელთაც ომის დროს სამხედრო ტყვეებზე პასუხისმგებლობა აკისრიათ, უნდა ჰქონდეთ ამ კონვენციის ტექსტი და აუცილებლად უნდა იცნობდნენ მის დებულებებს.

მუხლი 128

მაღალი ხელშემკვრელი მხარეები, შვეიცარიის ფედერალური საბჭოს მეშვეობით, ხოლო ომის დროს მფარველი სახელმწიფოების დახმარებით ერთმანეთს გადასცემენ წინამდებარე კონვენციის ოფიციალურ თარგმანთა ტექსტებს, ასევე კანონებსა და დადგენილებებს, რომელიც შესაძლოა მის განსახორციელებლად მიიღონ.

მუხლი 129

მაღალი ხელშემკვრელი მხარეები ვალდებულებას იღებენ შემოიღონ ისეთი კანონმდებლობა, რომელიც დააწესებს ეფექტურ სისხლის-სამართლებრივ სასჯელებს მომდევნო მუხლში განსაზღვრული უხეში დარღვევის ჩამდენი ან ასეთი დარღვევის ჩადენის ბრძანების გამცემი პირებისათვის.

თითოეული მაღალი ხელშემკვრელი მხარე ვალდებულია ეძებოს პირები, რომელთაც ასეთი უხეში დარღვევების ჩადენა ან მათი ჩადენის ბრძანების გაცემა ედებათ ბრალად და მათი მოქალაქეობის მიუხედავად, გადასცეს ისინი საკუთარ სასამართლოს. ამასთანავე, მას შეუძლია, საკუთარი სურვილით და თავისი კანონმდებლობის თანახმად, ამგვარი პირები სასამართლოს წინაშე წარსადგენად გადასცეს სხვა დაინტერესებულ მაღალ ხელშემკვრელ მხარეს, იმ შემთხვევაში, თუ ეს ხელშემკვრელი მხარე ფლობს ასეთი პირების ბრალდებისათვის საკმარის მტკიცებულებებს.

თითოეულმა მაღალმა ხელშემკვრელმა მხარემ აუცილებელი ზომები უნდა მიიღოს წინამდებარე კონვენციის დებულებების შეუსაბამო ყველა იმ ქმედების აღსაკვეთად, რომელიც არ წარმოადგენს მომდევნო მუხლში განსაზღვრულ უხეშ დარღვევას.

ყველა გარემოებაში ბრალდებული პირები უნდა სარგებლობდნენ სთანადო სასამართლო გარანტიებით და დაცვის უფლებით, რომელიც

წინამდებარე კონვენციის 105-ე და მომდევნო მუხლებით გათვალისწინებული გარანტიებზე ნაკლებად ხელსაყრელი არ უნდა იყოს.

მუხლი 130

წინა მუხლში აღნიშნულ უხეშ დარღვევათა რიცხვს მიეკუთვნება დარღვევები, რომლებიც დაკავშირებულია ქვემოთ ჩამოთვლილ რომელიმე ქმედებასთან, იმ შემთხვევაში, თუ ისინი მიმართულია კონვენციის დაცვის ქვეშ მყოფი პირების ან ქონების წინააღმდეგ: წინასწარ განზრახვით მკვლელობა, წამება ან არაადამიანური მოპყრობა, ბიოლოგიური ექსპერიმენტების ჩათვლით, წინასწარი განზრახვით მძიმე ტანჯვის ან სერიოზული ზიანის მიყენება სხეულისთვის ან ჯანმრთელობისათვის, სამხედრო ტყვის იძულება იმსახუროს მოწინააღმდეგე ქვეყნის შეიარაღებულ ძალებში ან წინამდებარე კონვენციით გათვალისწინებული მიუკერძოებელი და რეგულარული სასამართლო საქმის წარმოების უფლების ჩამორთმევა.

მუხლი 131

არც ერთ მაღალ ხელშემკერელ მხარეს არ შეუძლია თავისი თავის ან რომელიმე სხვა მაღალი ხელშემკერელი მხარის გათავისუფლება პასუხისმგებლობისაგან, რომელიც მას ან სხვა მაღალ ხელშემკერელ მხარეს წინა მუხლში მითითებულ დარღვევებთან მიმართებაში ეკისრება.

მუხლი 132

კონფლიქტის მონაწილე ერთ-ერთი მხარის თხოვნით, უნდა დაიწყოს გამოძიება კონვენციის დარღვევის შესახებ ნებისმიერი მტკიცების თაობაზე, იმ პროცედურით, რომელსაც დაინტერესებული მხარეები დაადგენენ.

თუ მხარეები გამოძიების პროცედურაზე ვერ შეთანხმდებიან, ისინი ურთიერთშეთანხმებით აირჩევენ არბიტრს, რომელიც გადაწყვეტს პროცედურულ საკითხს.

როგორც კი დარღვევის ფაქტს დაადგენენ, კონფლიქტის მონაწილე მხარეები აღკვეთენ მას და შეძლებისამებრ უმოკლეს ვადაში მიიღებენ ზომებს მისი ჩადენისათვის დასასჯელად.

ნაწილი II დასკვნითი დეკლარაციები

მუხლი 133

წინამდებარე კონვენცია შესრულებულია ინგლისურ და ფრანგულ ენებზე. ორივე ტექსტი თანაბრად ავთენტურია.

შევიცარიის ფედერალური საბჭო უზრუნველყოფს კონვენციის ოფიციალური თარგმანის შესრულებას რუსულ და ესპანურ ენებზე.

მუხლი 134

წინამდებარე კონვენცია მაღალ ხელშემკვრელ მხარეთა შორის ურთიერთობისას ცვლის 1929 წლის 27 ივლისის კონვენციას.

მუხლი 135

იმ სახელმწიფოებს შორის ურთიერთობებში, რომლებიც შეზღუდულნი არიან სახმელეთო ომის წარმოების კანონებისა და ჩვეულებების შესახებ ჰააგის კონვენციით, იქნება ეს 1899 წლის 29 ივლისისა თუ 1907 წლის 18 ოქტომბრის კონვენცია, და რომლებიც წინამდებარე კონვენციის მხარეები არიან, ეს უკანასკნელი ზემოაღნიშნულ ჰააგის კონვენციებზე თანდართული წესების II თავს ავსებს.

მუხლი 136

მოცემული რიცხვით დათარიღებული წინამდებარე კონვენცია 1950 წლის 12 თებერვლამდე ღიაა ხელმოსაწერად ყველა იმ სახელმწიფოსათვის, რომლებიც მონაწილეობდნენ ქენევის 1949 წლის 21 აპრილს გახსნილ კონფერენციაში, აგრეთვე იმ სახელმწიფოებისათვის, რომლებიც ამ კონფერენციაში არ მონაწილეობდნენ, მაგრამ 1929 წლის 27 ივლისის კონვენციის მხარეები არიან.

მუხლი 137

წინამდებარე კონვენციის რატიფიკაცია მოხდება შეძლებისამებრ უმოკლეს ვადაში და სარატიფიკაციო სიგელები დეპონირდება ბერნში. თითოეული სარატიფიკაციო სიგელის გაცემის შესახებ შედგება ოქმი, რომლის დამოწმებულ ასლებს შევიცარიის ფედერალური საბჭო გა-

დასცემს ყველა სახელმწიფოს, რომლის სახელითაც კონვენციას ხელი მოეწერა ან რომელმაც მიერთების თაობაზე თანხმობა განაცხადა.

მუხლი 138

წინამდებარე კონვენცია ძალაში შევა ექვსი თვის შემდეგ იმ მომენტიდან, რაც არანაკლებ ორი სარატიფიკაციო სიგელი იქნება დეპონირებული.

ამის შემდეგ, თითოეული მაღალი ხელშემკვრელი მხარისათვის იგი ძალაში შევა მისი სარატიფიკაციო სიგელის დეპონირებიდან ექვსი თვის შემდეგ.

მუხლი 139

წინამდებარე კონვენცია, ძალაში შესვლის დღიდანვე, ღიაა მიერთებისათვის ყველა სახელმწიფოსათვის, რომელსაც მასზე ხელი არ მოუწერია.

მუხლი 140

მიერთების შესახებ ყოველი შეტყობინება წერილობით უნდა ეცნობოს შვეიცარიის ფედერალურ საბჭოს. მიერთება ძალაში შევა საბჭოს მიერ წერილობითი ცნობის მიღებიდან ექვსი თვის შემდეგ.

შვეიცარიის ფედერალური საბჭო შეერთების შესახებ აცნობებს ყველა სახელმწიფოს, რომლის სახელითაც კონვენციას ხელი მოეწერა ან რომელმაც შეერთების თაობაზე განაცხადა.

მუხლი 141

მეორე და მესამე მუხლებში მითითებული შემთხვევებისას დაუყოვნებლივ შედის ძალაში დეპონირებული სარატიფიკაციო სიგელები, ასევე მიერთების შესახებ განცხადებები, რომლებიც კონფლიქტის მონაწილე მხარეებმა საომარი მოქმედებების ან ოკუპაციის დაწყებამდე, ან ამის შემდეგ გააკეთეს. შვეიცარიის ფედერალური საბჭო სასწრაფოდ აცნობებს კონფლიქტის მონაწილე მხარეებისაგან მიღებულ სარატიფიკაციო სიგელებისა ან მიერთების შესახებ განცხადებების თაობაზე.

მუხლი 142

ყოველ მაღალ ხელშემკვრელ მხარეს შეუძლია მოახდინოს წინამდებარე კონვენციის დენონსირება.

დენონსაციის შესახებ წერილობით უნდა ეცნობოს შვეიცარიის ფედერალურ საბჭოს, რომელიც მას ყოველი მაღალი ხელშემკერედი მხარის მთავრობას გადასცემს.

დენონსაცია ძალაში შევა შვეიცარიის ფედერალური საბჭოს წერილობითი შეტყობინებიდან ერთი წლის შემდეგ. თუმცა, დენონსაცია, რომლის შესახებაც განცხადება გაკეთდა მაშინ, როცა მოცემული ქვეყანა კონფლიქტში იყო ჩართული, ძალაში შევა მხოლოდ მშვიდობის დამყარებისა და ამ კონვენციის დაცვის ქვეშ მყოფი პირების გათავისუფლებისა და რეპატრიაციასთან დაკავშირებული ოპერაციების დასრულების შემდეგ.

დენონსაცია მოქმედებს მხოლოდ იმ სახელმწიფოსთან მიმართებაში, რომელმაც იგი მოახდინა. ამასთან, იგი არავითარ გავლენას არ მოახდენს ვალდებულებებზე, რომელთა შესრულება კონფლიქტის მონაწილე მხარეებს კვლავაც ეკისრებათ საერთაშორისო სამართლის პრინციპების საფუძველზე, ვინაიდან ისინი ცივილიზებულ ხალხთა შორის დამყარებული ჩვეულებებიდან, ჰუმანურობის მოთხოვნებიდან გამომდინარეობს და საზოგადოებრივი სინდისითაა ნაკარნახევი.

მუხლი 143

შვეიცარიის ფედერალური საბჭო წინამდებარე კონვენციის რეგისტრაციას ახდენს გაერთიანებული ერების ორგანიზაციის სამდივნოში. შვეიცარიის ფედერალური საბჭო გაერთიანებული ერების ორგანიზაციის სამდივნოს აწვდის მის მიერ მიღებულ ყველა ცნობას წინამდებარე კონვენციის რატიფიცირების, დენონსაციის ან მასთან შეერთების შესახებ.

ამის დასტურად, სათანადო რწმუნებების წარმდგენმა ქვემოთ ხელის მომწერებმა, ხელი მოაწერეს ამ კონვენციას.

შესრულებულია ვენევაში 1949 წლის 12 აგვისტოს, ინგლისურ და ფრანგულ ენებზე. ორიგინალი ინახება შვეიცარიის კონფედერაციის არქივებში, ხოლო დამოწმებულ ასლებს შვეიცარიის ფედერალური საბჭო გადასცემს თითოეულ სახელმწიფოს, რომელმაც კონვენციას ხელი მოაწერა ან მას მიუერთდა.

დანართი I

სამოქალაქო შიშისგან დასაცავი პირდაპირი რეპატრიაციისა და
დაჭრილი და ავადმყოფი სამხედრო ტყვეების
ნეიტრალურ ქვეყნებში განთავსების შესახებ

(იხ. 110-ე მუხლი)

I – პირდაპირი რეპატრიაციისა და ნეიტრალურ ქვეყნებში
განთავსების პრინციპები

ა. – პირდაპირი რეპატრიაცია

პირდაპირი რეპატრიაციას ექვემდებარებიან:

(1) ყველა სამხედრო ტყვე, რომელმაც ტრავმის შედეგად შეძლევი
სახის დაზიანებები მიიღო: ერთი კიდურის დაკარგვა, დამბლა,
სახსრების დაზიანება და სხვა სახის დაზიანებები იმ პირობით,
რომ მათ ერთი ხელის ან ფეხის დაკარგვა მოჰყვა ან ისინი ერ-
თი ხელის ან ერთი ფეხის დაკარგვის ტოლფასია.

ამ შემთხვევების უფრო ფართო ინტერპრეტაციის შესაძლებლობის
გათვალისწინებით, ერთი ხელის ან ფეხის დაკარგვის ტოლფასად ჩა-
ითვლება შემდეგი შემთხვევები:

(ა) ხელის, ყველა თითის, ან ერთი ხელის საჩვენებელი და
ცერა თითების, ფეხის ან ერთი ფეხის ყველა თითისა და
ტერფის ძვლების დაკარგვა.

(ბ) ანკილოზი, ძვლოვანი ქსოვილის დაკარგვა, ნაწიბური
შევიწროება, რომელიც ხელის მტკვნის თითების ერთ-ერთ-
თი დიდი სახსრის ან ყველა სახსრის მოძრაობის დარ-
ღვევას იწვევს.

(გ) გრძელი ძვლების ფსევდოართრიტი.

(დ) დაზიანება, რომელიც გამოწვეულია მოტეხილობით
ან სხვა ტრავმით და რომელსაც თან ახლავს ქმედუნარი-
ანობის ან ტვირთის გადაზიდვის შესაძლებლობის სერი-
ოზული დაქვეითება.

(2) ყველა დაჭრილი სამხედრო ტყვე, რომელთა მდგომარეობამ
ქრონიკული ხასიათი მიიღო, ამასთან, პროგნოზის მიხედვით, ჩა-
ტარებული მკურნალობის მიუხედავად გამოირიცხება დაჭრიდან
ერთი წლის განმავლობაში გამოჯანმრთელების შესაძლებლო-
ბა, მაგალითად:

(ა) ჭურვის ნამსხვრევი გულის არეში, იმ შემთხვევაშიც,
თუ შერეულმა სამედიცინო კომისიამ მძიმე მოშლილობა-
თა არსებობა ვერ დაადგინა.

(ბ) ლითონის ნამსხვრევი თავის ტვინის ან ფილტვის
არეში, იმ შემთხვევაშიც, თუ სამედიცინო კომისიამ შემოწ-
მებისას ადგილობრივი ან საერთო რეაქციის არსებობა
ვერ დაადგინა.

(გ) ოსტეომიელიტი, რომლის მკურნალობა დაჭრიდან ერ-

თი წლის განმავლობაში გამოირიცხება და რომელმაც, სავარაუდოდ, სახსრის ანკილოზი ან ხელის ან ფეხის დაკარგვის ტოლფასი სხვა დაზიანებები უნდა გამოიწვიოს.

(დ) დიდი სახსრის შემავალი ჭრილობა, რომელიც მის დაჩირქებას იწვევს.

(ე) თავის ქალის დაზიანება, ძვლოვანი ქსოვილის დაკარგვით ან გადაადგილებით.

(ვ) სახის ჭრილობა ან დამწვრობა, ქსოვილების დაკარგვითა და ფუნქციის დაზიანებით.

(ზ) ზურგის ტვინის დაზიანება.

(თ) პერიფერიული ნერვების დაზიანება, რომლის გართულება ხელის ან ფეხის დაკარგვის ტოლფასია და რომლის მკურნალობა დაზიანებიდან ერთ წელზე მეტს მოითხოვს, მაგალითად: მხრისა ან წელ-გავის წნულის, შუა ან საჯდომი ნერვის ჭრილობა, აგრეთვე სხივის და იდაყვის ნერვების ან მცირე წვივისა და დიდი წვივის ნერვების ერთობლივი კომბინირებული ჭრილობა. სხივის, იდაყვის, მცირე წვივის და დიდი წვივის ნერვების იზოლირებული დაზიანების შემთხვევაში, დაჭრილები რეპატრაციას არ ექვემდებარებიან, კონტრაქტურისა და ნეიროტროფიული მოშლილობის შემთხვევების გარდა.

(ი) საშარდე სისტემის დაზიანება, რომელიც მის ფუნქციონირებას სერიოზულად არღვევს.

(3) ყველა ავადმყოფი სამხედრო ტყვე, რომელთა ავადმყოფობამ ქრონიკული ხასიათი მიიღო და, პროგნოზის მიხედვით, ჩატარებული მკურნალობის მიუხედავად გამოირიცხება გამოჯანმრთელების შესაძლებლობა დაავადყოფებიდან ერთი წლის განმავლობაში, მაგალითად:

(ა) ნებისმიერი ორგანოს განვითარებადი ტუბერკულოზი, რომელიც სამედიცინო პროგნოზით განკურნებას ან ნეიტრალურ ქვეყანაში მკურნალობისას მნიშვნელოვან გაუმჯობესებას არ ექვემდებარება.

(ბ) ეკსუდატიური პლევრიტი.

(გ) სასუნთქი ორგანოების არატუბერკულოზური წარმოშობის სერიოზული დაავადებები, რომლებიც განუკურნებლად ითვლება, მაგალითად: ფილტვის მძიმე ემფიზემა ბრონქიტით ან მის გარეშე; ქრონიკული ასთმა*¹; ქრონიკული ბრონქიტი*, რომელიც ერთი წლის ტყვეობის განმავლობაში გრძელდება; ბრონქოექტაზია*²; ა.შ.

(დ) სისხლის მიმოქცევის ორგანოების ქრონიკული მძიმე დაზიანება, მაგალითად: გულისა და მიოკარდის სარქველების

* შერეული სამედიცინო კომისიის გადაწყვეტილებები უმეტესწილად ბანაკის ექიმთა და სამხედრო ტყვეების თანამემამულე ექიმების ჩანაწერებს ან დამატვევებელი სახელმწიფოს ექიმ-სპეციალისტთა შემოწმებებს უნდა ეფუძნებოდეს.

დაზიანება დეკომპენსაციის ნიშნებით*, რომლებიც აღმოჩენილი იყო ტყვეობის დროს, იმ შემთხვევაშიც კი, თუ შერეულ კომისიას არ შეუძლია გამოკვლევის დროს დაადგინოს არცერთი ნიშანი; პერიკარდისა და ძარღვების დაზიანება (ბიურგერის დაავადება, მსხვილი ძარღვების ანევრიზმა); ა.შ.

(ე) საჭმლის მომნელებელი ორგანოების მძიმე ქრონიკული დაზიანება, მაგალითად: კუჭის ან თორმეტგოჯა ნაწლავის წყლული; ტყვეობის დროს გადატანილი კუჭის ქირურგიული ოპერაციის შედეგები; ქრონიკული გასტრიტი, ენტერიტი ან კოლიტი, რომელიც ერთი წლის განმავლობაში გრძელდება და ჯანმრთელობას მნიშვნელოვნად აუარესებს; ღვიძლის ციროზული ანთება; ქრონიკული ქოლეცისტოპათია*; ა.შ.

(ვ) შარდ-სასაქესო ორგანოების მძიმე ქრონიკული დაზიანება, მაგალითად: ქრონიკული ნეფრიტი შემდგომი გართულებებით; ტუბერკულოზური თირკმლის ამოკვეთა; ქრონიკული პიელიტი ან ცისტეტი; ჰიდრონეფროზი ან პიონეფროზი; მძიმე ქრონიკული გინეკოლოგიური დაავადებები; ფეხმძიმობა და მასთან დაკავშირებული ავადმყოფური გამოვლინებები, როდესაც შეუძლებელია ნეიტრალურ ქვეყანაში განთავსება; ა.შ.

(ზ) ცენტრალური და პერიფერიული ნერვული სისტემის მძიმე ქრონიკული დაავადებები, როგორცაა: ყველა აშკარად გამოხატული ფსიქოზი და ფსიქონევროზი, მაგალითად მძიმე ისტერია, ტყვეობაში ყოფნით გამოწვეული მძიმე ფსიქონევროზი, რომელიც შესაბამისი წესით დადგენილია სპეციალისტის მიერ*; ბანაკის ექიმის მიერ შესაბამისი წესით დადგენილი ნებისმიერი სახის ეპილეფსია*; ტვინის არტერიოსკლეროზი; ქრონიკული ნევრიტი, რომელიც ერთ წელზე მეტ ხანს გრძელდება; ა.შ.

(თ) ვეგეტატიური ნერვული სისტემის მძიმე ქრონიკული დაავადებები, რომელთაც თან ახლავს ფიზიკური და გონებრივი შესაძლებლობების მნიშვნელოვანი დაქვეითება, საერთო გამოფიტვითა და წონის შესამჩნევი დაკლებით.

(ი) ორივე თვალის სიბრმავე ან ერთი თვალის სიბრმავე, თუ მეორე თვალის მხედველობა ერთზე ნაკლებია მაკორეგირებელი სათვალეების გამოყენების მიუხედავად; მხედველობის სიმახვილის დაქვეითება, რომელიც არ შეიძლება აღდგეს 1/2-მდე ცალ თვალში მაინც*; თვალის სხვა სერიოზული დაავადებები, მაგალითად: გლაუკომა, თვალის ფერადი გარსის ანთება, სისხლძარღვოვანი გარ-

* შერეული სამედიცინო კომისიის გადაწყვეტილებები უმეტესწილად ბანაკის ექიმთა და სამხედრო ტყვეების თანამემამულე ექიმების ჩანაწერებს ან დამატყვევებელი სახელმწიფოს ექიმ-სპეციალისტთა შემოწმებებს უნდა ეფუძნებოდეს.

სის ანთება, ტრაქომა; ა.შ.

(კ) სმენის მოშლილობა, მაგალითად სრული ცალმხრივი სიყრუე, თუ მეორე ყური ვერ არჩევს ერთი მეტრის მანძილიდან ჩვეულებრივი ხმით ნათქვამ სიტყვებს*; ა.შ.

(ლ) ნივთიერებათა ცვლის მძიმე დაავადებები, მაგალითად: შაქრის დიაბეტი, რომელიც ინსულინით მკურნალობას მოითხოვს; ა.შ.

(მ) შინაგანი სეკრეციის ჯირკვლების მძიმე დაავადებები, მაგალითად: ტირეოტიკოზი; ჰიპოტირიოზი; ედისონის დაავადება; სიმონდსის კახექსია; ტეტანია; ა.შ.

(ნ) სისხლმბადი ორგანოების მძიმე ქრონიკული დაავადებები.

(ო) მძიმე ქრონიკული ინტოქსიკაცია: ტყვიით, ვერცხლისწყლით მოწამლვა, მორფინიზმი, კოკაინიზმი, ალკოჰოლიზმი, აირებით ან სხვადასხვა სხივებით მოწამლვა, ა.შ.

(პ) საყრდენ-მამოძრავებელი ორგანოების ქრონიკული მოშლილობა, ფუნქციების მკვეთრად გამოსატყული დარღვევებით, მაგალითად: დეფორმირებადი ართროზი; ქრონიკული და პროგრესირებადი, პირველადი და მეორადი პოლიართრიტები; რევმატიზმი მძიმე კლინიკური გამოვლენებით; ა.შ.

(ჟ) კანის მძიმე ქრონიკული დაავადებები, რომელიც მკურნალობას არ ექვემდებარება.

(რ) ყველა ავთვისებიანი წარმონაქმნი.

(ს) მძიმე ინფექციური ქრონიკული დაავადებები, რომელიც დაავადების დაწყებიდან ერთი წლის განმავლობაში გრძელდება, მაგალითად: მაღარია მკვეთრად გამოსატყული ორგანული ცვლილებებით; ამებური ან ბაცილური დიზენტერია სერიოზული მოშლილობებით; მესამე სტადიის ვისცერალური სიფილისი, რომელიც მკურნალობას არ ექვემდებარება; კეთრი; ა.შ.

(ტ) მძიმე ავიტამინოზები და დისტროფიები.

ბ. – ნეიტრალურ ქვეყნებში ბანთავსება

ნეიტრალურ ქვეყანაში განთავსებას ექვემდებარებიან:

(1) ყველა დაჭრილი სამხედრო ტყვე, რომელიც განუკურნებელია ტყვეობის პირობებში, მაგრამ რომელიც შეიძლება განიკურნოს ან რომელთა ჯანმრთელობა მნიშვნელოვნად გაუმჯობესდება ნეიტრალურ ქვეყანაში განთავსების შემთხვევაში.

(2) სამხედრო ტყვეები, რომლებიც დაავადებულნი არიან ტუბერკულოზის ნებისმიერი ფორმით, მიუხედავად დაავადებული ორგანოსა, და რომელთა ნეიტრალურ ქვეყანაში მკურნალობა ხელს შეუწყობს მათ განკურნებას ან ჯანმრთელობის მნიშვნე-

ლოვნად გაუმჯობესებას. გამონაკლისია ტუბერკულოზის საწყისი სტადია, რომელიც ტყვედ ჩავარდნამდე განიკურნა.

(3) სამხედრო ტყვეები, რომელთაც აწუხებთ სასუნთქი, სისხლის მიმოქცევის, საჭმლის მომწელებელი, ნერვული სისტემის, გრძნობის, შარდ-სასქესო ორგანოების, საყრდენ-მამოძრავებელი ორგანოების, კანის სისტემისა და სხვა დაავადებები, რომელთა ნეიტრალურ ქვეყანაში მკურნალობა აშკარად უკეთეს შედეგს გამოიღებდა, ვიდრე ტყვეობაში.

(4) სამხედრო ტყვეები, რომლებმაც ტყვეობაში თირკმლის არატუბერკულოზური დაავადების შედეგად თირკმლის ამოკვეთის ოპერაცია გადაიტანეს; განკურნების სტადიის ან ფარული ფორმის ოსტეომიელიტის შემთხვევები; შაქრის დიაბეტი, რომელიც ინსულინით მკურნალობას არ საჭიროებს; ა.შ.

(5) სამხედრო ტყვეები, რომლებიც ომით ან ტყვეობით გამოწვეული ნევროზებით დაავადდნენ.

ტყვეობაში ყოფნით გამოწვეული ნევროზით დაავადებულები, რომლებიც ვერ განიკურნენ ნეიტრალურ ქვეყანაში განთავსებიდან სამ თვეში ან რომლებიც ამ დროის გასვლის შემდეგ გამოჯანმრთელების გზაზე აშკარად არ იმყოფებიან, რეპატრიაციას ექვემდებარებიან.

(6) ყველა სამხედრო ტყვე, რომელსაც ქრონიკული ინტოქსიკაცია (აირით, ლითონებით, ალკალიდებით, ა.შ.) აწუხებს და რომელთათვის ნეიტრალურ ქვეყანაში მკურნალობა განსაკუთრებით სასარგებლოა.

(7) ყველა სამხედრო ტყვე ფეხმძიმე ქალები ან დედები, რომელთაც ჩვილი ან მცირეწლოვანი ბავშვები ჰყავთ.

ნეიტრალურ ქვეყანაში განთავსებას არ ექვემდებარება:

(1) ქრონიკული ფსიქოზის შესაბამისი წესით დადგენილი ყველა შემთხვევა.

(2) ნერვული სისტემის ორგანული ან ფუნქციონალური დაავადებების ყველა შემთხვევა, რომელიც განუკურნებლად ითვლება.

(3) ყველა ინფექციური დაავადების შემთხვევა იმ პერიოდში, როდესაც ისინი გადამდებია, ტუბერკულოზის გამოკლებით.

II – ზოგადი დებულებები

(1) ზემოაღნიშნული ყველა პირობა უნდა ზოგადად განიმარტოს და გამოყენებული იყოს ყველაზე ფართო გაგებით.

ასეთ ლიბერალურ მიდგომას პირველ რიგში საჭიროებს ომით ან ტყვეობით გამოწვეული ნევროპათიის ან ფსიქოპათიის მდგომარეობა, ისევე როგორც ტუბერკულოზის ყველა სტადიის შემთხვევები. სამხედრო ტყვეები, რომლებიც არაერთხელ დაიჭრნენ, მაგრამ ცალკეული ჭრილობა რეპატრიაციას არ ექვემდებარება, გაითვალისწინებენ რა ჭრილობის დიდი რაოდენობით გამოწვეულ ფსიქიკურ ტრავმას, იმავე პრინციპით უნდა შემოწმდნენ.

(2) ყველა უდავო შემთხვევა, რომელიც პირდაპირ რეპატრიაციას ექვემდებარება (ამპუტაცია, სრული სიბრმავე ან სიყრუე, ფილტვების ღია ტუბერკულოზი, ფსიქიკური დაავადება, ავთვისებიანი წარმონაქმნი, ა.შ.), შეძლებისამებრ მოკლე ვადაში უნდა შემოწმდეს და რეპატრირებული იყოს ბანაკის ექიმის ან ტყვედ ამყვანი სახელმწიფოს მიერ დანიშნული სამხედრო სამედიცინო კომისიების მიერ.

(3) ომამდე მიღებული ჭრილობები და დაავადებები, რომელთა მდგომარეობა არ გაუარესდა, ისევე როგორც ომის დროს მიღებული ჭრილობები, რომლებმაც სამხედრო სამსახურის გაგრძელება არ შეაფერხეს, პირდაპირ რეპატრიაციას არ ექვემდებარება.

(4) მოცემული დანართის დებულებები უნდა თანაბრად განიმარტოს და იყოს გამოყენებული კონფლიქტში მონაწილე ყველა სახელმწიფოს მიერ. დაინტერესებული სახელმწიფოები და ორგანოები შერეულ სამედიცინო კომისიებს მათი ამოცანების შესრულებისათვის საჭირო ყველა პირობით უზრუნველყოფენ.

(5) *-ით ზემოაღნიშნული მაგალითები მხოლოდ ტიპიურ შემთხვევებს წარმოადგენს. შემთხვევები, რომელიც აღნიშნულ დებულებებს არ შეესაბამება, წინამდებარე კონვენციის 110-ე მუხლისა და წინამდებარე შეთანხმების პრინციპების გათვალისწინებით უნდა გადაწყდეს.

დანართი II

წესები შერეული სამედიცინო კომისიების შესახებ

(იხ. 112-ე მუხლი)

მუხლი 1

კონვენციის 112-ე მუხლით გათვალისწინებული შერეული სამედიცინო კომისიები შედგება სამი წევრისაგან, რომელთაგან ორი ნეიტრალური ქვეყნის მოქალაქე უნდა იყოს, ხოლო მესამე კი დაინიშნოს ტყვედ ამყვანი სახელმწიფოს მიერ. ერთ-ერთი ნეიტრალური წევრი კომისიას თავმჯდომარეობს.

მუხლი 2

ორივე ნეიტრალური წევრი წითელი ჯვრის საერთაშორისო კომიტეტის მიერ მფარველ სახელმწიფოსთან შეთანხმებითა და ტყვედ ამყვანი სახელმწიფოს თხოვნის საფუძველზე ინიშნება. მათ შეუძლიათ განთავსდნენ როგორც თავის სამშობლოში, ისე სხვა ნეიტრალურ ქვეყანაში ან ტყვედ ამყვანი სახელმწიფოს ტერიტორიაზე.

მუხლი 3

ნეიტრალური წევრების კანდიდატურები მოწონებული უნდა იყოს

კონფლიქტის მონაწილე დაინტერესებული მხარეების მიერ, რომლებიც თავის თანხმობას წითელი ჯვრის საერთაშორისო კომიტეტსა და მფარველ სახელმწიფოს აცნობებენ. შეტყობინების მომენტიდან ეს პირები კომისიის ნამდვილ დანიშნულ წევრებად ითვლებიან.

მუხლი 4

უნდა დაინიშნოს წევრების მოადგილეების საკმარისი რაოდენობაც, რათა საჭიროების შემთხვევაში მათ ნამდვილი წევრების ადგილი დაიკავონ. ეს დანიშვნა ნამდვილი წევრების დანიშვნასთან ერთად ხდება, ან, ყოველ შემთხვევაში, მას შემდეგ უმოკლეს შესაძლებელ ვადაში.

მუხლი 5

თუ რაიმე მიზეზების გამო წითელი ჯვრის საერთაშორისო კომიტეტი ნეიტრალური წევრების დანიშვნას ვერ შეძლებს, ეს დანიშვნა სამხედრო ტყვეთა ინტერესების მფარველი სახელმწიფოს მიერ განხორციელდება.

მუხლი 6

შესაძლებლობის ფარგლებში, ნეიტრალური წევრებიდან ერთ-ერთი ქირურგი, ხოლო მეორე კი თერაპევტი უნდა იყოს.

მუხლი 7

ნეიტრალური წევრები სრულიად დამოუკიდებელნი იქნებიან კონფლიქტის მონაწილე მხარეებისაგან, რომლებიც ვალდებული არიან მათ მათი მოვალეობების შესასრულებლად ყველა შესაძლებლობა შეუქმნან.

მუხლი 8

ტყვედ ამყვან სახელმწიფოსთან შეთანხმებით, წითელი ჯვრის საერთაშორისო კომიტეტმა წინამდებარე წესების მე-2 და მე-4 მუხლებში აღნიშნული დანიშვნების დროს კანდიდატთა სამსახურის პირობები უნდა განსაზღვროს.

მუხლი 9

ნეიტრალური წევრების დამტკიცებისთანავე, შერეული სამედიცინო კომისიები თავის საქმიანობას შეძლებისდაგვარად მოკლე ვადაში შეუდგებიან, ნებისმიერ შემთხვევაში, ამგვარი დამტკიცებიდან არა უგვიანეს სამი თვის ვადაში.

მუხლი 10

შერეული სამედიცინო კომისიები კონვენციის 113-ე მუხლში აღნიშნულ ყველა ტყვეს შეამოწმებენ და წამოაყენებენ წინადადებებს რეპატრიაციის, რეპატრირებულთა წრიდან გამოორიციხვის ან შემოწმებების გადავადების თაობაზე. გადაწყვეტილებები ხმათა უმრავლესობით მიიღება.

მუხლი 11

შემოწმებიდან ერთი თვის განმავლობაში, შერეული სამედიცინო კომისიის მიერ ყოველ ცალკეულ შემთხვევაში მიღებული გადაწყვეტილება ტყვედ ამყვან სახელმწიფოს, მფარველ სახელმწიფოსა და წითელი ჯვრის საერთაშორისო კომიტეტს უნდა ეცნობოს. შერეული სამედიცინო კომისია მიღებულ გადაწყვეტილებას აგრეთვე ყოველ შემოწმებულ სამხედრო ტყვეს აცნობებს და წინამდებარე კონვენციაზე თანდართული ნიმუშის შესაბამის მოწმობას იმ პირზე გასცემს, რომლის რეპატრიაციასაც ის რეკომენდაციას უწევს.

მუხლი 12

ტყვედ ამყვანი სახელმწიფო ვალდებულია შერეული სამედიცინო კომისიის გადაწყვეტილებები ასეთი გადაწყვეტილებების შესახებ სათანადო წესით მიღებული შეტყობინებიდან სამი თვის განმავლობაში შეასრულოს.

მუხლი 13

თუ რომელიმე სახელმწიფოში აუცილებელია შერეული სამედიცინო კომისიის საქმიანობა და ამასთანავე მის ტერიტორიაზე არ იმყოფება არცერთი ექიმი, რომელიც ნეიტრალური სახელმწიფოს მოქალაქეა, ან თუ რაიმე სხვა მიზეზის გამო შეუძლებელია სხვა ქვეყანაში მცხოვრები ნეიტრალური ქვეყნის მოქალაქე ექიმების კომისიაში დანიშვნა, ტყვედ ამყვანი სახელმწიფო, მფარველ ხელისუფლებასთან შეთანხმებით, თვითონ შექმნის სამედიცინო კომისიას, რომელიც იმავე ფუნქციებს შეასრულებს, რაც შერეული სამედიცინო კომისია წინამდებარე წესების პირველი, მე-2, მე-3, მე-4, მე-5 და მე-8 მუხლების თანახმად.

მუხლი 14

შერეული სამედიცინო კომისიები მუდმივად იმოქმედებენ და თითოეულ ბანაკს, დროის გარკვეულ შუალედებში, სულ მცირე ექვს თვეში ერთხელ მაინც მოინახულებენ.

ღანართი III
წესები სამხედრო ტყვეებისთვის დახმარების
კოლექტიური ბზავნილების შესახებ

(იხ. 73-ე მუხლი)

მუხლი 1

სამხედრო ტყვეების წარმომადგენლებს ნებადართული ექნებათ მათ განკარგულებაში მყოფი დახმარების კოლექტიური გზავნილების განაწილება ყველა იმ ტყვეს შორის, რომელიც მათ ბანაკს ეკუთვნის, იმათი ჩათვლით, ვინც საავადმყოფოებში, ციხეებსა ან სხვა გამასწორებელ დაწესებულებებში იმყოფება.

მუხლი 2

კოლექტიური დახმარების გზავნილების განაწილება დონორების მითითებებისა და სამხედრო ტყვეების წარმომადგენლების მიერ შემუშავებული გეგმის შესაბამისად უნდა განხორციელდეს. თუმცა, სამედიცინო მასალების შემცველი გზავნილების განაწილება უპირატესად უფროს ექიმებთან შეთანხმებით განხორციელდება; ამასთან, ჰოსპიტლებსა და ლაზარეთებში ამ უკანასკნელებს შეუძლიათ ზემოაღნიშნულ მითითებებს იმ ფარგლებში გადაუხვიონ, რამდენადაც ეს ავადმყოფების მოთხოვნებითაა ნაკარნახევი. ამგვარად დადგენილ ფარგლებში დახმარების განაწილება ყოველთვის სამართლიანად უნდა ხორციელდებოდეს.

მუხლი 3

იმისთვის, რათა სამხედრო ტყვეების წარმომადგენლებს ან მათ თანაშემწეებს ჰქონდეთ მიღებული ტვირთის ხარისხისა და რაოდენობის შემოწმების და ამ საკითხზე შემომწირველებისათვის დეტალური მოხსენების შედგენის შესაძლებლობა, მათ ნებას უნდა დართონ, რათა გავიდნენ ბანაკის ახლობლად მდებარე დახმარების ტვირთის მიღების პუნქტებში.

მუხლი 4

სამხედრო ტყვეების წარმომადგენლებს მისცემენ საჭირო შესაძლებლობას იმისათვის, რათა დარწმუნდნენ, რომ ბანაკის ყველა ქვედანაყოფსა და ფილიალში კოლექტიური დახმარების ტვირთის განაწილება მათი მითითებების შესაბამისად ხდება.

მუხლი 5

სამხედრო ტყვეების წარმომადგენლებს ნებას დართავენ შეავსონ შემომწირველებისათვის განკუთვნილი ბლანკები ან ანკეტები, რომელიც დახმარების კოლექტიურ ტვირთებს ეხება (განაწილება, მოთხოვნის ნიშნები, რაოდენობა, ა.შ.), აგრეთვე, ამგვარი ბლანკებისა და ანკეტების შევსება დაავალონ სამუშაო ჯგუფებში ტყვეთა წარმომადგენლებს ან ლაზარეთებისა და ჰოსპიტლების მთავარ ექიმებს. სათანადოდ შევსებული ამგვარი ბლანკები და ანკეტები შემომწირველებს დაუყოვნებლივ უნდა გადაეცემა.

მუხლი 6

იმისთვის, რათა უზრუნველყოფილი იყოს ბანაკის სამხედრო ტყვეებს შორის კოლექტიური დახმარების ტვირთის რეგულარული განაწილება და იმ მოთხოვნების დაკმაყოფილება, რომელიც სამხედრო ტყვეების ახალი კონტინგენტის ჩამოსვლასთან დაკავშირებით შეიძლება წარმოიშვას, სამხედრო ტყვეების წარმომადგენლებს ნებას დართავენ, კოლექტიური დახმარების ტვირთის საკმარისი რაოდენობის მარაგი შექმნან და შეინახონ. ამ მიზნით, მათ შესაბამისი საწყობები უნდა გააჩნდეთ, თითოეული საწყობი ორ ბოქლომზე უნდა იკეტებოდეს, ამასთან ერთ-ერთის გასაღები სამხედრო ტყვეების წარმომადგენელს უნდა ჰქონდეს, ხოლო მეორე კი ბანაკის უფროსს.

მუხლი 7

კოლექტიური დახმარების ტვირთის სახით ტანსაცმლის მიღების შემთხვევაში, თითოეული სამხედრო ტყვე უკიდურეს შემთხვევაში ტანსაცმლის ერთ სრულ კომპლექტს, შეინახავს ისევე როგორც თავის საკუთრებას. იმ შემთხვევაში, თუ სამხედრო ტყვეს ერთზე მეტი კომპლექტი აქვს, სამხედრო ტყვეების წარმომადგენლებს შეუძლიათ შედარებით უზრუნველყოფილ პირებს ზედმეტი ნივთები ან ზოგიერთი სხვა საგანი ჩამოართვან, რომელთა რიცხვი ნორმას (ერთი კომპლექტი) აღემატება, თუ ეს ნაკლებად უზრუნველყოფილი სამხედრო ტყვეების მოთხოვნების დაკმაყოფილებისთვისაა საჭირო. ამასთან, მას თეთრეულის, წინდების ან ფეხსაცმლის მეორე კომპლექტის ჩამორთმევა მხოლოდ იმ შემთხვევაში შეუძლია, როდესაც არ არსებობს ამ ნივთებით იმ სამხედრო ტყვის უზრუნველყოფის საშუალება, რომელსაც ეს ნივთები საერთოდ არ აქვს.

მუხლი 8

მაღალი ხელშემკვრელი მხარეები, კერძოდ კი ტყვედ ამყვანი სახელმწიფოები შესაძლებლობების ფარგლებში მაქსიმალურად და ამასთანავე მოსახლეობის სურსათით მომარაგების მარეგულირებელი დებულებ

ბების გათვალისწინებით, ნებას დართავენ მათ ტერიტორიებზე სამხედრო ტყვეებს შორის დახმარების კოლექტიური ტვირთების განაწილების მიზნით განხორციელებულ ნებისმიერ შესყიდვებს. ისინი ანალოგიურად ხელს შეუწყობენ ფულადი სახსრების გადაცემას და ტექნიკური ან ადმინისტრაციული ხასიათის სხვა ფინანსურ ღონისძიებებს, რომელთა მიზანიც გახლავთ ამგვარი შესყიდვების განხორციელება.

მუხლი 9

ზემოაღნიშნული დებულებები ხელს არ უშლის როგორც სამხედრო ტყვეების უფლებას, მიიღონ კოლექტიური დახმარების ტვირთი ბანაკში ჩასვლამდე ან გადაყვანის დროს, ისე მფარველი სახელმწიფოს, წითელი ჯვრის საერთაშორისო კომიტეტის ან სამხედრო ტყვეებისათვის დახმარების გამწევი და ამგვარი ტვირთების განაწილებაზე პასუხისმგებელი სხვა ორგანიზაციის წარმომადგენლის შესაძლებლობას, უზრუნველყონ მიმღებებს შორის მათი განაწილება ნებისმიერი იმ ხერხით, რომელსაც ისინი შესაფერისად ჩათვლიან.

დანართი IV

ა. პირადობის მოწმობა (იხ. მე-4 მუხლი)

	(მოცემული მოწმობის გამცემი ქვეყანა და სამხედრო ხელისუფლება)
მფლობელის ფოტოსურათი	პირადობის მოწმობა
	შეიარაღებული ძალების თანხმლები პირისათვის
	გვარი
	სახელი.....
	დაბადების თარიღი და ადგილი.....
	შეიარაღებულ ძალებს ახლავს, როგორც.....
მოწმობის გაცემის თარიღი	მფლობელის ხელმოწერა
.....

შენიშვნა: სასურველია, რომ ეს მოწმობა შედგენილი იყოს ორ ან სამ ენაზე, რომელთაგან ერთ-ერთი საერთაშორისო მნიშვნელობისაა. წყვეტილი ხაზის გასწვრივ გადასაკეცი მოწმობის ზომებია 13X10სმ.

უკანა ხელი

სიმაღლე	წონა	თვალების ფერი	თმის ფერი
-----	-----	-----	-----
სხვა დამასასიათებელი ნიშნები	თითების ანაბეჭდები (არასავალდებულო)	სისხლის ჯგუფი	მოწმობის გამცემი ხელისუფლების ბეჭედი
		რელიგია	
	(მარცხენა სანევენებელი თითი)	(მარჯვენა სანევენებელი თითი)	
	(ცნობა)		
	ეს მოწმობა გაიცემა _____ შეიარაღებული ძალების თანხმლებ პირზე, რომელიც მათ შემადგენლობაში უშუალოდ არ ირიცხება. მოწმობის მფლობელი ვალდებულია მუდმივად თან იქონიოს იგი. მფლობელის დატყვევების შემთხვევაში, მან დაუყოვნებლივ უნდა გადასცეს მოწმობა ხელისუფლებას, რომელსაც იგი ტყვეობაში ჰყავს, რათა მათ შეძლონ მისი ვინაობის დადგენა.		

ღანართი IV

ბ. – ბარათი ღატყვევების შმსახეპ

(იხ. 70-ე მუხლი)

წინა ხელი

<p>სამხედრო ტყვის ფოსტა უფასო</p> <p style="text-align: center;">სამხედრო ტყვის ღატყვევების ბარათი</p>	
<p style="text-align: center;">ცნობა</p> <p>ეს ბარათი თითოეულმა სამხედრო ტყვემ უნდა შეავსოს დაუყოვნებლივ მისი დატყვევების შემდეგ და ყოველ ჯერზე, როდესაც ის სხვა პოსპიტალსა ან ბანაკში განთავსების შედეგად მისამართს შეიცვლის.</p> <p>ამ ბარათს არავითარი კავშირი არა აქვს სპეციალურ ბარათთან, რომლის თავის ოჯახთან გაგზავნის უფლებაც აქვს თითოეულ ტყვეს.</p>	<p style="text-align: center;">სამხედრო ტყვეების საქმიოა ცენტრალური სააბანტო</p> <p style="text-align: center;">წითელი ჯვრის საერთაშორისო კომიტეტი</p> <p style="text-align: right;">შენიშვნა შვეიცარია</p>

უკანა ხელი

<p>წერეთ გარკვევით და მთავრული ასოებით</p> <p>1. სახელმწიფო, რომელსაც სამხედრო ტყვე ეკუთვნის ———</p>
<p>2. გვარი ——— 3. სახელი (სრულად) ——— 4. მამის სახელი ———</p> <p>5. დაბადების თარიღი ——— 6. დაბადების ადგილი ——— 7. წოდება ———</p> <p>8. პირადი ნომერი ——— 9. ოჯახის მისამართი</p>
<p>*10. დატყვევებული: (ან) მოემგზავრება (ბანაკიდან №—, პოსპიტლიდან, ა.შ.)</p> <p>*11. (ა) ჯანმრთელი; (ბ) არ არის დაჭრილი; (გ) გამოჯანმრთელდა; (დ) გამოჯანმრთელების გზაზეა; (ე) დაავადებულია; (ვ) მსუბუქადაა დაჭრილი; (ზ) მძიმედაა დაჭრილი;</p>
<p>12. ჩემი ამჟამინდელი მისამართი: ტყვის ნომერი ——— ბანაკის აღნიშვნა</p> <p>13. თარიღი ——— 14. ხელმოწერა ———</p>
<p>* ზედმეტი ამოშაღეთ - შენიშვნები არ დაამატოთ - განმარტება იხილეთ მეორე მხარეს</p>

შენიშვნა: ეს ბარათი შედგენილი უნდა იყოს ორ ან სამ ენაზე, კერძოდ, ტყვის მშობლიურ ენასა და ტყვედ ამყვანი სახელმწიფოს ენაზე.
ზომები: 15X10,5სმ.

ღანართი IV

ბ. – საზოგადოებრივი ბარათი და წერილი

(იხ. 71-ე მუხლი)

1. საფოსტო ბარათი

წინა ხედი

სამხედრო ტყვის ფოსტა		უფასო
საზოგადოებრივი ბარათი	ვის	_____
გამგზავნი: სახელი, გვარი, მამის სახელი	დანიშნულების ადგილი	
დაბადების ადგილი და თარიღი	_____	
სამხედრო ტყვის №	ქუჩა _____	
ბანაკის აღნიშვნა	ქვეყანა _____	
გამგზავნის ქვეყანა	მხარე ან რაიონი _____	

უკანა ხედი

ბანაკის აღნიშვნა _____	თარიღი _____
_____	_____
_____	_____
_____	_____
_____	_____
_____	_____
_____	_____
_____	_____
_____	_____
_____	_____
დაწერეთ მხოლოდ წყვეტილ ხაზზე და რაც შეიძლება გარკვევით	

შენიშვნა: ეს ბარათი შედგენილი უნდა იყოს ორ ან სამ ენაზე, კერძოდ, ტყვის მშობლიურ ენასა და დამატებითი სახელმწიფოს ენაზე.

ზომა: 15X10სმ.

დანართი IV

გ. – საფოსტო ბარათი და წერილი

(იხ. 71-ე მუხლი)

2. წერილი

სამხედრო ტყვის ფოსტა

უფასო

ვის _____

ადგილი _____

ქუჩა _____

ქვეყანა _____

მხარე ან რაიონი _____

_____ დღეებში მივცემდე დედას

_____ დღეებში მივცემდე მამას

_____ დღეებში მივცემდე ძმებს

_____ დღეებში მივცემდე სხვებს

_____ დღეებში მივცემდე ყველას

შენიშვნა: ეს ფორმა შედგენილი უნდა იყოს ორ ან სამ ენაზე, კერძოდ, ტყვის მშობლიურ ენაზე და დამატებითი სახელმწიფოს ენაზე. ის აღნიშნულ სახეზე უნდა გაიკეთოს. ზედა ნაწილი ჩაიდება განაჭრელში (აღნიშნულია * ნიშნით) და ამგვარად კონვერტს წარმოადგენს. უკანა მხარე, რომელიც დახაზულია საფოსტო ბარათის მაგვარად (იხ. დანართი IV, ნიმუში გ), განკუთვნილია სამხედრო ტყვისათვის და მასზე დაახლოებით 250 სიტყვა თავსდება.

გაშლილი ფორმის ზომა: 29X15სმ.

ღანართი IV

დ. – შეტყობინება გარდაცვალების შესახებ (იხ. 120-ე მუხლი)

(პასუხისმგებელი ხელისუფლება) შეტყობინება გარდაცვალების შესახებ	
სახელმწიფო, რომელსაც ტყვე ეკუთვნის _____	
სახელი და გვარი	_____
მამის სახელი	_____
დაბადების ადგილი და თარიღი	_____
გარდაცვალების ადგილი და თარიღი	_____
წოდება და პირადი ნომერი (ამოსაცნობ მედალიონზე)	_____
ოჯახის მისამართი	_____
სად და როდის იყო აყვანილი	_____
გარდაცვალების მიზეზი და გარემოებები	_____
დაკრძალვის ადგილი	_____
არის თუ არა საფლავი აღნიშნული და შეძლებენ თუ არა ოჯახის წევრები შემდგომ მის ნახვას?	_____
ინახავს თუ არა დამატყვევებელი სახელმწიფო გარდაცვლილის მემკვიდრეობაში შემავალ ნივთებს, თუ ისინი ამ შეტყობინებასთან ერთად იგზავნება?	_____
თუ ისინი იგზავნება, რომელი სააგენტოს მეშვეობით?	_____
შეუძლია თუ არა პირს (ექიმი, სანიტარი, სასულიერო პირი, მეგობარი ტყვე), რომელიც ავადმყოფთან მისი ავადმყოფობის დროს ან სიცოცხლის უკანასკნელ წუთებში მასთან იმყოფებოდა, აქვე ან დანართში მოკლედ აღწეროს უკანასკნელი წუთებისა და დაკრძალვის ვითარება?	_____
თარიღი და შესაბამისი ხელისუფლების ბეჭედი და ხელმოწერა	_____
_____	_____
	ორი მოწმის ხელმოწერა და მისამართები

შენიშვნა: ეს ბარათი შედგენილი უნდა იყოს ორ ან სამ ენაზე, კერძოდ, ტყვის მშობლიურ ენასა და დამატყვევებელი სახელმწიფოს ენაზე.
ზომა: 21X30სმ.

დანართი IV

მ. – ცნობა რეპატრიაციის შესახებ

(იხ. დანართი II, მე-11 მუხლი)

ცნობა რეპატრიაციის შესახებ

თარიღი:

ბანაკი:

პოსპიტალი:

გვარი:

სახელი:

დაბადების თარიღი:

წოდება:

პირადი ნომერი:

სამხედრო ტყვის ნომერი:

ჭრილობა/დაავადება:

კომისიის გადაწყვეტილება:

შერეული სამედიცინო კომისიის
თავმჯდომარე:

A = პირდაპირი რეპატრიაცია

B = ნეიტრალურ ქვეყანაში განთავსება

NC = მეორადი შემოწმება

ღანართი V

სამოქმედო წესები ტყვეთა მიერ საკუთარ ქვეყანაში
ბაღაბზაჰნილი ფულადი სახსრების შესახებ

(იხ. 63-ე მუხლი)

- (1) 63-ე მუხლის მესამე პარაგრაფში აღნიშნული ავიზო შემდეგ მონაცემებს შეიცავს:
 - (ა) გადახდის მწარმოებელი სამხედრო ტყვის ნომერს, როგორც ეს მე-17 მუხლშია აღნიშნული, წოდებას, გვარს, სახელსა და მამის სახელს;
 - (ბ) მიმღების გვარსა და წარმომავლობის ქვეყანაში მის მისამართს;
 - (გ) გადასახდელი ფულადი თანხის ოდენობას იმ ქვეყნის ვალუტაში, რომელშიც იმყოფება სამხედრო ტყვე.
- (2) ავიზოს ხელს მოაწერს სამხედრო ტყვე ან, თუ მას წერა არ შეუძლია, მასზე თავის ნიშანს დასვათ, აღნიშნული უნდა დამოწმდეს სამხედრო ტყვეთა წარმომადგენლის მიერ.
- (3) ბანაკის უფროსი ავიზოს დაურთავს ცნობას იმის თაობაზე, რომ სამხედრო ტყვეს აქვს საკრედიტო საღი, რომელიც არ არის გადასახდელ თანხაზე ნაკლები.
- (4) ავიზო შეიძლება სიების სახით შედგეს; ასეთი სიის ყოველი ფურცელი სამხედრო ტყვეთა წარმომადგენლის მიერ უნდა დამოწმდეს და დადასტურდეს ბანაკის უფროსის მიერ.